ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

11 სექტემბრიდან!
„ახალი თაობა“
+
ეს სამყარო
ოკეანეები
10 ლარი




პარასკევი, 13 სექტემბერი, 2013 №217 (6218) ფასი: 30 თეთრი

# ზურაბ ხარატიშვილი: „ჩემ უკან არც ალასანია დგას და არც მერაბიშვილი“



გვ.2

## ვანო მერაბიშვილი: „ციხეში ქალს არ მაკარებენ“

გვ.4



## ვინ დააწიოკა „იმედი“ და „რუსთავი 2“

სატელეფონო ხულიგნები შსს-მ რამდენიმე საათში დააკავა

გვ.8

## როგორ გაქრა საბურთალოზე აფხაზეთში დაღუპულთა საძმო საფლავი

გვ.6



უნდა ნახოთ, რა შეთანხმებაზეა ხელი მოწერილი სახელმწიფო ჩინოვნიკებსა და პატარკაციშვილის ოჯახის წევრებს შორის

გვ.3

## ბიძინა ივანიშვილი: „იმედთან“ დაკავშირებით რაც ვნახე, თმა ყალყზე დამიდგა“



გვ.5

## გელა ნიკოლაიშვილი: „მერაბიშვილი და ახალაია ციხეში ღიღხანს დარჩებიან“



## გიორგი მარგველაშვილი სამცხე – ჯავახეთში ამომრჩევლებს შეხვდა

გვ.8



გვ.7

## წეროვანში მცხოვრებ დევნილებს ბურჯანაძესთან შეხვედრას უკრძალავდნენ



გვ.11

## ანდრო ბარნოვი: „ვინ უთხრა ივანიშვილს, რომ ხმამაღალი განცხადებების კეთების უფლება აქვს?“

ISSN 1987-9385

6 რა ხდება საზოგადოებრივ მაუწყებელში

7 რაზე შეთანხმდნენ მერია და სოცმომსახურების სააგენტო?

7 საკეისრო კვეთა აიკრძალება?

7 „2013 წლამდე დანაშაულის აღრიცხვისა და გამჟღავნების მაჩვენებელი ხელოვნურად იყო შემცირებული“

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ზურაბ ხარატიშვილი: „ჩემ უკან არც ალასანია დგას და არც მერაბიშვილი“

## ივანიშვილის არჩევანს პატივი უნდა ვცეთ

თამარ ნინიძე

**ინტერვიუ ახალი პოლიტიკური ცენტრის ლიდერ ზურაბ ხარატიშვილთან**

***— თქვენ რომ გადადექით ცესკოს თავმჯდომარეობიდან, ამან დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. კიდევ უფრო მეტი ხმაური მოჰყვა თქვენს განცხადებას იმასთან დაკავშირებით, რომ პოლიტიკაში აპირებდით მოსვლას, ქმნიდით ახალ პოლიტიკურ ცენტრს და იყრიდით კენჭს საპრეზიდენტო არჩევნებში. რატომ გადაწყვიტეთ არჩევნებში მონაწილეობის მიღება? ასევე ამბობდნენ, რომ თქვენ უკან ვანო მერაბიშვილი დგას.***

— მე დიდი ხანია მქონდა პოლიტიკაში მოსვლის სურვილი. 2012 წლის არჩევნების შემდეგ ვფიქრობდი, რომ უნდა გადავმდგარიყავი ცესკო-ს თავმჯდომარეობიდან. ეუთოდან ძალიან მაღალი შეფასება მიიღო ცესკო-ს ადმინისტრაციის საქმიანობამ, მაინც მძიმეა საქართველოში საარჩევნო ადმინისტრაციის ხელმძღვანელობა. დიდი საფასურის გადახდა მიწევდა, ისევე, როგორც ყველა ჩემს წინამორბედს. მიმაჩნია, რომ ამ თანამდებობაზე ხუთწლიანი ვადა ძალიან ბევრია და სამი წლის და ორი ჩატარებული არჩევნების შემდეგ წამოსვლის დრო იყო. ახლა რაც შეეხება პოლიტიკაში მოსვლას. მე ცესკო-მდე წარმატებული კარიერა მქონდა სამოქალაქო სექტორში, ჩემ მიერ არსებული ვითარების გაანალიზების შემდეგ თვალნათლივ გამოიკვეთა იმის საჭიროება, რომ შექმნილიყო ზომიერი პოლიტიკური ძალების კონცენტრაცია. პოლარიზებულმა გარემომ, რომელიც შეიქმნა ძალიან მაღალ ემოციურ ტალღაზე, სრულიად გაკრიფა ყველა პოლიტიკური ძალა, რომელიც ზომიერ ფლანგზე იმყოფება. პოლარიზაციის შედეგად სრულად არ აისახებოდა ის რეალური პოლიტიკური სპექტრი, რომელიც საქართველოშია. ამ გარემოს განმუხტვა არჩევნების შემდეგ სრულად არ მოხდა და, ვფიქრობ, ეს პოლარიზება ქვეყნის განვითარების მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორია. საჭიროა, რომ გაჩნდეს მესამე, მეოთხე პოლუსი, რათა პოლარიზაციის ტემპერატურამ დაიწიოს. სუფთა პოლიტიკური მარკეტინგის კუთხით მივიჩნიე, რომ არსებობს ნიშა, მოთხოვნილება, არსებობდეს ზომიერი პოლიტიკური ძალების ცენტრი და შევქმენით თანამოაზრეებთან ერთად ეს ზომიერი ცენტრი. გრძელვადიან პერსპექტივაში უნდა იმუშაოს ამ ცენტრმა ამ სეგმენტის გაფართოებაზე. რაც შეეხება იმას, თუ ვინ დგას ჩვენ უკან, ამაზე ბევრი თეორია მოვისმინე — მერაბიშვილი, ხან ალასანია და ა.შ. ვინც ამ საკითხს ანალიტიკურად მიუდგება, ეს შეუძლებელი თემაა და ახალი პოლიტიკური ცენტრი სრულიად დამოუკიდებლად შეეცდება, მოიპოვოს გავლენა პოლიტიკურ სპექტრში.

***— თქვენ იმედოვნებთ, რომ გაძლიერდება დასავლური პოლიტიკური ფლანგი იმ ფონზე, როცა უკვე გვაქვს პირობითად სამი პოლიტიკური პოლუსი — „ქართული ოცნება“, ნაცმოძრაობა და ბურჯანაძის დემოკრატიული მოძრაობა?***

— ეს პირობითია, რადგან მესამე ძალა, რომელიც თქვენ ახსენეთ, დეკლარირებას არ ახდენს თავის, როგორც ცენტრისა, ნელ-ნელა ფორმას იძენს ის პოზიციები, რომელიც უკავშირდება ევრაზიულ მიმართულებას, ეს თემა აქტუალური ხდება და ამიტომ მნიშვნელოვანია, გაძლიერდეს ის პოლუსი, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია ევროატლანტიკური ინტეგრაცია. ამასთან ერთად, უნდა გავაძლიეროთ ტრადიციული ოჯახური ღირებულებები, ამ ღირებულებების საფუძველზე უნდა მოხდეს საზოგადოების კონსოლიდაცია. ევრაზიული კავშირის თემაზე შარშან საუბარი არ იყო და ახლა ამაზე მიმდინარეობს საუბრები. განსაკუთრებით შემაშფოთებელია პრემიერის განცხადება, ასევე მოჰყვა ამას კოალიციის ზოგიერთი წევრის განცხადება, რომ ერთობლივი პოზიცია უნდა გაცხადდეს ამასთან დაკავშირებით. მე ვფიქრობ, როცა კოალიციის ყველა სუბიექტი ევროატლანტიკურ ინტეგრაციაზე საუბრობდა, მათი მხრიდან ადგილი ჰქონდა პოლიტიკურ ფარისევლობას, მაშინ თუ ეს აზრი არ იყო, ახლა თურმე აზრთა სხვადასხვაობა წარმოიშვა, ეს ნეგატიური ტენდენციაა და ამბობენ, რომ ეს შემდგომ პოლიტიკური ვაჭრობის თემა შეიძლება გახდეს. ეს არის უსუსური არგუმენტი. ეს ან პოლიტიკური უვიცობის ბრალია, ან მზაკვრობაა.

***— დიახ, სწორედ ივანიშვილის განცხადების კომენტირება მინდა მოვისმინო თქვენგან, როგორ შეაფასებთ მის მოსაზრებას, რომ ევრაზიული გაერთიანება სამომავლოდ საინტერესო იქნება და გამორიცხული არ არის, რომ საქართველოსთვის ამ კავშირში გაერთიანება სასარგებლოც იყოს.***

— ჯერ კიდევ ჰილარი კლინტონმა განაცხადა, რომ დასავლეთი არ დაუშვებს რაიმე ფორმით საბჭოთა კავშირის აღდგენას, ხელს შეუშლის ამ პროცესს, ჯერ ამ გაერთიანების კონტურებიც კი არ ჩანდა, როცა ჰილარი კლინტონმა ეს განცხადება გააკეთა. ევრაზიული კავშირი ეს არის საერთო ვალუტა, საერთო სამხედრო კავშირი, საბაჟო კავშირი, საერთო ეკონომიკა, ეს არის საბჭოთა კავშირი დომინანტი ძალის კომპარტიის გარეშე. თეორიულადაც კი ვერ წარმოვიდგენთ რა შეიძლება ამ გაერთიანებაში სასარგებლო იყოს, ეს აბსოლუტურად შეუთავსებელია ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან, ამიტომ ყველა საუბარი ამ ევრაზიულ გაერთიანებაზე და მის სარგებლიანობაზე, ჩვენთვის საშიში თამაშის ნაწილია, მით უმეტეს, ვხედავთ, რა ფორმით ახდენს გავლენას რუსეთი აღმოსავლეთის მეგობრობის ქვეყნებზე, აზერბაიჯანზე, მოლდოვაზე, სომხეთზე, ბელორუსზე, უკრაინაზე. მე ვვარაუდობ, რომ სოჭის ოლიმპიადის დასრულების შემდეგ საქართველოზე დაიწყება ღია ზეწოლა. რუსეთის ასეთი ძალისმიერი იძულების პოლიტიკა დეზინტეგრაციულ პროცესს უფრო იწვევს, ყველა რესპუბლიკა ხედავს, რა მზაკვრული გეგმა დევს ამ განზრახვაში.

***— სომხეთმა ხელი მოაწერა რუსეთთან ერთად საბაჟო კავშირში შესვლას. „ქართულ ოცნებაში“ არიან სუბიექტები, რომლებიც თავიდანვე იყვნენ ნატოს წინააღმდეგი, მაგალითად, გოგი თოფაძე. მსგავსი შეხედულებები კოალიციის ზოგიერთ სუბიექტსაც აქვს. რა გარანტია გვაქვს, რომ ხელისუფლება არ მიიღებს ქვეყნისთვის დამღუპველ გადაწყვეტილებას? ევრაზიულ კავშირში გაერთიანებას ვგულისხმობ.***

— ამის არანაირი გარანტია არ არის და ამიტომაც არის, რომ ჩვენი ახალი პოლიტიკური ცენტრი ცდილობს, ამ პროცესს ყველანაირად წინ აღუდგეს. 1991 წელს დსთ-ზე საუბარიც კი არ შეიძლებოდა, მაგრამ 1993 წლის შემოდგომაზე მასში შესვლის გადაწყვეტილება იქნა მიღებული. ახლაც შეიძლება მსგავსი სიტუაცია იყოს. მოულოდნელი იყო პრემიერის ეს განცხადება, რასაც წინაპირობებიც კი არ ჰქონდა, მზაკვრული გეგმის ნაწილი უნდა იყოს. ჩემი აზრით, უსუსური არგუმენტია, რომ ეს შეიძლება იყოს რაღაც დიპლომატიური მანევრის ნაწილი.

***— გია ვოლსკიმ უკვე აღიარა, რომ კოალიციის შიგნით მიმდინარეობდა ამ თემის განხილვა.***

— ვითარების მთელი ტრაგიზმიც ზუსტად ის გახლავთ, რომ სულ ახლო წარსულში კოალიცია ცალსახად აცხადებდა, რომ ევროინტეგრაციის მომხრე იყო, ახლა კი ამბობს, რომ რატომაც არა, ევრაზიული კავშირის სარგებელზეც შეიძლება მსჯელობა. ერთ-ერთი მიზეზი პრემიერის წასვლისა ხელისუფლებიდან არის სამომავლოდ რუსეთის მხრიდან ზეწოლის გაძლიერება საქართველოზე და მას არ სურს, ამ პროცესების აქტიური მონაწილე იყოს.

***— კარასინმა საქართველოს ხელისუფლებას შესთავაზა დახმარება სირიაში მყოფი ქართველების სამშობლოში დაბრუნებასთან დაკავშირებით, პროცესებს არაბულ სამყაროში რუსეთი აკონტროლებს. რას ნიშნავს ივანიშვილის განცხადება, რომ რუსეთი შესაძლოა გაწევრიანდეს ნატოსა და ევროკავშირში?***

— ის აზრი, რომ რუსეთი ადრე თუ გვიან გახდება ამ ორგანიზაციების წევრი, არსებობს ეს იდეა პოლიტოლოგიაში და მეც ვეთანხმები ამას, მაგრამ არ მახსენდება პრემიერის განცხადება, რომ ეს ახლო მომავალში მოხდება. გრძელვადიან პერსპექტივაში ამის დაშვება შესაძლებელია. ცუდია, რომ რუსეთის დღევანდელ ხელმძღვანელობას არ გააჩნია გრძელვადიანი ხედვები საკუთარი ქვეყნის განვითარებისთვის, ეს ასე რომ იყოს, ჩვენც სხვა მდგომარეობაში ვიქნებოდით. კრემლი მიჰყვება მოკლევადიან ინტერესებს. ეს კი ვფიქრობ, საზიანოა თავად რუსეთისთვის. იქაც პოლიტიკური ვითარება მძიმდება, ეკონომიკური კრიზისი თვალსაჩინოა. პოსტსაბჭოთა სივრცეზეც კარგავს გავლენას, უკრაინაზე ზეწოლის მცდელობა იყო, რომ ხელი არ მოაწეროს ევროკავშირის ასოცირებულ წევრობას, პიზიტიური ნიშანია, რომ უკრაინასთან გადაწყდა ხელის მოწერა ევროკავშირის მხრიდან ასოცირებულ წევრობაზე, უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ არის გადაწყვეტილება მიღებული, რომ საქართველომაც მოაწეროს ხელი ასეთ დოკუმენტს ასოცირებულ წევრობაზე. რა თქმა უნდა, გარკვეული პირობების გათვალისწინებით. ეს არ არის რთული და შეუსრულებადი პირობები. რუსეთს მძიმე ვითარებაში აგდებს ჩინეთიც თავისი გრძელვადიანი და კარგად გათვლილი სტრატეგიით. ახლახან ჩინეთის ახალი პრემიერის ვიზიტი იყო ყაზახეთში, ჩინეთი ცდილობს მოიპოვოს შუა აზიიდან გაზის პირდაპირი გზით გადატანის შესაძლებლობა.

***— გარდა მთავრობასა და პარლამენტს შორის ბალანსისა, მომავალ პრეზიდენტს კიდევ რა უფლებებით შეუძლია ისარგებლოს?***

— მთავარი ფუნქცია გახლავთ ის, რომ პრეზიდენტი არ არის აღმასრულებელი, არბიტრია და კრიზისულ სიტუაციაში მას აქვს მოვალეობა, განმუხტოს დაძაბულობა. მე არ ვარ არც ერთი პარტიის წევრი და ასევე პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში ვიქნები მთელი ქვეყნის პრეზიდენტი და არა რომელიმე პარტიისა. ახალი პრეზიდენტი უნდა იყოს ზეპარტიული.

***— კოჰაბიტაციის მიზეზებზე და შედეგებზე მინდა გკითხოთ. ამ კოჰაბიტაციის მოთხოვნილება იყო დასავლეთიდან თუ ახალი ხელისუფლების ლოიალობის მიზეზი და შედეგად რა მივიღეთ?***

— საქართველოში კოჰაბიტაციამ სხვა ფორმა მიიღო, ეს არის თანაცხოვრება რამდენიმე პოლიტიკურ ძალას შორის რომელიც ხელისუფლებაშია. ეს იყო არსებული რეალობა და არა ვილაცის სურვილი. როცა ამბობენ, მოვალთ და წერტილს დავუსვამთ კოჰაბიტაციასო, ეს ამ ტერმინის არასწორი გაგებაა. კოჰაბიტაცია დასრულდება მხოლოდ მაშინ, თუკი პარლამენტი, მთავრობა და პრეზიდენტი ერთი პოლიტიკური ძალის წარმომადგენლები იქნებიან. შეიძლება იყვნენ სხვადასხვა პოლიტიკური ძალების წარმომადგენლები, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, ამ ვითარებაში როგორ ვმართოთ ქვეყანა.

***— ივანიშვილმა მიგვაჩვია იმ აზრს, რომ მიდის ხელისუფლებიდან, მაგრამ როცა პოლიტიკური პროცესი ჯერ კიდევ არ არის დაწმენდილი, დაძაბულობაა და ეკონომიკურ სტაგნაციაზეა საუბარი, რას გამოიწვევს მისი გადასვლა სამოქალაქო სექტორში?***

— ეს მისი არჩევანია და ამ არჩევანს პატივი უნდა ვცეთ, თუმცა მნიშვნელოვანია, ვინ რას ტოვებს. მე ვფიქრობ, რომ ვითარება გაურკვეველია, ყველაფერი მიდის ინერციით, უნიათო რეაგირება მიდის ყველაფერზე პრემიერის მხრიდან. ნაცმოძრაობაშიც მძიმე სიტუაციაა იმ თვალსაზრისით, რომ სააკაშვილი აღარ იქნება სახელმწიფო თანამდებობაზე, ასევე კოალიციას არ ეყოლება ივანიშვილი პრემიერად. ეს გამოიწვევს დაბნეულობას საზოგადოებასა და ხელისუფლებაში.

მეორე მხრივ, იმას რომ ელოდოს, როდის გასწორდება მდგომარეობა, საქართველოში ყველაფერი სწრაფად იცვლება და ამას ვერ დაელოდება. ერთადერთი, რაშიც შეიძლება ვეკამათოთ მას, ის არის, რომ მისი გადასაწყვეტი სულაც არ არის, თუ ვინ იქნება მომავალი პრემიერი. მემკვიდრეობით ეს თანამდებობა არ გადადის. ეს პოზიცია, რომ მან უნდა დაასახელოს პიროვნება ამ პოსტზე, ვფიქრობ, არასწორია.

***— სხვადასხვა კვლევით, ლიდერობენ მარგველაშვილი, ბურჯანაძე, ბაქრაძე. თქვენ როგორ აფასებთ თქვენს შანსებს და ხართ თუ არა თვითკრიტიკული?***

— ვარ თუ არა თვითკრიტიკული, ეს, ალბათ, სხვებმა უნდა შეაფასონ, კვლევებიც მრავალფეროვანია და მისი შედეგებიც, დამკვეთის სურვილებსაც ითვალისწინებს. თუმცა, მიაქცევდით ყურადღებას იმას, რომ არის დიდი პროცენტი ადამიანებისა, რომლებიც საკუთარ პოზიციას ჯერ არ აფიქსირებენ. წინა არჩევნების დროსაც იყო ასეთი სეგმენტი და იყო 50%, იქიდან 45% წავიდა „ქართულ ოცნებასთან“, 5% კი — ნაცმოძრაობასთან. უმნიშვნელო პროცენტი გადავიდა სხვა პარტიებზე. ნებისმიერი სიურპრიზია მოსალოდნელი ამ არჩევნებზე. პრემიერის განცხადებამ გადადგომაზე სერიოზული დარტყმა მიაყენა „ქართული ოცნების“ საარჩევნო მანქანას. მისი წასვლა ნიშნავს კოალიციის დაშლას. იკარგება იმის მოტივაცია, რომ იმუშაონ მარგველაშვილის გამარჯვებაზე. უკეთესი იქნებოდა, ეს განცხადება პრემიერს არჩევნების დასრულების შემდეგ გაეკეთებინა. ეს ნაკლებად დააზარალებდა ეკონომიკას და პოლიტიკურ პროცესსაც არ დაძაბავდა.




ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru


რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ბიძინა ივანიშვილი: „იმედთან“ დაკავშირებით რაც ვნახე, თმა ყალყზე დამიდგა“

## უნდა ნახოთ, რა შეთანხმებაზეა ხელი მოწერილი სახელმწიფო ჩინოვნიკებსა და პატარკაციშვილის ოჯახის წევრებს შორის

ნათია ხურცილავა

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით გუშინ „რედისონში“ პრეზენტაცია გაიმართა. შეხვედრაზე ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა საჯარო ინფორმაციის გაცემის თვალსაზრისით ყველაზე ანგარიშვალდებული და ყველაზე დახურული საჯარო დაწესებულებები დაასახელა. კვლევა 2012 წლის ივლისიდან 2013 წლის ივნისის ჩათვლით მიმდინარეობდა.

როგორც ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის წარმომადგენელმა, ლევან ავალიშვილმა განაცხადა, 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საჯარო ინფორმაციის გაცემა გაუმჯობესდა. არჩევნებამდე არსებული სრულყოფილად გაცემული პასუხების 51-პროცენტიანი ნიშნული 81 პროცენტამდე გაიზარდა. უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნების 30 პროცენტი კი 11-მდე შემცირდა.

შეხვედრაზე სპეციალური ჯილდოები ნომინაციაში — „2012-2013 წლებში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის — შემდეგ საჯარო დაწესებულებებს გადაეცათ: გარემოსა და ბუნებრივი რესურსების, ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების, თავდაცვის სამინისტროებს, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურები ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ასევე განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროებს.

მუნიციპალიტეტებიდან ანალოგიური ჯილდო ყვარლის, დმანისისა და ტყიბულის მუნიციპალიტეტებმა, ხოლო სახელმწიფო უნივერსიტეტებიდან სოხუმის სახელმწიფო და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტებმა მოიპოვეს.

ამავე კვლევით, 2012-2013 წლებში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეზღუდვისათვის ბოლნისისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტების გამგეობები და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დასახელდნენ.

აღსანიშნავია, რომ სერტიფიკატები იმ საჯარო დაწესებულებებსაც გადაეცათ,

რომლებსაც გამჭვირვალობის ყველაზე დაბალი პროცენტი აღმოაჩნდათ.

2012-2013 წლებში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მხრივ ყველაზე დახურულ საჯარო დაწესებულებად საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებლი კომისია დასახელდა.

„ინფორმაციის თავისუფლების განვითარების“ ინსტიტუტის პრეზენტაციის თანახმად, საჯარო ინფორმაციის გაცემის თვალსაზრისით, შედარებით ცუდი შედეგები, მთავრობის კანცელარიაში, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პრეზიდენტის ადმინისტრაციაში დაფიქსირდა.

— მე მგონი, პრობლემები არ არსებობს, ყველა გახსნილია. მათ შორის რეიტინგი ნორმალურია, რომ ვიღაცას უფრო ზუსტად აქვს შესრულებული ის ინსტრუქცია, რის მიხედვითაც მოეთხოვება, ვიღაცას — ნაკლებად. მაგრამ გამჭვირვალობის პრობლემა არც კანცელარიაში არსებობს და არც შსს-ში, რაც მათ ევალებათ. რაც შეეხება პრეზიდენტის ადმინისტრაციას, მაგაზე პასუხს ვერ გაგცემთ. — განაცხადა ივანიშვილმა.

პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, რა საქმესაც „გრიფი საიდუმლო“ ადევს, ყველგან წინა ხელისუფლების დანაშაულებრივი ქმედება იკვეთება.

— რა შეიძლება, იყოს საიდუმლო და რა — არა, კანონმდებლობა უნდა დაიხვეწოს. მუშაობა და შემდგომ სტანდარტების შეთანხმებაა საჭირო, — აცხადებს პრემიერი.

ივანიშვილის განცხადებით, გამჭვირვალობა და ღია მმართველობა გუნდის პოლიტიკური ნებაა და ეს პროცესი შეუქცევადი უნდა გახდეს.

— დღეს ჩვენ, მთავრობა და არასამთავრობოები საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე და გამჭვირვალობაზე ერთად და ღიად ვმსჯელობთ. ეს ჩვენი საერთო ძალისხმევა არის დასტური, რომ ჩვენი ქვეყანა არა ფასადური, არამედ ნამდვილი დემოკრატიული განვითარების გზას ადგას. ჩვენ ხალხს დავპირდით, რომ ხელისუფლების სამთავრობო სტრუქტურების საქმიანობა იქნებოდა ღია და ჩვენ ანგარიშვალდებული ვიქნებოდით ხალხის წინაშე. ჩვენ ვასრულებთ ამ დანაპირებს და დღევანდელი ფორუმიც ამის დადასტურებაა. ჩემთვის როგორც მთავრობის მეთაურისთვის, ძალიან საამაყო და სასიხარულოა წინსვლა ამ სფეროში. ის დადებითი ტენდენციები, რომელიც ამ ანალიზმა გამოამჟღავნა, სწორედ იმას მიუთითებს, რომ ჩვენ დასამალი არაფერი გვაქვს. — განაცხადა ივანიშვილმა.

პრემიერმა აღნიშნა, რომ მთავრობის ამოცანაა, ქვეყანა ისეთ დემოკრატიულ გზაზე დააყენონ, რომ იქიდან გადახვევა სამომავლოდ აღარ იქნება ადვილი.

— ჩვენი ამოცანაა, ქვეყანა დემოკრატიული განვითარების ისეთ გზაზე გადავიყვანოთ, რომლიდან გადახვევაც სამომავლოდ აღარ იქნება ადვილი. ეს არის გზა სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისა და მისი გაძლიერებისკენ სახელმწიფოს მართვაში მოქალაქეების ჩართვისკენ, რომლის გარეშეც დემოკრატიულ მართვაზე ლაპარაკი ზედმეტია. ვფიქრობ, ეს არის საწინდარი იმისა, რომ ხალხი მიაღწევს მიზანს და შექმნის თავისუფალ, ძლიერ, ქმედითუნარიან, პასუხისმგებლობით აღსავსე სამოქალაქო საზოგადოებას და არც ერთ ხელისუფლებას არ მისცემს საშუალებას, რომ შელახოს საზოგადოების ინტერესი. — განაცხადა ივანიშვილმა.

პრემიერ-მინისტრი უკმაყოფილებას გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ უწყებების ღონისძიებებზე, სუფრებზე ძალიან დიდი თანხები იხარჯება.

პრეზენტაციაზე კითხვა-პასუხის დროს ჟურნალისტმა ზვიად ქორიძემ ერთ-ერთ გაზეთში გამოქვეყნებული სტატია დაასახელა, რომელშიც საუბარი იყო ბათუმში გამართულ სახალხო დღესასწაულზე, რომლისთვისაც ადგილობრივმა მუნიციპალიტეტმა გაიღო ხარჯები და თანხის ძირითადი ნაწილი სუფრისთვის დაიხარჯა.

— ამ საკითხზე ჩვენი კულტურა უნდა დაიხვეწოს, სხვადასხვა სამინისტროში რამდენიმე პრეზენტაციას დავესწარი და ხმამაღლა უკმაყოფილება არ გამომითქვამს, რომ სუფრებზე ძალიან დიდი თანხები იხარჯება. ეს არ არის შესატყვისი ჩვენს დღევანდელობასთან, ყველა სამინისტრო, მიუხედავად იმისა, რომ მისი დღესასწაულია, არ არის სწორი, რომ ეს ქეიფში გადაჰყავთ. დღესასწაული შეიძლება, ღრეობის გარეშე წარიმართოს. — განაცხადა ივანიშვილმა.

რაც შეეხება ბათუმში გამართულ დღესასწაულს და მასთან დაკავშირებით აჭარის უმაღლესი საბჭოს ერთ-ერთი ჩინოვნიკის რეაქციას იმასთან დაკავშირებით, რომ ამგვარი ინფორმაციის გამოქვეყნება ღალატი და მტრობაა, ივანიშვილი მიიჩნევს, რომ უნდა გაირკვეს, რა თანამდებობა უჭირავს ამ ადამიანს და მისი ეს გამოთქმა აჭარის მთელ მთავრობაზე არ უნდა გავრცელდეს.

— მე ვიცი მათი დამოკიდებულება, ვიცი აჭარის მთავრობის მეთაურის დამოკიდებულებაც. — დასძინა ივანიშვილმა.

აღნიშნულ თემას გამოეხმაურა სასჯელაღსრულების მინისტრი სოზარ სუბარი და განაცხადა, რომ აჭარის მთავრობის წარმომადგენლებმა მათი ერთ-ერთი ჩინოვნიკის აღნიშნულ განცხადებაზე ბოდიში მოიხადეს და განაცხადეს, რომ ეს მთავრობის პოზიცია არ არის.

პრემიერ-მინისტრი პრეზიდენტს პასუხობს. ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ორი 80-მილიონიანი ვერტმფრენი ემსახურებოდა და საკუთარი სარგებლობისთვის კიდევ სამი ჰქონდა დაკვეთილი.

პრემიერს ჟურნალისტებმა ამ კითხვით მიმართეს: რა ბედი ეწევა ფრანგული წარმოშობის ვერტმფრენებს?

— ერთ-ერთი თვითმფრინავი არის გადაკეთებული და მორგებული ერთ კაცზე, მეორეც არის მაგის მსგავსი. ჩვენ დღეს მოთხოვნილება ასეთი ძვირფასი ვერტმფრენების არ გვაქვს. ცუდი რაა, თუკი საშუალება გაქვს, მაგრამ თუ შეხედავ და გაიხსენებ ჩვენ სოციალურად დაუცველებს, ასევე იმას, რომ მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა სიღარიბეში ცხოვრობს, ვფიქრობ, რომ ასეთი ვერტმფრენებით სარგებლობა ამორალური იყო. ახლა რომ ხმის ამოღებას ბედავს კიდევ, ეს ჩვენი საზოგადოების კულტურას მიანიშნებს მხოლოდ, რომ კულტურული ხალხი ვართ და ამ ყველაფერს ვიტანთ და ვითმენთ და ეს კაცი კი ამით სარგებლობს და კიდევ ბედავს განცხადებების გაკეთებას. ჩვენ ამ ვერტმფერენების ჩამოყვანა არ გვინდოდა, ადგილზე დავტოვეთ მწარმოებელთან, იქიდან გვინდოდა რეალიზება, მაგრამ ვერ გავყიდეთ. შემდგომ იქ შენახვა ძვირი გვიჯდებოდა და ჩამოვიყვანეთ. ჩვენ ვახერხებთ არა 80 და 60 მილიონად, არამედ რამდენიმე მილიონად ძველი ვერტმფრენები აღვადგინოთ. ეს იქნება გაცილებით იოლი და შს სამინისტროს და თავდაცვასაც შესატყვისი ვერტმფრენები ეყოლებათ. ჩვენ დღესაც ვცდილობთ, რომ რეალიზაცია გავუკეთოთ, მაგრამ



## ჯიქიაიძე ჩემი ფავორიტი მინისტრი იყო... მე გავწირე საუკეთესო მინისტრი

საუბედუროდ, მყიდველი ვერ ვნახეთ. — განაცხადა ივანიშვილმა.

ბიძინა ივანიშვილმა კითხვაზე — ვისი თვითმფრინავით დაფრინავს? განაცხადა, ეს თვითმფრინავი კერძო კომპანიისაა და როგორც თავად იცის, მეპატრონე გაიაშვილია.

— მე დღემდე ვსარგებლობდი ქართული კომპანიის თვითმფრინავით იმიტომ, რომ მათ რამდენჯერმე შემოგვთავაზეს და უარის თქმა უხერხული იყო. მე სახელმწიფოს ფულით არ დავფრინავ, პირადად ვუხდი ყველა თვითმფრინავს, რითაც აქამდე მისარგებლია. ასევე იყო ამ შემთხვევაშიც, მე ჩემი ფული გადავიხადე და ეს იყო კერძო კომპანია. ამ ქართულმა კომპანიამ რამდენჯერმა შემოგვთავაზა და ეს რამდენჯერმე შემახსენა კანცელარიის ადმინისტრაციის უფროსმა მაია ცქიტიშვილმა, რომ უხერხული იყო, ქართველებისთვის უარი გვეთქვა. ვიქირავეთ მათგან და მათაც ფული გადავუხადეთ. კომერციულად საათის ღირებულება როგორც არის საზღვარგარეთ, ისევე გადავიხადე აქაც, არაფერი სხვაობა არ იყო. რა აქვს მას მხედველობაში, ეს თქვენ გაარკვიეთ, — განაცხადა ივანიშვილმა.

პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, ახალსა და ძველ ხელისუფლებას შორის სხვაობის ორი კარგი მაგალითი არსებობს.

პრემიერ-მინისტრის თქმით, ძველი და ახალი ხელისუფლების განმასხვავებელ ამ ორ მაგალითს, იგი ევროპაში შეხვედრების დროს კარგად იყენებს.

— ჩვენ გავანადგურეთ პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეომასალები. ამის ორგანიზება რომ გაეწიათ, ამაზე მინიმუმ 100 მილიონზე მეტი იყო დახარჯული. მაღალი თანამდებობის პირები აცხადებენ, რომ არ იცოდნენ, მაშინ საიდან მოვიდა ეს 100 მილიონი, ციდან ჩამოფრინდა? ჩანაწერებიდან ერთ-ერთი გელა ხვედელიძემ გამოაქვეყნა და ჩვენ ის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მივეცით. ის გუნდურობის პრინციპი, რაც მათ ჰქონდათ, ის იყო, რომ მათი გუნდი არ უნდა დაზარალებულიყო, დანარჩენებს კი ციხეებში ყრიდნენ. — განაცხადა ივანიშვილმა.

რაც შეეხება მეორე მაგალითს, პრემიერ-მინისტრის თქმით, ეს იყო სოფლის მეურნეობის ყოფილი მინისტრის, დავით კირვალიძის ირგვლივ განვითარებული მოვლენები.

— კირვალიძე ჩემი ფავორიტი მინისტრი იყო და ახლაც დიდ პატივს ვცემ. ამ სამინისტროში არაფერი კატასტროფა არ მომხდარა. იყო კითხვები, შესრულების პროცესში გადაცდომა იყო და ნახეთ, როგორ კულტურულად მოვიქეცით. გადადგა მინისტრი და საქმე სასამართლომდე მივიდა. მე გავწირე საუკეთესო მინისტრი, როდესაც მან გადადგომა მოითხოვა. ეს არის პრინციპული სხვაობა ჩვენსა და წინა ხელისუფლებას შორის. — განაცხადა ივანიშვილმა.

პრემიერმა ჟურნალისტების კითხვას ცესკოს ახალ თავმჯდომარესთან დაკავშირებითაც უპასუხა. მისი თქმით, თამარ ჟვანია იქნება გარანტი იმისა, რომ ოქტომბერში პრეზიდენტის არჩევნები თავისუფალ და სამართლიან გარემოში ჩატარდება.

— თამარ ჟვანია არის კანდიდატურა, რომელსაც მხარს უჭერენ წამყვანი პოლიტიკური პარტიები და სამოქალაქო საზოგადოება. მჯერა, რომ ის გამოიყენებს თავის გამოცდილებას იმისათვის, რომ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უზრუნველყოს 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება თავისუფალ და სამართლიან გარემოში. — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

კიდევ ერთი განცხადება ივანიშვილმა ტელეკომპანია „იმედთან“ დაკავშირებით გააკეთა. მთავრობამ ტელეკომპანია „იმედთან“ დაკავშირებით ყოფილ ხელისუფლებასა და ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის წევრებს შორის დადებულ ხელშეკრულებაზე გრიფი „საიდუმლო“ მოხსნა.

— „იმედთან“ დაკავშირებულ თემას გრიფი „საიდუმლო“ მოვხსენით. უნდა ნახოთ, რა შეთანხმებაზეა ხელი მოწერილი სახელმწიფო ჩინოვნიკებსა და ოჯახის წევრებს შორის. უფლება არ მაქვს ეს გავახმაურო, მაგრამ ისეთ რამეებს მალავდნენ, რაც არ არის დასამალი და წინ არის გამოსატანი. თმა ყალყზე დამიდგა, რაც მე იქ ვნახე და რაზეც არის ხელისუფლების ჩინოვნიკებსა და ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის წევრებს შორის დადებული ხელშეკრულება. — განაცხადა ივანიშვილმა.

ივანიშვილის განცხადებით, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა საზოგადოებრივ მაუწყებელსაც ტოტალურად აკონტროლებდა. მან ამის შესახებ ჟურნალისტებს საზოგადოებრივ მაუწყებელში განვითარებული მოვლენების შეფასებისას განუცხადა.

— საზოგადოებრივ მაუწყებელს ნაციონალური მოძრაობა ტოტალურად აკონტროლებდა. მათი არჩეულია საბჭო. ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ იმისთვის, რომ ის ცვლილებები, რაც საზოგადოებრივ მაუწყებელთან დაკავშირებით მოხდა, ევროპელებისათვის გასაგები ყოფილიყო. საზოგადოებრივი მაუწყებლის მიმართ პარიტეტი მაქსიმალურად დავიცავით. ვცდილობდით, რომ ის თანმიმდევრულად გარდაქმნილიყო და საზოგადოების სამსახურში ჩამდგარიყო. ვფიქრობ, ეს არის მცდელობა ძველი გუნდისგან, რაც ხდება საზოგადოებრივ მაუწყებელში. არ მინდა, ამ თემაზე დიდი დასკვნები გავაკეთო. — აღნიშნა ივანიშვილმა.

პრეზენტაციას ესწრებოდა თავდაცვის მინისტრი. ირაკლი ალასანია „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს“ სამინისტროსთვის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ ჯილდოს გადაცემისთვის მადლობას უხდის.

— შარშან ჩვენი სტრუქტურა იყო ყველაზე ოროსნების კატეგორიაში, როგორც ყველაზე გუმჭვირვალე. წელს კი, გამჭვირვალობის უზრუნველყოფაში დიდი მიღწევისთვის დაგვაჯილდოვეს. ეს ჩვენთვის დიდი სტიმულია. ჩვენ მოქალაქეების წინაშე ანგარიშვალდებულნი ვართ, რაც მთავრობის პოლიტიკის ხორცშესხმაა.

— საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ თითოეული თეთრი, რომელიც უწყებისთვის არის გამოყოფილი, ჯარისკაცს ხმარდება. — განაცხადა ალასანიამ.

თავდაცვის სამინისტროს მიერ გაცემული საჯარო ინფორმაციის მაჩვენებელი საპარლამენტო არჩევნების შემდეგ 0-დან 84 პროცენტამდე გაიზარდა.

ალასანიამ კომენტარი ვერტმფრენებზეც გააკეთა. მისი განცხადებით, ფრანგული წარმოშობის ვერტმფრენებს არანაირი თავდაცვითი დანიშნულება არ ჰქონდა და ის უნდა გასხვისდეს.

# ვანო მერაბიშვილი: „ციხეში ქალს არ მაკარებენ“

შორენა მარსაგიშვილი

**უკვე რამდენიმე დღეა რაც ნაცმოძრაობის გენერალური მდივანი ყურადღების ცენტრშია. წინა კვირაში ერი მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო აანერვიულეს ნაციონალებმა. მერე იმაზე გვანერვიულეს ყოფილმა პრემიერმა 17 კილოგრამი დაიკლო. ამ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ საქართველოში ყველა ცნობილი დიეტოლოგის საქმე ცუდად წავიდა. ნახევარი საქართველო სოზარ სუბარს მიაწყდა და მატროსოვზე ერთი კაი დიეტოლოგიური კლინიკის გახსნა სთხოვა.**

ექიმებმა მერაბიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ შემაძრწუნებული დასკვნა დადეს. მათი განცხადებით, ნაცმოძის გენმდივანს იშვიათი დაავადება სჭირს და ტრანსპორტირებას ვერ გაუძლებს. მერაბიშვილის სასამართლო სხდომები როგორც ცნობილია ქუთაისში იმართება.

მორიგი სასამართლო სხდომა გუშინ გაიმართა. გულქვა ხელისუფლებამ არ გაითვალისწინა ექიმების მოთხოვნა და მერაბიშვილი კვლავ ქუთაისის გზას გაუყენეს. სასამართლო სხდომას ნაცმოძის ელიტა დაესწრო. სხდომაზე შოუბიზნესის რამდენიმე წარმომადგენელიც ყელყელაობდა. ნაპრემიერალის სასამართლო პროცესს მისი მეუღლე თაკო სალაყაიაც ესწრებოდა.

როგორც ბოროტი ხმები ამბობენ, ნაციონალების ნაწილს ვანო მერაბიშვილის გაწირვა აქვს გადაწყვეტილი. ეს ამბავი პატიმრობაში მყოფ ქვეყნის ხერხემალსაც გაუგია და თანაპარტიელებისთვის არცთუ სასიამოვნო რამეები შეუთვლია. მავანსა და მავანს კი კომპრომატების გამოქვეყნებით დაემუქრა. ალბათ ეჭვი არავის გეპარებათ რომ ამ კაცს კომპრომატები ოხრად აქვს შემონახული, როგორც ოპონენტებზე ასევე თანამოაზრებზე და მათ შოის მიხეილ სააკაშვილზეც.

გამოაქვეყნებს თუ არა მერაბიშვილი ამ კომპრომატებს ვერაფერს გეტყვით. ეს ალბათ იმაზე იქნება დამოკიდებული როგორ წარიმართება მის გარშემო პროცესები.

გუშინდელ სასამართლო პროცესს ვანო და მისი რაზმი გულის ფანცქალით ელოდა. ექიმების განცხადების შემდეგ ყველა ველოდით, რომ სასამართლოზე მოტეხილ ვანოს ვიხილავდით. თუმცა როგორც ჩვენს პრეზიდენტს უყვარს თქმა, ნურას უკაცრავად. მერაბიშვილი მშვენიერ ფორმაში იყო და არც ხასიათს უჩიოდა.

ნაცმოძელებს სულ ჰაეროვანი კოცნები უგზავნა. ჰაეროვანი კოცნების ამბავში მას ვალში არც თანაპარტიელები დარჩნენ. მისთვის არც ტაში დანანებიათ. დეპუტატი გოგა ხაჩიძე კი ფეისბუქთან გამაგრდა და იქედან აუწყებდა ფრენდებს სასამართლოში მიმდინარე პროცესებს.

სასამართლომდე რამდენიმე დღით ადრე ნაპრემიერალმა საგანგებო განცხადება გაავრცელა. სადაც ხაზგასმით აღნიშნა პოლიტპატიმარი ვარო.

— ამ კვირაში ჩემს წინააღმდეგ წაყენებული ერთ-ერთი ბრალდების თაობაზე სასამართლო პროცესი იწყება. მეც და ჩემი დამცველებიც ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ როგორც ამ, ასევე ყველა სხვა საქმეზე სასამართლოში ჩემი სრული უდანაშაულობა დავამტკიცოთ.

ძალიან კარგად მესმის, რომ ეს პოლიტიკური პროცესია და მე ივანიშვილის მთავრობის პოლიტიკური პატიმარი ვარ. ისიც მესმის, რომ ჩემი დაპატიმრება მოხდა მთავარი ოპოზიციური პარტიის, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დასასუსტებლად და მოახლოებული არჩევნების წინ ჩვენი პარტიის რიგებში დაბნეულობისა და დეზორგანიზაციის შემოსატანად.

მინდა კიდევ ერთხელ განვმარტო საზოგადოებისთვის — ქუთაისის სასამართლოში ეს საქმე წამოიღეს მხოლოდ იმიტომ, რომ პროკურატურას მოსამართლე ახალბედაშვილისგან გარანტია ჰქონდა მიღებული, რომ ის გამოიტანდა ჩემი წინასწარ პატიმრობაში აყვანის სრულიად დაუსაბუთაბელ და უკანონო განაჩენს.

შემდეგი ნაბიჯი იყო, როდესაც მოსამართლე გურულს გადაწყვეტილება ძალაში დაატოვებინეს. ესეც უპრეცედენტო დარღვევაა! მოსამართლე გურული საერთოდ არ იყო უფლებამოსილი განეხილა ეს საკითხი. საქართველოს კანონმდებლობით ამ მოსამართლეს არ ჰქონდა უფლება მიეღო გადაწყვეტილება, მაგრამ იმდენად დიდია ივანიშვილის სურვილი, რომ მე ციხეში ვიყო, რომ მთავრობა ამ პროცედურულ დარღვევებზეც წავიდა.

ამ დარღვევებს დარწმუნებული ვარ სტრასბურგის სასამართლო ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს. როგორც საერთაშორისო, ასევე ჩვენი საზოგადოება სულ მალე დარწმუნდება, რომ სახეზეა მხოლოდ პოლიტიკური დევნა და ამ ყველაფერს საერთო არ აქვს სამართალსა და სამართლიანობასთან.

ყველა ჩემ გულშემატკივარს კიდევ ერთხელ დიდ მადლობას ვეუბნები სამართლებრივი ბრძოლის ამ ახალი რაუნდის დაწყების წინ! — ეს მოიწერა ციხიდან რამდენიმე დღის წინ მერაბიშვილმა.

## მჟავე, მწარე და ქალები...

შს მინისტრობის დროს ვანო მერაბიშვილი საუბრით დიდად არ გამოირჩეოდა. ქართულ მედიას მისი საუბრის მოსმენა სანატრელი გქვონდა. სამაგიეროდ მოსმენა უყვარდა ძალიან. ბოლო ხანებში წერა შეიყვარა და ციხიდან უსტარსუსტარზე იწერება. სასამართლოს გუშინდელ სხდომაზე კი ისეთი მაზალო განცხადებები გააკეთა მთელი ერი მაგაზე ლადაობდა.



ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე პროცესზე ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ვანო მერაბიშვილის ადვოკატებმა მოსამართლის აცილების შუამდგომლობა დააყენეს და მოითხოვეს, რომ საქმე დასავლეთ საქართველოს სასამართლოებში არ გაიმართოს. ადვოკატების განცხადებით, მერაბიშვილისთვის აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების გადაწყვეტილების ძალაში დატოვებასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის, მალხაზ გურულის მიერ მიღებული მიკერძოებული გადაწყვეტილების საფუძველზე აქვთ ეჭვი, რომ დასავლეთ საქართველოს ყველა სასამართლო მიკერძოებული იქნება. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატმა გიორგი ჩივიაშვილმა დასავლეთ საქართველოს სასამართლოების აცილება მოითხოვა.

ადვოკატის აღნიშნულ პოზიციას პროკურორი ნათია სონღულაშვილი გამოეხმაურა. მისი თქმით, ერთი პროცენტითაც რომ დავუშვათ იმის ალბათობა, რომ სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე მალხაზ გურულმა გადაცდომა ჩაიდინა, არ ნიშნავს იმას, რომ დასავლეთ საქართველოს სხვა სასამართლოების მოსამართლეებიც მიკერძოებული იქნებიან. აღნიშნულის გამო პროკურორი დაცვის შუამდგომლობას არ დაეთანხმა. საბოლოოდ, შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა არც მოსამართლე დგვარელმა.

ვანო მერაბიშვილის ადვოკატმა გიორგი ჩივიაშვილმა კი ბრალდების მხარეს მიმართა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას არაუფლებამოსილი მოსამართლის მიერ აღმკვეთ ღონისძიებასთან დაკავშირებით სტრასბურში გაასაჩივრებს და აუცილებლად მოიგებს.

ადვოკატების ინფორმაციით, მალხაზ გურული, რომელმაც ძალაში დატოვა ვანო მერაბიშვილისთვის აღმკვეთი ღონისძიება — პატიმრობა, არაა საგამოძიებო პალატის მოსამართლე და შესაბამისად, უფლება არ ჰქონდა ეს საჩივარი განეხილა.

გუშინდელ სხდომაზე ვანო მერაბიშვილის მიერ წარმოთქმულმა სიტყვამ დიდი ჟრიამული გამოიწვია. სოციალურ ქსელებში ერი ვანოს განცხადებებზე მაგრად ხალიხობდა.

— მე არ მიკვირს და ვთვლი, რომ მოსამართლე არის ვაჟკაცური ადამიანი, რომელმაც თავის თავზე აიღო დიდი დარტყმა და სხვა მოსამართლეებს თავიდან აიცილა ის ვალდებულება, რომელიც აღებული აქვს. სხვათა შორის, მან სახელიც გაითქვა, რადგან მის სახელსა და გვარს ბევრი ვერც გაიგებდა დიდი ხნის განმავლობაში. მინდა ვთქვა, რომ აზრი დაეკარგა სერიოზულ მომზადებას ამ პროცესისთვის იმიტომ, რომ საბოლოოდ ცნობილია შედეგი რომელიც დადგება, რადგან ბატონი გურული არის ყველა დასავლეთ საქართველოს სასამართლოს ხელმძღვანელი და ვერც ერთი მოსამართლე ვერ გაუძლებს პრესს ხელისუფლებისგან და მითუმეტეს ვერ გაუძლებს ამ პრესსინგს, რომელიც თან დაერთვება კიდევ მისი უშუალო ხელმძღვანელობით. მინდა გითხრათ, რომ ბატონი გურული არის დასავლეთ საქართველოს ყველა მოსამართლის უშუალო ხელმძღვანელი ეს ხელისუფლება ცივ ნიავს არ მაკარებს, მჟავეს, მწარეს არ მაჭმევს, ვყავარ დიეტაზე, ჩემს ცოლს არ უშვებენ და ქალს არ მაკარებენ, ქუთაისში დავყავარ, შეგუებული ვარ, რაც მელოდება და იუმორით ვუყურებ ამ ყველაფერს, — განაცხდა მერაბიშვილმა.

## 26 მაისი და გირგვლიანი საქმე

2011 წლის 26 მაისის სისხლიანი ღამე კარგა ხანს დარჩება ჩვენს ისტორიაში. ამ დარბევის ერთ-ერთი შემოქმედი ვანო მერაბიშვილი იყო. რომელსაც მაშინ შს მინისტრის პოსტი ეკავა. მაისის თვეში თბილისის საქალაქო სასამართლომ ნაციონალური მოძრაობის გენერალურ მდივანს, ვანო მერაბიშვილს 26 მაისის საქმეზე წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. მერაბიშვილს, 2011 წლის 26 მაისის მოვლენებში მონაწილეობასთან დაკავშირებით ბრალიც დაუმძიმდა.

– 2013 წლის 18 მაისს, ივანე მერაბიშვილი ცნობილ იქნა ბრალდებულად დამამძიმებელ გარემოებებში სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისათვის, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით. ინკრიმინირებული ქმედება ითვალისწინებს ხუთიდან რვა წლამდე თავისუფლების აღკვეთას.

2011 წლის 26 მაისს იმდროინდელი შინაგან საქმეთა მინისტრის ივანე მერაბიშვილის უშუალო დავალებითა და ხელმძღვანელობით დაიგეგმა არა საპროტესტო აქციის დაშლის, ანუ მასში მონაწილე პირების შეკრების ადგილიდან პროპორციული ძალის გამოყენებით გაძევებისა და გაფანტვისათვის ორგანიზებული ლეგიტიმური ღონისძიება, არამედ განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონე ადამიანებზე ფართომასშტაბიანი და განურჩეველი თავდასხმა, რომლის გამოკვეთილი მიზანი იყო მათი მასობრივი დაკავება, დაშინება, დასჯა, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზემოქმედების განხორციელება.

პოლიციამ წინდაწინ გადაკეტა მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის, საქართველოს პარლამენტის ყოფილი შენობის, კინოთეატრ „რუსთაველისა“ და სხვა მიმდებარე ქუჩები. დაახლოებით 00 საათსა და 10 წუთზე, პირადად ივანე მერაბიშვილის ბრძანებითა და კონტროლით, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა საპირისპიროდ, კერძოდ, მომიტინგეებისათვის ტერიტორიის ნებაყოფლობით დატოვებისათვის აუცილებელი გონივრული ვადის მიცემის გარეშე, მხოლოდ ფორმალური გაფრთხილების შემდეგ, საპოლიციო ქვედანაყოფებმა დაუყოვნებლივ დაიწყეს მიტინგის დაშლის ოპერაცია.

წყალსატყორცნი საშუალების გამოყენებისთანავე, არსებითი წინააღმდეგობის გარეშე, მომიტინგეები შეეცადნენ გაქცევას, თუმცა, წინასწარ შეთანხმებული ზემოაღნიშნული გეგმის შესაბამისად, მათ განზრახ არ მიეცათ ტერიტორიიდან უსაფრთხოდ გასვლისა და პოლიციის მოთხოვნის შესრულების შესაძლებლობა. შესაბამისად, ალყაშემორტყმულ მშვიდობიან მოქალაქეებზე ერთდროულად და ინტენსიურად რამდენიმე მიმართულებიდან განხორციელდა რეზინის ხელკეტებითა და ტყვიებით აღჭურვილი პოლიციის რაზმების იერიში როგორც ქუჩაში, ასევე შენობებში, რა დროსაც შეგნებულად გამოყენებულ იქნა გაუმართლებლად არათანაზომიერი და გადაჭარბებული ძალა. შედეგად, გარდაიცვალა ორი (მათი სიკვდილის მიზეზის დასაზუსტებლად გამოძიება გრძელდება), დასახიჩრდა და ჯანმრთელობის სხვადასხვა ხარისხის დაზიანებები მიიღო სამასამდე ადამიანმა. უსაფუძვლოდ დაკავებული იქნა რამდენიმე ათეული პირი.

გამოძიებით ასევე დადგენილია, რომ იმჟამინდელმა ხელისუფლებამ საერთაშორისო საზოგადოებისა და საქართველოს მოსახლეობის დეზინფორმირებისა და შეცდომაში შეყვანის მიზნით, პოლიციელთა უკანონო ქმედებებზე მოახდინა მხოლოდ თვალთმაქცური რეაგირება. კერძოდ, არსებული ვითარების გაუბრალოებისა და, რაც მთავარია, დანაშაულში ივანე მერაბიშვილისა და სხვა მაღალი თანამდებობის პირების მონაწილეობის შენიღბვის მიზნით, დისციპლინური წესით მოჩვენებითად დაისაჯა შინაგან საქმეთა სამინისტროს 15 თანამშრომელი, რომელთაგან არც ერთი უშუალოდ არ მონაწილეობდა მიტინგის დაშლაში. მათ შორის, საყურადღებო და ხაზგასასმელია, რომ სამი მათგანი აქციამდე იყო დათხოვნილი შინაგან საქმეთა ორგანოებიდან, — ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

26 მაისის დარბევის საქმეში მერაბიშვილი თავს უმწიკვლოდ მიიჩნევს. ამის დასტურად მას ამერიკელების დასკვნა მოჰყავს. როგორც გაირკვა ამერიკელი ექსპერტები დარბევის მონიტორინგს ახორციელებდნენ. მერაბიშვილის ადვოკატების მტკიცებით, ამ დასკვნით მერაბიშვილის უდანაშაულობა მტკიცდება. პროკურატურაში კი საპირისპიროს ამტკიცებენ.

საქართველოს შს ყოფილ მინისტრს, ვანო მერაბიშვილს ბრალი რამდენიმე მუხლით, სანდრო გირგვლიანის საქმეზეც დაუმძიმდა.

პროკურატურის განცხადების მიხედვით, ვანო მერაბიშვილისთვის ცნობილი იყო სანდრო გირგვლიანის მკვლელობის უკლებლივ ყველა დეტალი, რის შემდგომაც მან უზრუნველყო ფალსიციფიცირებული საქმის წარმოება.

კერძოდ, პროკურატურამ დაადგინა ვანო მერაბიშვილის მიერ დანაშაულის წახალისება, ფარული მხარდაჭერა დანაშაულის დაფარვისათვის, ასევე სასჯელის ვადამდე ადრე გათავისუფლების ქმედებებისთვის. გამოძიების ინფორმაციით, ვანო მერაბიშვილმა დანაშაული საკუთარი მოტივებით ჩაიდინა.

— სანდრო გირგვლიანზე ანგარიშსწორებაში, რასაც ამ უკანასკნელის გარდაცვალება მოჰყვა, დ. ახალაიას გარდა მონაწილეობდნენ არა მხოლოდ ზემოაღნიშნული განაჩენით მსჯავრდებული პირები, არამედ, როგორც მინიმუმ, პოლიციის კიდევ ორი მაღალი თანამდებობის პირი“,-ნათქვამია განცხადებაში.

გამოძიებით დადგინდა, რომ მკვლელობაში მსჯავრდებულებმა დუმილის სანაცვლოდ მიიღეს ფულადი ანაზღაურება და მათი პატიმრობაში ყოფნა არ განსხვავდებოდა თავისუფლებაზე მყოფი ადამიანების ცხოვრებისგან.

ამასთან, განცხადების მიხედვით, შს და სასჯელაღსრულების თანამშრომლების ხელშეწყობით, მსჯავრდებულები ტოვბდნენ ციხეებს და იმყოფებოდნენ იყვნენ კუდ-ის დეპარტამენტის შტატში. პროკურატურის განცხადებით, პრეზიდენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნული მსჯავრდებულების გათავისუფლების შესახებ ტენდენციური გადაწყვეტილება იყო.

პროკურატურა არ გამორიცხავს, რომ ამ საქმესთან დაკავშირებით, გამოძიების შედეგად გამოვლინდეს სხვა პიროვნებების ბრალეულობა.

ნაციონალები ვანო მერაბიშვილს პოლიტპატიმრად მიიჩნევენ. ამის შესახებ მათ გუშინაც გააკეთეს გულისამაჩუყებელი განცხადებები. ნაცმოძი იმედოვნებს, რომ მერაბიშვილი მალე გამოვა გარეთ.

ხმები ვანო მერაბიშვილის გათავისუფლების შესახებ უკვე დიდი ხანია ვრცელდება. მის მხარდასაჭერად ევროპარლამენტარებიც საეჭვოდ აქტიურობენ. თბილისში ჩამოსულები არ არიან, რომ მატროსოვზე გარბიან ვანოს სანახავად. საიდანც შეშფოთებული სახეებით გამოდიან და საქართველოს ხელისუფლებას გმობენ.

საინტერესოა, სად იყვნენ ეს ევროპარლამენტარები აქამდე? რატომ დუმდნენ როცა ციხეებში სხვა პატიმრებს მათ შორის ყოფილ მაღალჩინოსნებს აწამებდნენ?

# გელა ნიკოლაიშვილი: „მერაბიშვილი და ახალაია ციხეში დიდხანს დარჩებიან“



ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ უფლებათადამცველ გელა ნიკოლაიშვილთან

***— ბატონო გელა, ბოლო პერიოდში ვანო მერაბიშვილის ადვოკატები საკმაოდ ბევრს საუბრობენ მისი ავადმყოფობის შესახებ, თითქოსდა, ის მძიმე სენით არის დაავადებული. უკვე საუბარია იმის თაობაზე, რომ იულია ტიმოშენკოს მსგავს სცენარს ამუშავებენ მისი თანაგუნდელები, რომ როგორმე დაუძვრეს ციხეს ყოფილი პრემიერი. თქვენ რა ინფორმაციებს ფლობთ აღნიშნულთან დაკავშირებით და მოვლენების როგორი სცენარით განვითარებას ელით?***

— მე ვფლობ იმ ინფორმაციებს, რაც ოფიციალურად ვრცელდება და მხოლოდ შემიძლია, ლოგიკურად გამოვიტანო ის დასკვნები, რაც ამ ინფორმაციიდან შეიძლება გამომდინარეობდეს, კერძოდ, ის ფაქტი, რომ ნაციონალური მოძრაობა ტიმოშენკოს მსგავსად ცდილობს მის ციხიდან გამოყვანას. ამ ინფორმაციას მეც მოვკარი ყური და აქ არც გასაკვირია არაფერი, არც მოულოდნელი. სრულიად ბუნებრივია, რომ მისი პარტიული თანამებრძოლები ცდილობენ მისი ციხიდან დახსნას, ისევე, როგორც ტიმოშენკოს თანამებრძოლებს აქვთ ეს მცდელობა. აქ გასაკვირი არაფერია. რაც შეეხება მისი ჯანმრთელობის მდგომარეობას, მე არა მაქვს საფუძველი, რომ არ ვენდო ოფიციალურ ინფორმაციას, იმიტომ რომ ამ ინფორმაციას ადასტურებენ, ფაქტობრივად, მისი ოჯახის ექიმი, ახლობელი ექიმი, რომელიც ამ ოთხი დღის წინ ესწრებოდა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევას და თქვეს, რომ ის პრაქტიკულად ჯანმრთელია. ახლა, რასაკვირველია, არასახარბიელო სიტუაციის გამო, შესაძლოა ჯანმრთელობა არის გაუარესებული, არა მხოლოდ მისი, არამედ ნებისმიერი პატიმრის, იმიტომ რომ იქ კურორტი არ არის, თუმცა მე მაქვს ინფორმაცია, რომ ის სხვებთან შედარებით, ასევე ბაჩო ახალაიაც, არიან გაცილებით უკეთეს პირობებში, ვიდრე სხვები. მე არ ვამბობ, რომ პატიმრისთვის პირობები არ უნდა იყოს ნორმალური, მაგრამ ასევე სხვა პატიმრებისთვისაც უნდა იყოს ისეთივე პირობები, როგორიც მისთვის ანუ სხვისთვისაც უნდა გაუმჯობესდეს პირობები.

***— დიახ, ყველა საუბრობს იმის თაობაზე, რომ ციხეში ვანო მერაბიშვილი განსაკუთრებულ „პატივშია“...***

— რამდენიმე დღის წინ ნანა კაკაბაძემ მოინახულა ის ადგილი, სადაც ისინი იმყოფებიან და სწორედ მისგან მაქვს ეს ინფორმაციები. მე პირადად ვესაუბრე ნანას და ის იყო პირდაპირ შოკირებული იმ კომფორტული პირობებით, რომელიც სხვა პატიმრებთან შედარებით აქვთ ამ ადამიანებს. აქედან გამომდინარე, მე არ ვფიქრობ, რომ მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ პირობების გამო შეიძლება გაუარესებული იყო. თუმცა ციხე მაინც ციხეა, შეზღუდულია გადაადგილება, სივრცე და რასაკვირველია თავისი ფსიქოლოგიური და ნერვიული პრობლემები ახლავთ მათ თან და ახლა იდეალური ჯანმრთელობა ვერც მათ და ვერც ერთ პატიმარს ვერ ექნება.

***— თქვენ როგორ ფიქრობთ, რამდენად არის შანსი, რომ ეს ვარიანტი გამოუვიდეთ ნაციონალებს და ის გაიყვანონ საქართველოს ფარგლებს გარეთ?***

— თუ ისევ ტიმოშენკოს ანალოგიას გამოვიყენებთ, ამის შანსი მცირეა. იგივე ტიმოშენკოც, დიდი მცდელობის მიუხედავად, დღესდღეობით ისევ ციხეშია. ისე რომ, ბაჩო ახალაიაც და ვანო მერაბიშვილიც, მე ვფიქრობ და ეს კანონზომიერია და სამართლიანობა მოითხოვს ამას, რომ თავისი დანაშაულის შესაბამისად აგებენ პასუხს და საკმაოდ დიდი ხნითაც დარჩებიან ციხეში. მათ რომ საკმაოდ მძიმე დანაშაულები აქვთ ჩადენილი, მე ამაში ეჭვი არ მეპარება.

***— ბაჩო ახალაია ახსენეთ და თქვენ ფიქრობთ, რომ მის მიმართ არ დადგება გამამართლებელი განაჩენი?***

— გამამტყუნებელი განაჩენი ბაჩო ახალაიას მიმართ, ჩემი ვარაუდით და ჩემი მონაცემებით, ყველა შემთხვევაში უნდა დადგეს, მიუხედავად პროკურატურის სისუსტისა და პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებათა სიმცირისა, მაინც ეს მტკიცებულებანი არსებობს და სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ დადგეს გამამტყუნებელი განაჩენი. რასაკვირველია, ეს არ იქნება მეასედიც კი იმ დანაშაულებისა, რაც მას აქვს ჩადენილი ყოველდღიურად, განსაკუთრებით კი სასჯელაღსრულებისა და თავდაცვის მინისტრობის პერიოდში. თუმცა რადგანაც შეუძლებელია ამ ყველაფრის დამტკიცება, ის, რაც მას წარდგენილი აქვს ეს მტკიცებულებები, არის მყარი და, აქედან გამომდინარე, ბაჩო ახალაიასაც და ვანო მერაბიშვილსაც აუცილებლად შეეფარდება გარკვეული სასჯელი გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე.

***— სააკაშვილს რა ბედი ელის, თქვენი აზრით? ამბობენ, რომ პროკურატურას უკვე მზად აქვს მტკიცებულებანი და არჩევნების შემდეგ აუცილებლად დადგება დღის წესრიგში მისი დაპატიმრების საკითხი... თქვენი ინფორმაციით, რამდენად არის ეს ასე?***

— ჩვენ თუ ვაშენებთ სამართლებრივ სახელმწიფოს, ეს ასეც უნდა მოხდეს. მე არავისი პატიმრობა არ მიხარია, არც ახალაიასი, არც მერაბიშვილის და არც სააკაშვილის გამიხარდება, მაგრამ ეს სჭირდება სახელმწიფოს. სახელმწიფოს, პირველ რიგში, სჭირდება მათი გამამტყუნებელი განაჩენი და ერთი თვე ისხდებიან ისინი თუ 30 წელი, ამას ჩემთვის არა აქვს დიდი მნიშვნელობა. მათთვის და საზოგადოებისთვის, რა თქმა უნდა, აქვს დიდი მნიშვნელობა, მაგრამ ჩემთვის ამას მნიშვნელობა არ აქვს. ჩემთვის მნიშვნელობა აქვს გამამტყუნებელ განაჩენს. ეს ადამიანები უნდა გამოცხადდნენ დამნაშავეებად, იმიტომ რომ მათ ჩადენილი აქვთ ბევრი დანაშაული. მე ვფიქრობ, ადრე თუ გვიან სააკაშვილის მიმართაც დადგება აუცილებლად გამამტყუნებელი განაჩენი. მე ვფიქრობ, უფრო ადრე, ვიდრე გვიან და ეს 2014 წლის იქით აღარ უნდა გადავიდეს. ეს მოხდება დაახლოებით ერთი წლის ფარგლებში.

***— რადგან დანაშაულებზე ვსაუბრობთ, აქვე მინდა განადგურებული პირადი ცხოვრების ამსახველი მასალების თაობაზეც გკითხოთ. რამდენად სწორი გადაწყვეტილება მიიღო ამ შემთხვევაში შს სამინისტრომ?***

— მე ვფიქრობ, რომ არასწორი გადაწყვეტილება იყო. ეს ნამდვილად იყო მტკიცებულებების განადგურება და მე თავიდანაც იმ აზრის ვიყავი, როდესაც ამაზე ლაპარაკი დაიწყო. დღესაც ამ აზრის ვარ, თუმცა ის 20 ათასზე მეტი ფირი, რომელიც არის დარჩენილი, სრულიად საკმარისია მათი შემქმნელების თუ დავალების მიმცემების გასასამართლებლად. მაგრამ თვითონ ის ფაქტი, რომ სახელმწიფოს არ შეუძლია, ისე შეინახოს, ისე დაიცვას ეს ფირები, რომ არ გამჟღავნდეს, ეს თავისთავად საგანგაშოა. გამომდინარე იქიდან, რომ ეს მაინც გამჟღავნდებოდა და ვერ შეინახავდნენ ისე, რომ ის არ ყოფილიყო ცნობილი საზოგადოებისთვის და ეს იყო ამის ერთადერთი მოტივი. არადა, დარწმუნებული ვარ და ამის თაობაზე თავად შინაგან საქმეთა მინისტრმაც განაცხადა, რომ არსებობს ასლები. ეს ხომ არ არის იარაღი ან ნარკოტიკი, რომ გაანადგურო საჯაროდ და მორჩა, მისი აღდგენა შეუძლებელი იყოს. ეს არის ფირი, რომლის გადაწერაც აქამდე ძალიან ბევრჯერ მოხდებოდა და, მე დარწმუნებული ვარ, რომ ამის გადამღებებს აქვთ ეს კომპრომატები და ისინი აუცილებლად გამოიყენებენ, თუ ამის საჭიროებას დაინახავენ.

***— ამბობენ, რომ კოალიციის საკმაოდ ბევრ წევრზე, მაღალი თანამდებობის პირებზე არსებობს ეს კომპრომატები, ის ნაციონალებთან ინახება. სწორედ ამით აშანტაჟებენ ახალ ხელისუფლებას და ამიტომაც არის ეს კოჰაბიტაციური რეჟიმი. თქვენი აზრით, რამდენად არის ასე და მართლაც მიდიან თუ არა შანტაჟზე ნაციონალები?***

— თვითონ „ქართული ოცნების“ ქცევა, პოლიტიკური მიმართება და დამოკიდებულება ნაციონალურ მოძრაობასთან ამ დასკვნის გაკეთების საფუძველს იძლევა, თუმცა მე, პირადად, არ ვფიქრობ, რომ ყოველ შემთხვევაში ეს ასეა და ასეთი დამოკიდებულება ოცნების ხელმძღვანელობის და ოცნების პოლიტიკა, ე.წ. კოჰაბიტაციური ნაციონალურ მოძრაობასთან, ამით იყოს განპირობებული. მე ვფიქრობ, რომ ბიძინა ივანიშვილმა ნათლად ახსნა, ვინც გაიგო ტექსტითაც, ქვეტექსტითაც, თუ რამ გამოიწვია ასეთი პოლიტიკა. ე.წ. კოჰაბიტაციური მიდგომა თანაცხოვრების და ლოიალური დამოკიდებულება ნაციონალებთან. მან პირდაპირ თქვა, ჩვენ რომ კიდევ რამდენიმე კაცი დაგვეჭირა, საერთოდ უნდა დაგვენებებინა ფიქრისთვის თავი, რომ ვილნიუსის სამიტზე რაიმე წარმატებას მივაღწევდითო. მას პირდაპირ ეუბნებიან დასავლეთში, რომ რადგან ნაციონალურმა მოძრაობამ შექმნა ასეთი ფონი, თითქოს ისინი პოლიტიკური დევნის მსხვერპლნი ხდებიან, მას და იმ პირებს, ვისაც ურთიერთობა აქვთ დასავლეთის წრეებთან პირდაპირ უთხრეს, რომ ასეთი პოლიტიკის გაგრძელების შემთხვევაში საქართველოს ხელისუფლება გამოცხადდებოდა არადემოკრატ ხელისუფლებად, განსხვავებული აზრის მდევნელად და, ერთი სიტყვით, ჩვენი ხელისუფლება ამას მოერიდა. ამხელა პაუზა პოლიტიკურად შეიძლება გამართლებულიც იყოს ივანიშვილის და მისი გუნდის მხრიდან და მან პირდაპირ განაცხადა, რომ სამართლიანობის აღდგენა შეჩერდა ამა და ამ მიზეზის გამო. რამდენადაც პოლიტიკურად შეიძლება მომგებიანი იყოს ვილნიუსის სამიტისთვის, მეორე მხრივ, მორალურად რა თქმა უნდა, ეს გაუმართლებელია. სამწუხაროდ, ყოველთვის ისე არ არის, რომ პოლიტიკა და მორალი ერთმანეთთან შესაბამისობაშია და პოლიტიკა მორალს ყოველთვის ექვემდებარება. აი, ამ რთული არჩევანის წინაშე იყო ივანიშვილის ხელისუფლება. ვნახოთ, ამ არჩევნების შემდეგ რა იქნება, თუნდაც იგივე ვილნიუსის სამიტის შემდეგ. მე არ ვამბობ, რომ ეს პოლიტიკა რაღაცა შურისძიების და რაღაცა ეგზალტირებული ჩაქოლვებით და კაბინეტებიდან გამოდევნით უნდა გაგრძელდეს, ნაციონალური მოძრაობის მიმართ, მაგრამ თვითონ ის პოლიტიკა, რასაც ნაციონალური მოძრაობა ატარებდა, ამ ხელისუფლებას იმდენი უნარი უნდა ჰქონდეს, რომ გამოაჩინოს ამ პოლიტიკის სისტემურობა. აი, მერე უკვე ის კანონპროექტი, რაც კობა დავითაშვილმა შემოიტანა, რომ იმ თავისუფლების ქარტიაში, როგორც კომუნისტებს აეკრძალათ მაღალი თანამდებობის დაკავება, ისე აეკრძალოთ მაღალი რანგის ნაციონალებს გარკვეული წლების განმავლობაში თანამდებობის დაკავება, ეს მერე უკვე საფუძვლიანიც გახდება და აღარ გამოიწვევს ეჭვს.

***— თქვენ ფიქრობთ, რომ ეს ინიციატივა რთული განსახორციელებელი იქნება?***

— ჯერ სისტემურობის ჩვენება უნდა მოხდეს და ეს შემდგომი ნაბიჯია. პირველ რიგში სისტემა უნდა იქნეს ნაჩვენები, რომ იგივე დასავლეთს არ ჰქონდეს პრეტენზიები, რომ ეს პოლიტიკური დევნაა. კობა დავითაშვილის ინიციატივა დღესდღეობით ნაადრევია, იმიტომ რომ ამის საფუძველი არ არის შექმნილი. არ არის ნაჩვენები სისტემური ხასიათი იმ დანაშაულებრივი პოლიტიკისა, რომელსაც ნაციონალები ატარებდნენ. როდესაც ამას აჩვენებენ, მერე ამაზე ლაპარაკიც შესაძლებელია. თუნდაც ის 28 ათასი ვიდეო როდესაც არსებობს, მოხდეს ამის დაფარული სახეებით ჩვენება, რატომ არ შეიძლებოდა ამის ჩვენება დაფარული სახეებით მე არ მესმის. ეს იქნებოდა სისტემის მხილება. ეს ერთი მიმართულებაა და არსებობს კიდევ სხვა უამრავი. ამის შემდეგ თავისთავად დადგება საკითხი, მათთვის გარკვეული თანამდებობების აკრძალვის და, შესაძლოა, მთლიანად ნაციონალური მოძრაობის, როგორც პარტიის აკრძალვის საკითხიც დადგეს, მაგრამ ამას დღემდე ვერ დაადგა საშველი. რატომ ხდება ეს? უცოდინრობის გამო, დასავლეთთან კეკლუცობის გამო თუ რის გამო, ეს მეორე ამბავია, მაგრამ ფაქტია, რომ „ქართულმა ოცნებამ“ დღემდე ეს ვერ გააკეთა.

***— ბატონო გელა, როდესაც დასავლეთის ზეწოლაზე ვსაუბრობთ, ამბობენ, რომ სწორედ ამ ზეწოლებს ვერ გაუძლო ივანიშვილმა. მას ხელ-ფეხი ჰქონდა შეკრული და ამიტომ გადაწყვიტა განზე გადგომა, რათა გარედან შეძლოს სამართლიანობის აღდგენაო. რამდენად გჯერათ თქვენ ამის და რამდენად მოახერხებს ის, მესამე სექტორიდან რომ მართოს ხელისუფლება?***

— როდესაც ლაპარაკობენ და საყვედურობენ ბიძინა ივანიშვილს, რომ პასუხისმგებლობას გაურბის და გარბის პოლიტიკიდან, მე არ მესმის ამ ხალხის და არც მათი საყვედურების, იმიტომ რომ ამ კაცმა თავიდანვე თქვა, მოვდივარ ორი-სამი წლით, ორი წელი გავიდა უკვე. ის თვლის, რომ სიტუაცია დაალაგა, მან ბევრი რამ მართლაც მნიშვნელოვნად შეცვალა. ხშირ შემთხვევაში მისი არ ესმით და მეც არ მესმის, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ეს კაცი აღწევს მიზანს. ასე იყო ბიზნესშიც, სხვებისთვის გაუგებარი ნაბიჯები იყო და ასეა პოლიტიკაშიც. ბევრი ჩვენთვის გაუგებარი ნაბიჯი იყო, მაგრამ შედეგი მივიღეთ.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

## დროა ლიცენზირებულ პროგრამულ უზრუნველყოფას ვუთხრათ „დიახ“ და თანაც „ახლავე“.

3 სექტემბერს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ბიზნეს პროგრამების უზრუნველყოფის ალიანსის (www.bsa.org) ერთობლივი ძალისხმევით საქართველოს ძალოვანი ორგანოების თანამშრომლებისთვის ჩატარდა მნიშვნელოვანი ტრენინგი ყალბი და არალიცენზირებული პროგრამების იდენტიფიცირებასთან დაკავშირებით.

აღნიშნული ტრენინგის მიმდინარეობისას ფინანსური პოლიციის, სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს წევრებსა და სამინისტროს პერსონალს გააცნეს უახლესი მეთოდები, თუ როგორ უნდა მოხდეს გასაყიდად წარმოდგენილი, საცალო გაყიდვაში არსებული და კომპიუტერულ მაღაზიებში წარმოდგენილი, ასევე კომპანიებში გამოყენებული არალიცენზირებული და ყალბი პროგრამების იდენტიფიცირება. დისკუსიები გაიმართა გამოძიების ადრეულ ეტაპებზე პროგრამებისა და კომპიუტერების სადისტრიბუციო ქსელში საცდელ შესყიდვებთან და არალიცენზირებული პროგრამების მომხმარებელი კომპანიების, ასევე სახელმწიფო პირებს, BSA-სა და მფლობელებს შორის ურთიერთქმედებების გამოვლენის საგამოძიებო მეთოდებთან და საავტორო უფლებების დარღვევის შესაძლო შემთხვევებთან დაკავშირებული ტექნიკური ინფორმაციის უზრუნველყოფასა და პროდუქტის იდენტიფიკაციის ექსპერტიზასთან დაკავშირებით.

„BSA“-სა და „INSEAD“-ის, მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი ბიზნეს სკოლის მიერ ახლახან ჩატარებული კვლევის „კონკურენტუნარიანობის უპირატესობა: ჯეროვნად ლიცენზირებული პროგრამების ეკონომიკური გავლენა“ მიხედვით: ჯეროვნად ლიცენზირებული პროგრამების ბაზრის ზრდას იმაზე დიდი გავლენა ექნება საქართველოს ეკონომიკაზე, ვიდრე საავტორო უფლებების დარღვევით მოპოვებული პროგრამების ბაზრის იგივე მასშტაბით გაზრდას. ლიცენზირებული პროგრამების ბაზრის 1%-ით ზრდა შიდა წარმოებას დაახლოებით 10 მილიონი აშშ დოლარით გაზრდის მაშინ, როცა მეკობრული პროგრამების ბაზრის მასშტაბის გაზრდის შემთხვევაში, ეს თანხა 4 მილიონი აშშ დოლარი იქნება. შესაბამისად, ლიცენზირებული პროგრამების ბაზრის 1%-ით ზრდა უზრუნველყოფს დამატებით ეკონომიკურ მოგებას 6 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით.

IDC-ის მიერ ახლახან ჩატარებულმა კვლევამ სახელწოდებით „ყალბი და მეკობრული პროგრამების საშიში სამყარო“ ცხადად აჩვენა მეკობრული პროგრამების საფრთხეები, რომლებიც მავნე და ჯაშუშური პროგრამების გაერთიანებით რისკის ქვეშ აყენებს მომხმარებლეთა უსაფრთხოებას. აღნიშნული კვლევის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი აღმოჩენა ის არის, რომ ინტერნეტიდან ჩამოტვირთული მეკობრული პროგრამების 78% ჯაშუშურ პროგრამებს შეიცავს. შესაბამისად, ჩვენი მიზანია პროგრამების სადისტრიბუციო ქსელის გაწმენდა მეკობრული პროგრამების უნებლიე მსხვერპლი მომხმარებლების დასაცავად. უფრო მეტიც, ჯეროვნად ლიცენზირებული პროგრამების გამოყენება ამცირებს როგორც უფლებრივ, ისე უსაფრთოხოების რისკებს, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა არალიცენზირებული პროგრამების მოხმარებისას და უზრუნველყოფს ექსპლუატაციის ეფექტურობას, რაც საწარმოთა პრაქტიკულ შედეგებზე პირდაპირ აისახება“, განაცხადა BSA-ს იურისტმა საქართველოში, ალექსანდრე ბოლქვაძემ.

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების“ შესახებ საქართველოს კანონისა და „კრიმინალური კოდექსის“ თანახმად მფლობელებს ქვეყანაში თავიანთი უფლებების დასაცავად შეუძლიათ მიმართონ შესაბამის სამართლებრივ ქმედებებს. სანქციები მოიცავს როგორც საავტორო უფლებების დარღვევით მიღებული შემოსავლისა და არაკანონიერი რეპროდუქციისთვის გამოყენებული მასალებისა და მოწყობილობების კონფისკაციას, ასევე მატერიალურ ჯარიმებს და პატიმრობის ვადებს.

აღნიშნულ ტრენინგ-სემინარში სახელმწიფო ორგანიზაციების ასეთი ფართომასშტაბიანი მონაწილეობა გაზრდის პროგრამების საავტორო უფლებების დაცვას ქვეყანაში. BSA აგრძელებს საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მხარდაჭერას პროგრამული მეკობრეობის გამოვლენისა და შესაბამისი სანქციების გატარების საკითხებში.

# როგორ გაქრა აფხაზეთში დაღუპულთა საძმო საფლავი

## ვეტერანთა ოჯახები სოლიდურ დახმარებას მიიღებენ

შორენა გონგლაძე

ვეტერანების პრობლემა ყველა ხელისუფლების დროს არსებობდა და ყოველთვის იარსებებს. ის, რომ ვეტერანი საქართველოში სახელმწიფოებისთვის ყოველთვის ზედმეტი ტვირთი იყო, ეს საიდუმლო არ არის. რაც ყველაზე სამწუხაროა, ეს ტენდენცია დღემდე გრძელდება. მაგალითად, 2008 წლის ომის შემდეგ იმ მებრძოლებს, ვინც ამ ომის ქარცეცხლი გამოიარა და ბრძოლის ველიდან წითელი ხიდისკენ კუდამოძუებულებს, უკანმოუხედავად გაქცეულებს უკან არ გაჰყვა და ბოლომდე იბრძოლა, დღემდე ვეტერანის სტატუსი არ მიუღიათ და ვერც მიიღებენ. ამისათვის არსებობს მიზეზების ოფიციალური ჩამონათვალი, რეალურად კი ამის მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ ომის მონაწილეთა ის დიდი ციფრია, რომელიც სახელმწიფოს ტვირთად დააწვება. სამწუხაროა ის ფაქტიც, რომ ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც ვეტერანები მხოლოდ წინასაარჩევნოდ ახსენდება და მათი ხმებისა და მხარდაჭერის მოპოვებას ათასი სულელური დაპირებებით ცდილობს და ხშირ შემთხვევაში გამოსდით კიდეც. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მომავალი წლიდან მარჩენალდაკარგულები ყოველთვიურად ათას ლარს მიიღებენ. რამდენად რეალურია ეს ყველაფერი და რა პრობლემები აქვთ ვეტერანებს, ამაზე მეომართა უფლებების დაცვის კავშირის თავმჯდომარე ლალი ცერაძე გვესაუბრება.

***— ქალბატონო ლალი, როგორია დღეს ვეტერანების სოციალური მდგომარეობა და რა არის ის მეთოდები, რომელიც მათ პრობლემებს მოაგვარებს?***

— საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ პირთა მემკვიდრეების სოციალური მდგომარეობის შესწავლა და გაუმჯობესებისთვის ზრუნვა 20 წელია არ გამხდარა პრიორიტეტული ამ ქვეყნის მესვეურთათვის. მოქალაქეთა კავშირის დროს არსებობდა კანონი ვეტერანთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის შესახებ, მაგრამ, როგორც მაშინდელი ჩინოვნიკები ამბობდნენ, არ არსებობდა თანხები მათ განსახორციელებლად. ნაციონალური მოძრაობის ათწლიანი მმართველობის დროს საერთოდ ფაქტიურად კანონი გააუქმეს და არანაირ სოციალურ დაცვაზე არ იყო ლაპარაკი. პირიქით, უცნაური ამბიციური დამამცირებელი დამოკიდებულება ჰქონდათ დაღუპული თუ ცოცხალი მეომრების მიმართ და ამას არც მალავდნენ. ამასთან დაკავშირებით თავის დროზევე გავაკეთეთ მკვეთრი განცხადებები, როგორც პრესით, ისე ტელევიზიით, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ცალკეულმა სტრუქტურებმა თანხები გადაუხადეს და მიხედეს მხოლოდ თავიანთ დაღუპულთა ოჯახებს და 1991-1993 წლების ომების მსხვერპლთა ოჯახის წევრებს არანაირი ანაზღაურება არ მიუღიათ. დღეს, ფაქტობრივად, არაფერი არ შეცვლილა არც სამართლებრივი და არც ეკონომიური მდგომარეობის შეცვლის მხრივ. ოჯახები, ვინც დაკარგა შვილი, მეუღლე ან მშობელი, ჯერჯერობით არ სარგებლობენ არანაირი გაუმჯობესებული ფინანსური ან ჯანმრთელობის პაკეტით, რომელიც მათ დუხჭირ ცხოვრებას ოდნავ მაინც გააუმჯობესებდა. თუმცა ახლი ხელისუფლების პირობებში საუბრები ამ პრობლემატიკის მოგვარებისათვის, უნდა ითქვას, რომ შედარებით გააქტიურდა. მინდა, კმაყოფილებით აღვნიშნო, რომ მარჩენალდაკარგულთა პენსიამ მოიმატა 55 ლარიდან 100 ლარამდე ამ თვიდან. პირველ რიგში საჭიროა საკანონმდებლო ბაზის შეცვლა და შემდეგ ახალი პროგრამული დაფინანსების შემუშავება ამ ოჯახების რეაბილიტაციის მიზნით. როგორც ჩანს, საქართველოს პარლამენტი ემზადება ამ საკანონმდებლო ცვლილებებისათვის. რამდენადაც ცნობილია, ეს კანონპროექტები წარდგენილია როგორც ვეტერანთა დეპარტამენტის, ისე არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან. სასურველია, ეს კანონპროექტი დამტკიცდეს უახლოეს დროში, რათა ახალი წლიდან მაინც შესაძლებელი იყოს მათი ახალი რეზოლუციების გათვალისწინება ბიუჯეტში.

***— არის ინფორმაცია, რომ ვეტერანის ოჯახი ათასლარიან დახმარებას მიიღებს...***

— საინტერესო იყო საქართველოს პრემიერის ბატონი ბიძინა ივანიშვილის განცხადება ამ ოჯახებისათვის პენსიების საგრძნობი გაზრდის შესახებ, რასაც მარჩენალდაკარგულთა განსაკუთრებული დადებითი ემოციები მოჰყვა. ყურადღებით მოეკიდა ამ საკითხების მოგვარებას თავდაცვის მინისტრი ბატონი ირაკლი ალასანია, მაგრამ დაღუპულთა ოჯახის წევრები შიშობენ, თუ ბატონი ბიძინა წავა სახელმწიფოს მართვის სადავიდან, ეს სასიცოცხლოდ აუცილებელი პროექტიც არ შემოდონ თაროზე „თანხების უქონლობის“ მოტივით. შეგახსენებთ, რომ ნაციონალური მოძრაობის მიერ დამტკიცებული კანონი ომის ვეტერანთა შესახებ, არ ითვალისწინებდა კომპენსაციებს და შეღავათებს იმ პირთათვის, რომლებიც არ იყვნენ საპენსიო ასაკის ანუ უნდა ყოფილიყვნენ შრომისუუნარო. ასე მაგალითად, ომში დაღუპულის მეუღლე ან დედა, რომელიც არ იყო 60 წლის, ვერ ისარგებლებდა შეღავათებით. დღევანდელ დღეს 1991-1993 წლებში დაღუპულთა შვილები არიან სრულწლოვანები, ზოგიერთი მშობელი გარდაიცვალა ამ ოცი წლის განმავლობაში და მეუღლეები კი ჯერ კიდევ არ არიან საპენსიო ასაკის. ამიტომ კანონგარეშედ ოჯახი შესაძლოა ამ კეთილშობილი ინიციატივების გარეშე დარჩეს, რაც ძალიან გულსატკენი და არასამართლიანი იქნება. ეს უკანონობა ეხებათ აგრეთვე 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულებს და ავღანეთში და ერაყში დაღუპულებსაც. ცალკე დგას სამოქალაქო ომში დაღუპულთა და რუსეთის ჯარის მიერ მიერ საქართველოში დახოცილი მეომრების საკითხი, მაგალითად მოვიყვან ქუთაისში და გორში რუსეთის სამხედრო ნაწილში მომხდარი შეტაკების დროს დაღუპულ მეომრებს, (მათ შორის ბესო ქუთათელაძე, პეტრე ტელიაფუსი), რომელთაც არ გააჩნიათ ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა სტატუსი, რაც ჩვენი აზრით არასამართლიანია და კანონში ამ მხრივაც უნდა შევიდეს ცვლილება. ჩვენი ორგანიზაცია დაინტერესებულია და მრავალი წელია მუშაობს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ მეომართა პასპორტიზაციაზე და მემკვიდრეთა აღრიცხვაზე და დღეს თუ გადავხედავთ ამ სიებს, დავინახავთ, რომ ბევრი ოჯახი ფაქტიურად აღარ არსებობს და გარდაცვლილებს მომკითხავიც არ დარჩათ. დარჩა მხოლოდ გაცრეცილი სურათიდან შემოსული მზერა, ქართველი ვაჟკაცებისა, რომელთაც სიცოცხლეზე მეტად უყვარდათ თავიანთი სამშობლო. საჭიროების შემთხვევაში ჩვენი ორგანიზაცია მზად არის, ეს ბაზა გადასცეს იმ სახელმწიფო სტრუქტურას, რომელიც მოამზადებს ეკონომიკურ გათვლებს. საჭიროდ მიგვაჩნია ასევე შესატყვისი სტრუქტურების მიერ სიების შეჯერება და ფორმირებების მიხედვით გადამოწმება. ჩვენთვის იქნება ძალიან მნიშვნელოვანი თანამშრომლების რეჟიმში განვიხილოთ თითოეული საჭირბოროტო საკითხი, რათა ერთხელ და სამუდამოდ მოგვარდეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ და დაინვალიდებულ მეომართა სამართლებრივ-ეკონიმიკური და ჯანმრთელობის დაცვის საკითხები.

***— ქალბატონო ლალი, რას ფიქრობთ ომის ვეტერანთა პროგრამული დაფინანსების შესახებ?***

— საქართველოში ამ ოცი წლის განმავლობაში, განხორციელდა რამდენიმე პროგრამული დაფინანსება, როგორც რესპუბლიკურ ისე რეგიონალურ დონეზე. ზოგან ამ პროგრამებმა კარგად იმუშავა მაგალითად, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაჯილდოებულ მეომართა ორდენის ერთჯერადი პრემიის თანხით ანაზღაურებამ. უნდა აღვნიშნო, რომ ეს თანხები ჩაიდო დიდი ბრძოლების შემდეგ, ჯერ კიდევ ავთო ჯორბენაძის პრემიერობის ბოლოს 2003 წელში და სხვადასხვა უწყებების მიერ დარიგდა 2004 წლიდან. ამ პროექტმა დიდი შეღავათი მისცა გაჭირვებაში მყოფ ოჯახებს. თავის დროზე ამ საკითხის მოგვარებაში დიდი წვლილი შეიტანა არასამთავრობო ორგანიზაციების გაერთიანებამ საქართველოს პრეზიდენტთან არსებულ ომის ვეტერანთა და ინვალიდთა ეროვნულ საბჭოში. სამწუხაროდ, ბატონი ედუარდ შევარდნაძის ოპოზიციაში მყოფმა ორგანიზაციებმა ვერ თუ არ გამოვნახეთ საერთო ვერც ნაციონალურ მოძრაობასთან და ამიტომ ეს საბჭო უმოქმედო გახდა, თუმცა გაუქმებული არ არის და ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ვეცდებით, გავაერთიანოთ ის ორგანიზაციები, რომლებსაც თანხების დატაცებასთან არ ჰქონიათ შეხება ან საქართველოს პრეზიდენტთან და ან საქართველოს პრემიერ– მინისტრთან. მოსაგვარებელია უამრავი საჭირბოროტო საკითხი, მით უმეტეს, რომ ვეტერანთა დეპარტამენტი გადადის საქართველოს პრემიერის პირდაპირ დაქვემდებარებაში, როგორც სამსახური. 2012 წლის იანვრიდან ვეტერანთა დეპარტამენტი ჯანდაცვის სამინისტროდან თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის შემადგენლობაშია. ჩვენი ორგანიზაციის მხრიდან ამ საკითხის არასწორ რეგულარიზაციაზე გვქონდა უარყოფითი დამოკიდებულება და ეს კიდევაც დავაფიქსირეთ პრესით მაშინვე. როგორც ჩანს, სურდათ ვეტერანების პოლიტიკური კუთხით გამოყენება, მაგრამ ამით თვით დეპარტამენტის ფუნქციონირებას შეეშალა ხელი. დაუშვებლად მიგვაჩნია ვეტერანების გამოყენება პოლიტიკური მიზანსცენების მოწყობისათვის, ეს მათ იმიჯსა და დამსახურებას ლახავს და ასევე ლახავს ქართველი მეომრის სტატუსს. მოვუწოდებთ პოლიტიკოსებს, ნუ ახსენდებათ ომის თემატიკა მართლაცდა რომ, „სასპეკულანტოდ“ არჩევნების წინა პერიოდებში. კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ დაუშვებელია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ და ინვალიდ მეომართა დაყოფა და ამით დისკრიმინირება. ასე მაგალითად, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის და უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე დაღუპულთა და აფხაზეთში და სამაჩაბლოში შეწირულ მეომართა ოჯახების გაცალკევება ერთმანეთისგან სოციალური დაცვის და პატივის მიგების მხრივ. ეს სრულიად დაუშვებელია და ამდენი წელია მიმდინარეობს სახელმწიფო სტრუქტურების მიერ მიდგომის წამქეზებლობა. რაც შეეხება ვეტერანთა და მარჩენალდაღუპულთა დაცვის სოციალურ პროგრამებს, ზოგჯერ ისინი მიზანმიმართულად დახურეს. დღეს მინდა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ქალაქ თბილისის საკრებულოს და მერიის მიერ ნაციონალური მოძრაობის პირობებში ქ. თბილისის მცხოვრებთა მიმართ პროგრამების გაუქმებას. ამ დღეებში კარგად გამოჩნდა, თუ რა თანხები იფლანგებოდა თბილისის ბიუჯეტში სხვადასხვა საეჭვო ოპერაციებზე და ომში დაღუპულთათვის კი არ აღმოაჩნდათ არც ერთი თეთრი. უფრო მეტიც მათ დახურეს უცერემონიოდ ეს პროგრამები. მაგალითად, ჩვენი ორგანიზაციის მიერ ინიცირებული იყო ქალაქის მერიის მიერ ომში დაღუპულთა ოჯახებისთვის ყოველთვიური 20-ლარიანი დახმარება. მაშინ ამ პროგრამის განხორციელებას მხარი დაუჭირა საკრებულოს მაშინდელმა თავმჯდომარემ, ბატონმა ლადო კახაძემ, რისთვისაც მადლიერებით მოვიხსენიებთ. მაშინ როდესაც პენსია 14 ლარს უდრიდა ეს გარკვეული შეღავათი იყო გაჭირვებული ადამიანისათვის. მაგრამ, როგორც კი მოვიდა ბატონი გიგი უგულავა პირველი ეს პროგრამა დახურეს და სხვა კი არ შეიმუშავეს. დაღუპულთა ოჯახების მხრიდან დიდი გულისწყრომა მოჰყვა კინოთეატრ „საქართველოში“ ფილმ „ბამბაზიის სამოთხის“ პრეზენტაციაზე ქალაქის მერ გიგი უგულავას გამოჩენას და სხვა პრობლემებთან ერთად მოითხოვეს პასუხი ამ საკითხზეც. ჩვენი მხრიდან ავუხსენით, რომ ასე უცერემონიო მოპყრობა დაღუპული მეომრების ოჯახების მიმართ არ იყო ღირსეული და სახელმწიფოებრივი დამოკიდებულება, მაგრამ ამაოდ. ასევე ქალაქის მერიამ შეწყვიტა ვეტერანთა დეპარტამენტის ქალაქ თბილისის საქალაქო სამმართველოს დაფინანსება და მხოლოდ შემოიფარგლებოდა 9 მაისის აღსანიშნავად დაგეგმილი ფინანსური დახმარების გაწევით და ტრანსპორტის შეღავათით. სხვა მხრივ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული ოჯახები და ინვალიდები ყოველგვარი დახმარებისა და ყურადღების გარეშე დატოვა. ელემენტარული საკითხი, რომელიც ქალაქის მერიას შეეძლო მოეგვარებინა იყო მეომარი ინვალიდებისათვის თუნდაც ჯანმრთელობის პოლისების დარიგება ანდა ავტომანქანის გასაჩერებლად შეზღუდული შესაძლებლობის პირთათვის მოსაკრებლების გაუქმება, მაგრამ ამაზე არავის არ უფიქრია. ინვალიდი ადამიანი დიდი ძალისხმევით გამოდის სახლიდან და მანქანის გასაჩერებლად კვლავ თანხის გადახდა უწევს. ვიმედოვნებთ, რომ თბილისის საკრებულო და მერია ასევე ყურადღებას მიაქცევენ იმ საკითხს, რომ ვეტერანთა და მარჩენალდაკარგულებმა უნდა ისარგებლონ არა მარტო მეტროსა და ავტობუსების უფასო მომსახურებით, არამედ სამარშრუტო ხაზებითაც, რაც თავის დროზე არ იქნა გათვალისწინებული თბილისის ბიუჯეტში, როგორც ამით სარგებლობენ სხვა კატეგორიის სოციალურად დაუცველი მოქალაქეები. ამ საკითხს უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება, რადგან ამ უმუშევრობის პირობებში ომის ვეტერანს უნდა ჰქონდეს უფასოდ გადაადგილების საშუალება მაინც. საქართველოს შეეწირა 620 თბილისელი ვაჟკაცი და ამდენი მილიონების მითვისების პირობებში რა გაუხდა ქალაქის მერიას მათზე ზრუნვა-პატრონობა. ზოგი უმწეოა, ზოგს სახლი ენგრევა თავზე და მიწაზე სძინავს, ზოგს მომკითხავი არ ჰყავს და ერთადერთი შვილის დამკარგავი დედა ნაგვის ურნასთანაც შეუნიშნავთ, ბევრ მათგანს თვეობით და წლობით აქვს გამორთული სინათლე, მაგრამ ჩვენი ქალაქის მოსაკრებელი ამ გაუბედურებული ხალხის დასახმარებლად არასოდეს ყოფილა მოტივირებული. სულ არაფერი ბევრი მშობელი გარდაიცვალა უპატრონობით და დაკრძალვის ხარჯები მეზობლებში და ისევ დაღუპული მშობლების მცირე შემოწირულობით ხდებოდა. არ შეეძლო მერიას რაიმე სახის დახმარებით შეხიდება. რადგან მარჩენალდაკარგულთა სახელმწიფოს ხარჯზე დაკრძალვა არ შედის ძირითად კანონში შესაძლებელი იყო ამ საკითხის ადგილობრივ მმართველობს ხარჯზე მოგვარება. მთავარია საკითხის გადაწყვეტა გულთან მიიტანო, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს შეუძლებელი იყო მავანთათვის. კანონმდებლობით ადგილობრივ მმართველობით სტრუქტურებს ეხება ომში დაღუპულთა სასაფლაოების მოვლა და ზედამხედველობა. რამდენიმე გზის ამის შესახებ გამოვთქვით კრიტიკული მოსაზრება პრესაში. თუ რა მდგომარეობაშია კუკიის საძმო სასაფლაო, სადაც საფლავები გაძარცვეს და სამოქალაქო პირები დაკრძალეს გარკვეული საფასურის ფასად, ცნობილია. ისიც ცნობილია, საბურთალოს სასაფლაოზე გაქრა ტამიშიდან გადმოსვენებული უცნობი მეომრების საძმო სამარხი (ბატალიონი „ავაზა“) და, მე ვიტყოდი, ფეშენებელური სასაფლაო აღმართეს ზედ. ეს იყო ქართველი მეომრების შეურაცხყოფა და დღემდე ამ საკითხით არავინ დაინტერესებულა, გულშემატკივართა გარდა. ასევე მნიშვნელოვნად შემცირდა დიღომში წმინდა ნინოს საძმო სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორია. ასეთი ქმედების უმნიშვნელო მცდელობაც კი უნდა ყოფილიყო მკაცრად დასჯილი.



# რა ხდება საზოგადოებრივ მაუწყებელში

შორენა გონგლაძე

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ხელმძღვანელი პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის მიერ მაუწყებლის მისამართით გაკეთებულ განცხადებას „პრაიმ ტაიმის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე გამოეხმაურა.

როგორც გოგუაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, თუ პრემიერს აქვს ინფორმაცია, რომ ბორდი უხეშად ერევა მაუწყებლის სარედაქციო პოლიტიკაში, ბორდი პრემიერთან შესახვედრად და ამ თემებზე სასაუბროდ მზად არის.

— სამეურვეო საბჭოს ახლანდელი შემადგენლობა არის შემცირებული შემადგენლობა იმ შემადგენლობისა, რომელიც იყო პირველ სექტემბრამდე. რაც შეეხება მაუწყებლის სარედაქციო საქმიანობაში ჩარევას, თუკი ამას გულისხმობს ბატონი პრემიერი, საბჭო ყოველთვის ცდილობს, გავლებული წითელი ხაზი არა გადალახოს. სხვა შემთხვევაში საბჭო პასუხისმგებელია მაუწყებლის საქმიანობაზე. ხელისუფლებასთან ყოველთვის ხდებოდა წლიური ანგარიშების წარდგენა, მაგრამ ეს არ გულისხმობს იმას, რომ ისინი ერევიან ჩვენს საქმიანობაში. თუ ბატონი პრემიერი გულისხმობს იმას, რომ ჩვენ უხეშად ვერევით სარედაქციო პოლიტიკაში და მას აქვს ამაზე ინფორმაცია, მზად ვართ, პირადად შევხვდეთ და ვისაუბროთ ყველა საკითხზე, — აცხადებს გოგუაძე.

შეგახსენებთ, რომ საზოგადოებრივ მაუწყებელში განვითარებულ პროცესებს პრემიერი გამოეხმაურა. მისი თქმით, ტელევიზიის საქმიანობაში პოლიტიკოსები არ უნდა ერეოდნენ, როგორც ეს წინა ხელისუფლების დროს ხდებოდა.

— ჩვენ დავინახეთ, როგორ შეიძლება, სასამართლო გაემიჯნოს პოლიტიკას. არ არსებობს, რომ ჩვენი მთავრობა, პოლიტიკური ძალა სასამართლოს უფლებებში ჩაერიოს. როგორც იყო, გახსოვთ და ახლა, მგონი, ხერხდება, რომ სასამართლო გათავისუფლდეს მათგან. მე მგონი, მსგავსი სიტუაციაა საზოგადოებრივ მაუწყებელში. ისინი ტოტალურად აკონტროლებდნენ, უკვეთდნენ, მაგათი არჩეულია ეს საბჭო. ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, რომ გასაგები ყოფილიყო ევროპისთვის. ვესაუბრებოდით ევროპელებს, როდესაც საზოგადოებრივ მაუწყებელთან დაკავშირებით ცვლილებები ხორციელდებოდა, პარლამენტში ჩვენ მაქსიმალურად დავიცავით პარიტეტები, ვცდილობდით, რომ თანმიმდევრულად გარდაქმნილიყო და საზოგადოების სამსახურში ჩამდგარიყო. ახლა, მე მგონი, მცდელობაა ძველი გუნდისგან, მე ასეთი წარმოდგენა მაქვს, თუმცა, არ მინდა, დასკვნები გავაკეთო, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

# „2013 წლამდე დანაშაულის აღრიცხვისა და გაშუქების მაჩვენებელი ხელოვნურად იყო შემცირებული“

„უფლებადამცველთა გაერთიანებამ“ მედია მონიტორინგის, შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან მოპოვებული ინფორმაციებისა და სხვა სახის კვლევების შედეგად, 2009 -2013 წლებში ჩადენილი დანაშაულის რაოდენობისა და მედიაში გაშუქებული ფაქტების თანაფარდობასთან დაკავშირებით, ანგარიში შეადგინა.

ანგარიში მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებს ეხება, როგორიც არის ყაჩაღობა, მკვლელობა და გაუპატიურება.

„აღნიშნული ანგარიშის მომზადების ერთ-ერთი მიზეზი გახლდათ ის ინფორმაციები, რომელიც პოლიტიკური პარტიების და სხვადასხვა მედია საშუალებების მხრიდან ვრცელდება იმის შესახებ, რომ საქართველოში კრიმინალმა მოიმატა და რომ ამ ინფორმაციას მედია, საზოგადოებას უმალავს. ამ თემით ხშირად ხდება სპეკულირება და გარკვეული პოლიტიკური ჯგუფები, ქვეყანაში ნეგატიური ფონის შექმნას ხელოვნურად ცდილობენ. ამ კვლევის შედეგად ნათლად გამოჩნდა თუ როგორ უმალავდა მედიას გასულ წლებში შინაგან საქმეთა სამინისტრო მომხდარი დანაშაულების შესახებ ინფორმაციას“ – აცხადებენ ორგანიაზაციაში.

,,უფლებადამცველთა გაერთიანების“ მიერ, დრეს წარმოდგენილი ანგარიშის ტანახმად, 2009 წელს ყაჩაღობის 726 ფაქტი მოხდა, საიდანაც 111 გაშუქდა; ასევე, მოხდა 121– მკვლელობა და გაშუქდა 76; ამავე წელს, დაფიქსირდა გაუპატიურების 58 ფაქტი, გაშუქდა 7.

მთლიანად კი, 2009 წელს, მასმედიაში დანაშაულის გაშუქების ჯამური მაჩვენებელი 21 %-ს შეადგენს. აღნიშნული მჩვენებლები წლების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:

**2010 წელი**

ყაჩაღობა 375, გაშუქდა 49 ფაქტი; მკვლელობა 180, გაშუქდა 66 ფაქტი; გაუპატიურება 65, გაშუქდა ერთი ფაქტი;

2010 წელს მასმედიაში დანაშაულის გაშუქების ჯამური მაჩვენებლი 18 %-ს შეადგენს.

**2011 წელი**

ყაჩაღობა 259, გაშუქდა 35 ფაქტი; მკვლელობა 108, გაშუქდა 74 ფაქტი; გაუპატიურება 64, გაშუქდა 5 ფაქტი;

2011 წელს მასმედიაში დანაშაულის გაშუქების ჯამური მაჩვენებლი 26,4%-ს შეადგენს.

**2012 წელი**

ყაჩაღობა 331, გაშუქდა 39 ფაქტი; მკვლელობა 115, გაშუქდა 54 ფაქტი; გაუპატიურება 82, გაშუქდა 3 ფაქტი;

2012 წელს მასმედიაში დანაშაულის გაშუქების ჯამური მაჩვენებლი 18 %-ს შეადგენს.

**2013 წლის 7თვის მონაცემები**

ყაჩაღობა 212, გაშუქდა 39 ფაქტი; მკვლელობა 52, გაშუქდა 50 ფაქტი, გაუპატიურება 38 გაშუქდა 7.

2013 წელს 7 თვის განმავლობაში, მედიაში დანაშაულის გაშუქების ჯამური მაჩვენებელი 31,7% – ია, რაც წინა წლებთან შედარებით ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

„2009-2012 წლებში ჩადენილი დანაშაულისა და ამავე პერიოდში ნიუსის სახით განთავსებული ინფორმაციის თანაფარდობა კი ასე გამოიყურება:

1. ყაჩაღობა 1711, გაშუქდა 77 ფაქტი;
2. მკვლელობა 524, გაშუქდა 121 ფაქტი;
3. გაუპატიურება 269, გაშუქდა 1 ფაქტი;

2009-2012 წლებში ვებ-გვერდზე პოლიცე.გე ნიუსის სახით განთავსდა შემთხვევათა მხოლოდ 7%.

2013 წელს 7თვის განმავლობაში ჩადენილი დანაშაულის რაოდენობისა და ვებ-გვერდზე ამავე პერიოდში ნიუსის სახით განთავსებული ინფორმციის თანფარდობა:

1. ყაჩაღობა 212, გაშუქდა 17 ფაქტი,
2. მკვლელობა 52 გაშუქდა 30,
3. გაუპატიურება 38 გაშუქდა 3.

2013 წლის 7 თვის განმავლობაში ჩადენილი დანაშაულიდან ვებ-გვერდზე პოლიცე.გე ნიუსის სახით განთავსდა შემთხვევათა 16,5%. შედარებისათვის 4 წლის განმავლობაში 2009-2012 წლებში ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის ჯამური მაჩვენებლი 7%-ს შეადგენს, რაც 2013 წლისათვის შსს-ს მეტ გამჭირვალობაზე მიუთითებს“ – ნათქვამია ორგანიზაციის კვლევაში.

,,უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარის განცხადებით, წინა წლებთან შედარებით ნაკლები დანაშაულის არსებობა და დანაშაულის წინააღდეგ ბრძოლა იმაზე მიუთითებს, რომ შსს-ს მხრიდან გატარებულმა ღონისძიებებმა, თანამშრომლების გადახალისებამ და ახალი მატერიალურ – ტექნიკური ბაზის შექმნამ შედეგი გამოიღო.

„ამას უნდა დაუმატოთ ისიც, რომ საქართველოს საპატიმროები ათასობით პატიმარმა დატოვა და თუ გავითავლისწინებთ საერთაშორისო გამოცდილებას, როდესაც ამდენი პატიმარი ტოვებს საპატიმროს, რისკი იმისა რომ დანაშაულებები მოიმატებს, ძალზედ მაღალია. მაგრამ შსს-ს მხრიდან გატარებული ღონისძიებების შედეგად დანაშაულმა კი არ მოიმატა, არამედ იკლო.

სწორედ ესაა შედეგი იმისა, რომ საქართველოში უცხოელ ვიზიტორთა რაოდენობა წინა წლებთან შედარებით მაღალია, რასაც შსს-ს მიერ ვიზიტორთა შესახებ გამოქვეყნებული ციფრებიც ადასტურებს: იანვარ-აგვისტოს პერიოდში 3 568 518 ვიზიტი დაფიქსირდა, რაც 26,4%-ით მეტია 2012 წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან, აქედან ტურისტი – 1 415 215 ადამიანია“ – განაცხადა მჟავანაძემ. **ნიუსპრესი**

# წეროვანში მცხოვრებ დევნილებს ბურჯანაძესთან შეხვედრას უკრძალავდნენ

პარტია ,,დემოკრატიული მოძრაობის“ პრეზიდენტობის კანდიდატი ნინო ბურჯანაძე, შიდა ქართლის მოსახლეობასთან შეხვედრებს მართავს. პარტიის პრესსამსახურის ინფორმაციით, პრეზიდენტობის კანდიდატის პირველი შეხვედრა წეროვანის დევნილთა დასახლებაში გაიმართა, სადაც ნინო ბურჯანაძე კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილებს შეხვდა.

როგორც ,,ნიუსპრეს“-თან საუბარში პარტიის პრესსამსახურმა განაცხადა, ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციით, გუშინწინ საღამოდან, დაუდგენელმა პირებმა ოჯახებში სიარული და ხალხის დაშინება დაიწყეს, რომ ნინო ბურჯანაძესთან დღეს დაგეგმილ შეხვედრაზე არ გამოსულიყვნენ.

პრეზიდენტობის კანდიდატთან, შეხვედრაზე 300-მდე ადამიანი მივიდა. შეხვედრაზე საუბარი სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებსაც შეეხო. მოსახლეობამ ძირითადად საკუთარ სახლებში დაბრუნების სურვილი გამოთქვა და აგვისტოს ომის უმძიმეს შედეგებზე ისაუბრა.

„გული მიკვდება, როდესაც ასეთ დასახლებებს ვხედავ. ყველა დევნილი თავის სახლ-კარს უნდა დაუბრუნდეს და მე ამ პროცესის დასაწყებად ძალისმხევას არ დავიშურებ“ – განაცხადა ბურჯანაძემ.

პრეზიდენტობის კანდიდატი წეროვნის შემდეგ, მუხრანის მოსახლეობასაც შეხვდა.

გუშინვე ნინო ბურჯანაძე მეუფე იობს შეხვდება. **ნიუსპრესი**

# რაზე შეთანხმდნენ მერია და სოცმომსახურების სააგენტო?

*მერი ნამორაძე*



თბილისის მერის მიერ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თავმჯდომარეებისთვის პენსიისა და სოციალური დახმარების მოხსნის გაპროტესტებამ შედეგი გამოიღო. რამდენიმე დღის წინ უგულავამ საქვეყნოდ დაიჩივლა, რომ სოციალური სუბსიდიების სააგენტო ამხანაგობების თავმჯდომარეებს უსამართლოდ მოექცა, რომელმაც, იმ მოტივით, რომ ამხანაგობების თავმჯდომარეები საჯარო მოხელეები არიან, ყოველგვარი დახმარება შეუწყვიტა მათ. უგულავამ სააგენტოს გადაწყვეტილება საკრებულოს 19 აგვისტოს უსამართლო გადაწყვეტილების გაგრძელებად მიიჩნია და განმარტა, რომ ამხანაგობების თავმჯდომარეები მართლაც იღებდნენ წახალისების სახით ანაზღაურებას, თუმცა ეს იყო მათი შრომის გასამრჯელო და ისინი საჯარო მოხელეები არ იყვნენ.

უგულავამ ისიც განაცხადა, რომ ინფორმაცია ამხანაგობების თავმჯდომარეების ნაციონალური მოძრაობის აქტივისტობის შესახებ სიმართლეს არ შეესაბამებოდა, რადგან ისინი კორპუსის მცხოვრებლების მიერ არიან არჩეულნი. უგულავამ სოციალური სუბსიდიების სააგენტოს გადაწყვეტილებას პოლიტიკურად მოტივირებული უწოდა და სააგენტოს მოუწოდა „დრაკონული“ დამოკიდებულება შეეწყვიტა, წინააღმდეგ შემთხვევაში, სამართლებრივი ბრძოლის დაწყებით „დაიმუქრა“.

გუშინ თბილისის მერიასა და სოციალური მომსახურების სააგენტოს შორის შეთანხმება შედგა. ამ ეტაპზე პრობლემა ამოწურულია და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თავმჯდომარეებს, რომლებსაც დახმარება შეუწყდათ, უკვე შესაძლებლობა აქვთ, მომსახურების სააგენტოს მიმართონ და კუთვნილი დახმარების აღდგენა მოითხოვონ.

როგორც თბილისის მერმა განაცხადა, ამ პროცესს მონიტორინგსა და ადვოკატირებას გაუწევენ კვალიფიციური ადამიანები. გარდა ამისა, უგულავას განცხადებით, სამომავლოდ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თავმჯდომარეების არჩევის ახალი წესი შეირჩევა, რომელიც საკრებულოში დამტკიცდება.

– ამ მომენტში პრობლემა ამოწურულია, ვისაც შეუწყდა დახმარება და იყო არჩეული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარედ, სააგენტო მათ აღუდგენს დახმარებს განაცდურის გარეშე ანუ ისინი სექტემბერში მიიღებენ პენსიას; სამომავლოდ გადავწყვიტეთ ბინათმესაკუთრეთა არჩევის ახალი წესის შემუშავება, რომელიც საკრებულოში დამტკიცდება და ამაზე მუშაობა დაიწყება, – განაცხადა თბილისის მერმა. მისივე განცხადებით, მოხდა იმის ხაზგასმა, რომ ამ მიმართულებით მიღებული წახალისება არ შეიძლება იყოს განხილული, როგორც საბიუჯეტო ორგანიზაციაში განხორციელებული საქმიანობა.

გუშინ სოციალური მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელმა ნოე ქინქლაძემ განაცხადა, რომ თბილისის მასშტაბით დახმარება მერიის სტრუქტურაში მომუშავე სულ 15 ადამიანს შეუწყდა. მისთვის უცნობი იყო, რამდენია აქედან ამხანაგობის თავმჯდომარე.

მისივე განცხადებით, რადგან საკრებულომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ამხანაგობის თავმჯდომარეებს შეუჩერდეს ანაზღაურება, მათ შეუძლიათ მიმართონ მომსახურების სააგენტოს და სააგენტო აღუდგენს პენსიასაც და სოციალურ დახმარებასაც.

ამ საკითხს გუშინ გამოეხმაურა საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილი, რომელმაც განაცხადა:

– თუ ვინმეს რაიმე სახით სუბსიდირება შეუჩერდა, შეუძლია მიმართოს სოციალური დაცვის სააგენტოს და მათ უსწრაფესად აღუდგებათ, თუკი რამეა შეჩერებული. ჩემთან კონსულტაციის შედეგად მივიღეთ ეს გადაწყვეტილება და იმის თქმა, თითქოს დრაკონული განწყობა არსებობს და თითქოს ვინმემ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების წინააღმდეგ სპეციალური კამპანია გააჩაღა და მოსპო ეს პროგრამა, არის სიცრუე.

# საკეისრო კვეთა აიკრძალება?

*მერი ნამორაძე*

საკეისრო კვეთა საქართველოში ერთობ პოპულარულ სამედიცინო ჩარევად რჩება. საკეისროების ბუმი მას შემდეგ დაიწყო, რაც სახელმწიფომ მშობიარობის დაფინანსებაზე უარი თქვა. ჰოდა, რადგან პაციენტი საკუთარი ჯიბიდან იხდიდა, „მუსიკასაც“ თვითონ უკვეთდა ანუ შეეძლო, ფიზიოლოგიურ მშობიარობაზე უარი ეთქვა და მოეთხოვა, საკეისრო კვეთა გაეკეთებინათ მედიკოსებს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში სამშობიარო ტკივილებს იცილებდნენ ქალები თავიდან.

უახლოეს მომავალში პაციენტისგან საკეისრო კვეთის „შეკვეთა“ შეიძლება საერთოდ აიკრძალოს. ამ საკითხზე საგანგებოდ მსჯელობს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო სამშობიარო სახლებისა და პერინატალური სამსახურების ხელმძღვანელების მონაწილეობით.

საკეისრო კვეთის ეროვნული პროტოკოლის პრეზენტაცია საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის სპეციალისტმა ნინო ბერიძემ გამართა. პროტოკოლის მიზანს საკეისრო კვეთების მაჩვენებლების გაუმჯობესება წარმოადგენს.

როგორც გუშინდელ შეხვედრაზე ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ განაცხადა, პროტოკოლში განსაკუთრებული აქცენტი საკეისრო კვეთის ჩვენებებსა და ქმედებებზე გაკეთდა, რომლებიც საკეისრო კვეთის სიხშირის ოპტიმიზაციას შეუწყობს ხელს.

შეხვედრაში ჯანდაცვის მინისტრთან ერთად „ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ გენერალური დირექტორი ამირან გამყრელიძე, საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე მარიამ ჯაში და სამშობიარო სახლებისა და პერინატალური სამსახურების ხელმძღვანელები მონაწილეობდნენ.

პრეზენტაციაზე აღინიშნა, რომ წელს საკეისრო კვეთის შედეგად დედების გარდაცვალების გაცილებით მეტი შემთხვევა ფიქსირდება, ვიდრე წინა წლებში. საკეისრო კვეთის თანაფარდობა – 38 პროცენტი საერთო მშობიარობების მაჩვენებლებში ძალიან მაღალია. სულ მცირე 2-ჯერ აღემატება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მოწოდებულ რეკომენდაციებს. ზოგიერთ რეგიონში საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში 40 და 50%-ზე მეტი საკეისრო კვეთა ფიქსირდება.

მოკლედ, საკეისრო კვეთის ჩატარება სპეციალური სამედიცინო ჩვენების გარეშე შესაძლოა მალე აიკრძალოს. ამის შესახებ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური სამსახურის მინისტრის მოადგილე მარიამ ჯაშმა განაცხადა. მისი განმარტებით, ბოლო პერიოდში ქვეყანაში მშობიარეთა გარდაცვალების მატების ერთ-ერთ მიზეზად, სწორედ ამ ტიპის ოპერაციის რეალური მიზეზის გარეშე ჩატარება სახელდება. სტატისტიკის მიხედვით საკეისრო კვეთას დედების 35 % ირჩევს.

სხვათა შორის, ჯანდაცვის სამინისტრო ოქტომბრიდან სამშობიარო სახლების ინფრასტრუქტურის შესწავლას იწყებს. არ არის გამორიცხული, ინფრასტრუქტურის ნაწილი დაწუნებულიც აღმოჩნდეს. სამშობიარო სახლების მაღალი სტანდარტებით მუშაობა პირდაპირ კავშირშია დედათა სიკვდილობის შემცირებასთან ქვეყანაში და მიზანი ამ სიკვდილობის შემცირებაა. სამშობიაროებსაც ზედმიწევნით მოუწევთ ახალი ინსტრუქციების შესრულება.

# თელავი მუსიკალურ ფესტივალს უმასპინძლებს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ორი საკონცერტო როიალი. წელს კლასიკური მუსიკის ფორუმი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით ჩატარდება. ფესტივალის გენერალური სპონსორი კომპანია „კავკასუს ონლაიანია“, რომელიც ინტერნეტით ფესტივალის ონლაინ ჩვენებას უზრუნველყოფს. ფესტივალის მხარდამჭერები არიან კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის გუბერნატორის ადმინისტრაცია, თბილისის მერია, ალექსანდრე ჭავჭავაძის მუზეუმი „წინანდალი“.

ფესტივალის კონცერტებზე დასასწრები ბილეთები გაიყიდება თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიისა და თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სალაროებში. მერიის მიერ გამოყოფილი ორი ავტობუსით ფესტივალის სტუმრების თბილისიდან თელავში გადაყვანა იქნება შესაძლებელი.

საფესტივალო პროგრამა ასე გამოიყურება: 12 ოქტომბერი – ფესტივალის საზეიმო გახსნა, კონცერტი, პროგრამაშია: ქართული ხალხური სიმღერები, ბეთჰოვენის კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის №3, ბრამსის კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისათვის. კონცერტში მონაწილეობენ საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი „რუსთავი“, საერთაშორისო საფესტივალო ორკესტრი, დირიჟორი არიელ ცუკერმანი, სოლისტები კოლია ბლაჰერი და ელისო ვირსალაძე.

13 ოქტომბერი – საოპერო მუსიკის კონცერტი, პროგრამაშია ვერდის, სენ-სანსის, ბოროდინის, მუსორგსკის ნაწარმოებები; მასში მონაწილეობენ საერთაშორისო საფესტივალო ორკესტრი, დირიჟორი არიელ ცუკერმანი, სოლისტები მზია ნიორაძე, ტიფანი აბანი.

14 ოქტომბერი – კამერული მუსიკის კონცერტი, პროგრამაშია შუბერტის სიმებიანი კვინტეტი, შუმანის საფორტეპიანო კვინტეტი, მონაწილეობენ ელისო ვირსალაძე, კოლია ბლაჰერი, თამაზ ბათიაშვილი, ბენჟამენ გილმორი, ნოდარ ჟვანია, ჩულ გინ პაკი და ნატალია გუტმანი.

17 ოქტომბერი – კამერული მუსიკის კონცერტი „ბეთჰოვენი, მისი მეგობრები და მოსწავლეები“, პროგრამაშია ფრანც დანცის კვინტეტი ფორტეპიანოსა და ჩასაბერი ინსტრუმენტებისათვის, ანტონ რეიხას კვინტეტი კლარნეტისა და სიმებიანი კვარტეტისათვის და კროიცერის სეპტეტი – ჩასაბერი და სიმებიანი ინსტრუმენტებისათვის; მონაწილეობენ ელისო ვირსალაძე, ედუარდ ბრუნერი, გიორგი ქობულაშვილი, ჯააკო ლუომა, პჟემისელ ვოიტა, მიხეილ ქართველიშვილი და სიმებიანი კვარტეტი „იბერი“.

17 ოქტომბერი – მუსიკალური კოლეჯის დარბაზი, კონცერტი – მომავალი თაობა.

19 ოქტომბერი – კამერული მუსიკის კონცერტი, პროგრამაშია ბეთჰოვენის კვარტეტი ფორტეპიანოსა და სიმებიანი ტრიოსათვის, ჰუმელის საფორტეპიანო კვინტეტი; მონაწილეობენ ელისო ვირსალაძე, ინგოლფ ტურბანი, ბენჟამინ გილმორი, ნატალია გუტმანი და მიხეილ ქართველიშვილი.

20 ოქტომბერი – ფესტივალის დასკვნითი კონცერტი, პროგრამაშია იოსებ ბარდანაშვილის კონცერტი ფლეიტისა და სიმებიანი ორკესტრისათვის „სულის გარდასახვანი“, შოსტაკოვიჩის კონცერტი ჩელოსა და ორკესტრისათვის №2 და ბეთჰოვენის კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის №5; მონაწილეობენ თბილისის კამერული ორკესტრი „საქართველოს სინფონიეტა“, საფესტივალო სიმფონიური ორკესტრი, დირიჟორი არიელ ცუკერმანი, სოლისტები ელისო ვირსალაძე და ნატალია გუტმანი.

**გურამ ოდიშარია, კულტურის მინისტრი:**

– რეგიონებში კულტურული ღონისძიებების განხორციელება ჩვენი სამინისტროსთვის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ძალიან მნიშვნელოვანი ფესტივალია, რომელსაც მრავალწლიანი ისტორია და ტრადიცია აქვს. 2010 წლიდან ეს ფესტივალი განახლდა და ისევ იზიდავს მსმენელებს, მაგრამ არა დედაქალაქში, არამედ, რაც ჩვენთვის ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანია, საქართველოს ერთ-ერთ რეგიონში, თელავში. ასე რომ 12 ოქტომბრიდან რამდენიმე დღის განმავლობაში თელავი საქართველოს კულტურული დედაქალაქი იქნება.

**თამარ ლორთქიფანიძე, კლასიკური მუსიკის დაცვის, განვითარებისა და პოპულარიზაციის ცენტრის გენერალური მენეჯერი:**

– ჩვენ გთავაზობთ ძალიან მრავალფეროვან პროგრამას. განსხვავება ის არის წელს, რომ გეოგრაფიულად გაიზარდა ჩვენი მონაწილეები. წარმოდგენილია უფრო და უფრო მეტი ქვეყნიდან. წლევანდელი საფესტივალო პროგრამა 6 კონცერტისგან შედგება. ჩვენ გვაქვს რამდენიმე ტიპის ღონისძიება დაგეგმილი ფესტივალის ფარგლებში. ეს არის კონცერტები, მასტერკლასები და წელს დაგვემატა გამოფენაც. ფესტივალის ერთ-ერთი მიზანი ახალი შემსრულებლების აღმოჩენაა. ფესტივალზე დასასწრებად საზღვარგარეთიდანაც ჩამოდიან სტუმრები. ღონისძიებებზე დასწრების მსურველთათვის ბილეთების შეძენა შესაძლებელია როგორც თბილისში, ისე თელავში.

**რუსუდან კაპანაძე, კომპანია „კავკასუს ონლაინის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი:**

– ჩვენ და ჩვენი კომპანია ვცდილობთ მხარი დავუჭიროთ მაღალი ღირებულებების, ნამდვილი ხელოვნების პოპულარიზაციას ქართულ საზოგადოებაში და წელსაც, ისევე როგორც გასულ წლებში, ჩვენი კომპანია თელავის მუსიკის საერთაშორისო ფესტივალის გვერდით დგას, ამიტომაც „კავკასუს ონლაინი“ ყველა ღონისძიების ონლაინ რეჟიმში ჩვენებას უზრუნველყოფს.

# ვინ დააწიოკა „იმედი“ და „რუსთავი 2“

## სატელეგონო ხულიგნები შსს-მ რამდენიმე საათში დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ვაკე-საბურთალოს პოლიციის მე-2 განყოფილების თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული სპეციალური ოპერატიული ღონისძიების შედეგად, 1974 წელს დაბადებული ლევან მ., ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინების ბრალდებით დააკავეს.

გამოძიების ინფორმაციით, ბრალდებულმა გუშინ, 10:28 საათზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ „112“-ში დარეკა და ცენტრის ოპერატორს თბილისში, სანდრო ეულის ქ. №5ა-ში, „რუსთავი 2“-ის შენობაში ნაღმის არსებობის შესახებ აცნობა.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, ყველა შესაბამისი სამსახური მითითებულ მისამართზე შეტყობინების მიღებიდან რამდენიმე წუთში გამოცხადდა. სამართალდამცველებმა უსაფრთხოების მიზნით შენობიდან იქ მყოფი ადამიანების ევაკუაცია მოახდინეს, მიმდებარე ტერიტორია ამკრძალავი ლენტით შემოსაზღვრეს და პერიმეტრი დაიცვეს. გამნაღმველების მუშაობის შედეგად კი დადგინდა, რომ გამოძახება ცრუ იყო – შენობაში ნაღმი არ აღმოჩნდა. სამართალდამცველებმა ცრუ შეტყობინების ავტორი ზარის განხორციელებიდან რამდენიმე საათში დააკავეს. ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. გამოძიება ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინების ფაქტზე, სსკ-ს 331-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ტელეკომპანია „იმედთან“ დაკავშირებით ცრუ შეტყობინების ავტორი, ზარის განხორციელებიდან რამდენიმე საათში დააკავა.

სამინისტრო პრესსამსახურის ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ „112“-ში გუშინ, 13:35 საათზე მორიგი შეტყობინება შევიდა. მოქალაქემ ცენტრის ოპერატორს თბილისში, ლუბლიანას ქ. №5-ში ტელეკომპანია „იმედი“-ს შენობაში ნაღმის არსებობის შესახებ აცნობა.

შეტყობინებიდან რამდენიმე წუთში ადგილზე საპატრულო პოლიციის ეკიპაჟები, კრიმინალური პოლიციის თანამშრომლები, გამნაღმველები და კინოლოგები გამოცხადდნენ. სამართალდამცველებმა უსაფრთხოების მიზნით შენობიდან იქ მყოფი ადამიანების ევაკუაცია მოახდინეს, მიმდებარე ტერიტორია ამკრძალავი ლენტით შემოსაზღვრეს და პერიმეტრი დაიცვეს. გამნაღმველების მუშაობის შედეგად დადგინდა, რომ გამოძახება ცრუ იყო – შენობაში ნაღმი არ აღმოჩნდა. სამართალდამცველებმა ცრუ შეტყობინების ავტორი ზარის განხორციელებიდან რამდენიმე საათში დააკავეს. გამოძიება ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინების ფაქტზე, სსსკ-ს 331-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს. გამოძიებას დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციის 1-ლი განყოფილება აწარმოებს.

**მედიანიუსი**

# გელა ნიკოლაიშვილი: „მერაბიშვილი და ახალაია ციხეში დიდხანს დარჩებიან“

დასაწყისი მე-5 გვერდზე

ამ შემთხვევაში ვგულისხმობ ნაციონალური მოძრაობის დამარცხებას. დღესაც პირადად ჩემთვისაც ბევრი მისი ნაბიჯი გაუგებარია, მაგრამ, მე იმედი მაქვს, რომ თუნდაც ეკონომიკურ სფეროში, დასაქმების სფეროში, გარკვეული ხნის შემდეგ ის წარმატება მოვა, რასაც ის გვპირდებოდა. მე მჯერა ამის, რადგან ამ კაცმა საქმით დაამტკიცა, რომ ბევრი რაღაც შეუძლია. ასე რომ, მე არ მგონია, ის გარბოდეს. უბრალოდ, მას თავისი მოქმედების სტილი აქვს.

*– მესამე სექტორს რაც შეეხება?*

– რაც შეეხება მესამე სექტორიდან მართვას, მე ვფიქრობ, ამის დიდი პოტენციალი აქვს მას, მაგრამ, ამავე დროს, ის არ შეეცდება, რომ რაღაცა დენციაოპინი გახდეს და ისე მართოს ხელისუფლება, უფრო სწორად, გარედან ხელისუფლების მართვის პრეტენზია ჰქონდეს. უბრალოდ, მის სიტყვას ექნება დიდი მნიშვნელობა, ოღონდ უფრო მორალური ფაქტორის იქნება ეს. ის დღესაც კი არ ერევა ისეთ საკითხებში, რაც პრემიერის პრეროგატივა და კომპეტენცია არ არის და მით უმეტეს გარედან არ შეეცდება ამას. ძალიან კარგი იქნება, ის თუ ჩვენთან გადმოვა და იქნება აქტიური. ამ შემთხვევაში აქტიური ნიშნავს იმას, რომ იმ დემოკრატიული პრინციპების დასამკვიდრებლად, რომელსაც ჩვენ, მესამე სექტორის წარმომადგენლები, უფლებადამცველები მთელი ცხოვრება ვემსახურებით, მივიღებთ ძალიან ძლიერ პარტნიორს და მე დიდი სიამოვნებით ველოდები ბიძინა ივანიშვილს ჩვენთან – კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, მე შემიძლია მხოლოდ ეს ვთქვა და დიდი ინტერესით დაველოდები მასთან თანამშრომლობას, იმიტომ რომ ის იქნება უკვე ჩვენი კოლეგა. მე იმედი მაქვს, რომ იქიდან უფრო დიდ გავლენს მოახდენს დემოკრატიზაციის პროცესზე. შეიძლება, ქვეყნის მართვაზე ვერ მოახდინოს იმდენი გავლენა, მაგრამ დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, იმედი მაქვს, დიდ მოკავშირეს შევიძენთ და ამ კუთხით ძალიან დადებითად წავა საქმე.

***– რაც შეეხება მის პოლიტიკურ გუნდს, თავად კი აცხადებს, საკმაოდ ძლიერ გუნდს ვტოვებო, მაგრამ მაინც, რამდენად ელით რყევებს, ხომ არ დაიშლება კოალიცია? თქვენი აზრით, რა პროცესები შეიძლება განვითარდეს?***

– მე ვფიქრობ, თანდათან რყევები იქნება. საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, კოალიციაში შემავალმა პარტიებმა შეიძლება რაღაცა პერიოდი გაძლონ და კოალიციურ რეჟიმში იმუშაონ, მაგრამ მე ველოდები, რომ დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, 2014 წლის ბოლოს, მაინც დადგება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების საკითხი. მე ვფიქრობ, რომ დაახლოებით ერთ წელიწადში ეს არჩევნები ჩატარდება. ჩვენ ჯერ კიდევ სიურპრიზები გველის საპრეზიდენტო არჩევნებში. მე არ ვთვლი, რომ მარგველაშვილი, როგორც „ქართული ოცნების“ ფავორიტი, უპირობოდ გაიმარჯვებს და მით უმეტეს პირველ ტურში. ე.წ. არასაპარლამენტო ოპოზიცია საკმაოდ მომძლავრდება ამ ერთ წელიწადში. რაც შეეხება ნაციონალებს, ისინი რომ ვეღარ გაცოცხლდებიან, ამისი მჯერა. რაც შეეხება ივანიშვილის მიერ დატოვებულ „ქართულ ოცნებას“, ვფიქრობ, მათი პოზიციები თანდათან შესუსტდება და, რადგანაც მათ მხარდაჭერა არ ექნებათ გარედან, აუცილებლად დადგება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების საკითხი, 2014 წლის ბოლოს ჩატარდება არჩევნები და ახალ პარლამენტში უკვე სულ სხვა კონფიგურაციას მივიღებთ.

# გიორგი მარგველაშვილი სამცხე-ჯავახეთში ამომრჩევლებს შეხვდა



კოალიცია „ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი გუშინ ამომრჩევლებთან შეხვედრას სამცხე-ჯავახეთში მართავდა.

გიორგი მარგველაშვილი ახალციხისა და ასპინძის ადგილობრივ მოსახლეობას სახელმწიფო მინისტრმა რეინტეგრაციის საკითხებში პაატა ზაქარეიშვილმა წარუდგინა. კოალიციის კანდიდატმა ამომრჩევლებს საპრეზიდენტო პროგრამის პრიორიტეტები გააცნო.

„2014 წლიდან პოლიტიკური ძალები ჩადგებიან ხალხის სამსახურში, არ იბრძოლებენ იმისთვის, რომ ერთმანეთს ხელი შეუშალონ. ჩვენ ყველა ერთად დავიწყებთ ეკონომიკის აღორძინებას. 2014 წელი იქნება უკეთესი, მაგრამ არ იქნება იდეალური. სერიოზული ინვესტიციები დაიწყება, რაშიც მთავრობასთან ერთად მეც ვიქნები ჩართული. 2014 წელს ჩადებული ინვესტიციები გაძლიერდება და 2015 წელს ჩვენ ბევრად უკეთეს გარემოში ვიცხოვრებთ. ჩვენი ერთობლივი მიზანია გაძლიერდეს საქართველოს თითოეული მოქალაქე, როგორც სახელმწიფოსგან მიცემული დახმარებით, ასევე იმ ეკონომიკური რესურსებით, რაც ქვეყანაში შემოვა.“-განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

ახალციხის ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრა საქართველოს რეინტეგრაციის მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა შეაფასა და იმ პრიორიტეტებზე ისაუბრა, რომელიც გიორგი მარგველაშვილს გააჩნია:

გიორგი მარგველაშვილი დღეს მოსახლეობას ლანჩხუთსა და ჩოხატაურში შეხვდება

**მედიანიუსი**


ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




საბანკო რეკვიზიტები:
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)



## განცხადებები

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● ოსტეოქონდროზის, დაქვეითებული სმენის – ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, რადიკულიტის, ჭრილობების და სხვა დაავადებების გარანტირებული განკურნება წამლების, აპარატურისა და ქირურგიული ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად. მისამართის შესახებ დაგვიკავშირდით ტელეფონზე: 599-97-85-46 ბ-ნი ლევანი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

# მეორე ჯგუფური ეტაპი დაიწყო

ერთდღიანი პაუზის შემდეგ განახლდა სლოვენიაში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატი. საქართველოს ნაკრები უკვე შინ არის, მედლებისთვის კი 12 უძლიერესი გუნდი აგრძელებს ბრძოლას.

ევრობასკეტი ფ ჯგუფის მატჩებით განახლდა და უნდა ითქვას, რომ მცირე სენსაციაც გამოცხვა.

### ლიტვა – საფრანგეთი 76:62
**(16:10, 16:17, 19:15, 25:20)**

**ლიტვა**: სეიბუტისი (15ქ), ვალანჩუნასი (13ქ,6მ), კლეიზა (11ქ,7მ), კუზმინსკასი (10ქ), კალნიეტისი (8ქ,7პ,6მ), პოციუსი (7ქ), ლავრინოვიჩი (4ქ), იავტოკასი (4ქ), მაჩიულისი (3ქ), მოტეიუნასი (1ქ), დელინინკაიტისი

**საფრანგეთი**: დე კოლო (12ქ), პარკერი (11ქ), აჟინკა (10ქ,6მ), ბატუმი (8ქ), დიაო (7ქ,6პ), ჟელაბალი (7ქ), პეტრო (4ქ), ლაუვერნიე (3ქ), დიაო, კაუდი, პიეტრუსი

ისევ ვერ მოიგეს ფრანგებმა. არადა, სამფეროვნები ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტებად არიან მიჩნეულები. ბალტიისპირელებთან მოგების შემთხვევაში ფრანგები მეოთხედფინალში ვადაზე ადრე გადიოდნენ და თან სერბებსაც გაუკეთებდნენ საქმეს, მაგრამ ასე არ ფიქრობდნენ ლიტველები. მათთვის ამ მოგებას სასიცოცხლო მნიშვნელობაც კი ჰქონდა და ყველაფერი გააკეთეს მის მისაღწევად.

გუნდური თამაშის წყალობით ბალტიისპირელები თავიდანვე დაწინაურდნენ და საქმე დამაჯერებელ მიიყვანეს ბოლომდე.

### ლატვია – უკრაინა 85:51
**(24:11, 18:11, 23:10, 20:19)**

**ლატვია**: იანიჩენოკსი (14ქ), კუკსიკსი (13ქ), მეიერსი (11ქ,10მ), სტრელნიეკსი (8ქ,7მ), მეიერისი (8ქ), ბერტანში (7ქ,7პ), კ.ბერზინსი (6ქ), ბლუმსი (6ქ), შკელე (6ქ), სელაკოვსი (4ქ, 5მ), ი.ბერზინსი (2ქ), ფრეიმანისი

**უკრაინა**: გლადირი (12ქ), კრავცოვი (7ქ), ჯეტერი (7ქ), პუსტოვოი (6ქ), პუსტოზვონოვი (6ქ), მიშულა (5ქ), ზაიცევი (4ქ), კორნიენკო (3ქ), ნატიაჟკო (1ქ), გლებოვი, ზაბირჩენკო, ლიპოვოი

უკრაინამ პირველ ეტაპზე გაცილებით უკეთესი თამაში აჩვენა, ლატვია კი, მეორე ჯგუფურ ეტაპზე 2 მარცხით გადავიდნენ, ამიტომაც პლეი ოფში გადასასვლელად აუცილებლად მოგება სჭირდებოდათ. აინარს ბაგატსკისის შეგირდებმა მწვრთნელის დავალება პირნათლად შეასრულეს და შანსი გაიჩინეს. განსაკუთრებით კარგად წაუვიდათ 3-ქულიანი სროლები – 29-დან 15 ჩააგდეს, რაც ძალიან მაღალი მაჩვენებელია.

### ბელგია – სერბეთი 69:76
**(18:19, 18:21, 15:14, 18:22)**

**ბელგია**: მუკუბუ (16ქ), ბეგინი (12ქ), ვან როსომი (12ქ), ერველი (8ქ,9მ), მასო (7ქ), მოორსი (5ქ), დე ზუევი (4ქ), ტაბუ-ებომა (3ქ), მუია (2ქ), მვემა

**სერბეთი**: კრსტიჩი (17ქ), მარკოვიჩი (15ქ), ბოგდანოვიჩი (12ქ), კალინიჩი (9ქ), ბიელიცა (7ქ,8მ), კატიჩი (7ქ), მიჩიჩი (5), გაგიჩი (2ქ), ნედოვიჩი (2ქ), ანჯუშიჩი

ბელგიელებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს მეტოქეს, მაგრამ დასკვნით მეოთხედში კლასმა თავისი გაიტანა და სერბებმა მორიგი გამარჯვება მიითვალეს. ისინი ამ მოგების შემდეგ ცალი ფეხით მეოთხედფინალში არიან, რადგან უდანაკარგოდ ლიდერობენ ჯგუფს.

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.სერბეთი | 3 | 3 | | 0219:196 | 6 |
| 2.ლიტვა | 3 | 2 | | 1199:184 | 5 |
| 3.საფრანგეთი | 3 | 2 | 1 | 221:212 | 5 |
| 4.ლატვია | 3 | 1 | | 2215:198 | 4 |
| 5.უკრაინა | 3 | 1 | | 2180:219 | 4 |
| 6.ბელგია | 3 | 0 | | 3191:216 | 3 |

# მესუთ იოზილი: „ზიდანის თამაშის შემყურე ყბა მივარდებოდა“

**ინგლისის პრემიერლიგისა და ევროპის ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი ტრანსფერი ლონდონის „არსენალმა“ განახორციელა, სადაც მადრიდის „რეალიდან“ თურქ-გერმანელი ფლეიმეიქერი მესუთ იოზილი გადავიდა. გთავაზობთ ოზილის პირველ ინტერვიუს ინგლისური კლუბის მაისურით.**

*–კეთილი იყოს თქვენი მობრძანება „არსენალში“. როგორ მოგწონს აქაურობა?*

– ძალიან კარგია აქაურობა და თავსაც მშვენივრად ვგრძნობ. მიხარია, რომ ამ კლუბში ვითამაშებ და ამ არჩევანს არანაირ შემთხვევაში არ ვნანობ.

*–და მაინც რამ განაპირობა თქვენი ასეთი არჩევანი? არსენ ვენგერმა თუ ითამაშა ამაში დიდი როლი?*

– იმიტომ, რომ „არსენალი“ ინგლისში ერთ-ერთი საუკეთესო კლუბია, მისი მწვრთნელი კი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მენეჯერია და ვენგერი ამას უკვე წლებია, ამტკიცებს. ფრანგის ხელში არაერთი მსოფლიო ვარსკვლავი გაზრდილა და მეც ამიტომ მიხარია მასთან ერთად მუშაობა – თანაც, „არსენალს“ შემტევ ფეხბურთს ათამაშებს და დარწმუნებული ვარ, მის ხელში კიდევ უფრო განვითარდები.

*–კლუბის გეგმებსა და ამბიციებზე რას იტყვით?*

– ის ძალიან მნიშვნელოვანია. მწვრთნელმა დამარწმუნა, რომ წარმატების მიღწევა სრულიად შესაძლებელია აქ და ამისათვის მე ყველაფერს ვილონებ.

*– სანამ ახალი კლუბის შესახებ გახდებოდა ცნობილი, პერ მერტეზაკერსა და ლუკას პოდოლსკის თუ უთხარით ამის შესახებ?*

– სამწუხაროდ, ველარ მოვასწარი, რადგან ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა. მენეჯერთან ხშირი საუბარი მქონდა ტელეფონით და კლუბის შესახებ მიჰყვებოდა და ასევე, რას ფიქრობდა ჩემზე.

*– და „არსენალის“ საფეხბურთო სტილზე რას იტყვით?*

–როგორც უკვე მოგახსენეთ, „არსენალი“ ტექნიკურად საკმაოდ ძლიერი გუნდია მსოფლიოში და ვენგერი შემტევი ფეხბურთის მიმდევარია, რაც მე საქმეს მიადვილებს. ბედნიერი ვარ, რომ ამ გუნდის ერთ-ერთი ნაწილი გავხდი.

*– როდესაც განაცხადს უყურებ, დარწმუნებული ხარ, რომ შესწევს ამ გუნდს ძალა, რათა ტიტულები დაისაკუთროს?*

– რა თქმა უნდა. დარწმუნებული ვარ, ქომაგებიც სწორედ ამას ელიან, რადგან უკვე წლებია, მათი საყვარელი კლუბი ვერაფერს იგებს და ჩვენ ამას აუცილებლად მოვახერხებთ და თანაც, პოტენციალიც გვაქვს.

*– თქვენ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ევროპაში ყველაზე მეტი სახიფათო მომენტი შექმენით. გოლებზე მეტად საგოლე პასები გიზიდავთ?*

– კი, ეს ასეა, თუმცა გუნდის წარმატებისთვის ყველაფერი უნდა გააკეთო.

*–პრემიერლიგა ლა ლიგასგან აშკარად განსხვავებულია. როგორ ფიქრობთ, ადაპტაცია გაგეწელებათ?*

–ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ამიერიდან პრემიერლიგაში ვითამაშებ, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ლიგაა და ჩემს თავსაც გავაუმჯობესებ ყველა მხრივ.

*– ბავშვობაში რომელი ფეხბურთელის ასპარეზობა მოგწონდათ?*

– თამამად ვიტყვი, რომ ჩემი კერპი ზინედინ ზიდანი გახლავთ. მისი თამაშის შემხედვარე, ყბა მივარდებოდა და თმები ყალყზე მიდგებოდა. ყველანაირად ძლიერი ფეხბურთელი გახლდათ და მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდა, უამრავი დამწყები ფეხბურთელის მაგალითი.

*– პირველად ინგლისის მიწაზე თამაში 2009 წელს მოგიწიათ, როდესაც გერმანიის 21-წლამდელთა ნაკრებით ინგლისელ თანატოლებს 4:0 მოუგეთ. იმ მატჩში კირონ გიბსი და თეო უოლკოტიც იყვნენ. რა დაგამახსოვრდათ?*

– ყველა გათვალისწინებით, ეს ძალიან მაგარი შეხვედრა იყო და თანაც, ეს ტურნირი ჩვენ მოვიგეთ და ბრწყინვალე კოლექტივი გვყავდა.

*– ლონდონზე რაღას იტყვით?*

– მე მასზე ბევრი რამ მსმენია და მაგალითად, ის, რომ მსოფლიო კლასის ქალაქია და კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ბედნიერი ვარ აქ აღმოჩენით.

# სანაკრებო პაუზის შემდეგ

**დღეს, საქართველოს ჩემპიონატის მე-5 ტურის მატჩები გაიმართება. ვნახოთ როგორ იმოქმედა გუნდებზე სანაკრებო პაუზამ და ვინ როგორ მოემზადა პირველობის დარჩენილი ნაწილისთვის.**



### ზესტაფონი – დილა
**ზესტაფონი. ცენტრალური**

ტურის ცენტრალურ მატჩად ზესტაფონში გასამართი შეხვედრა უნდა მივიჩნიოთ. ორივე გუნდს მაღალი ამბიციები აქვს, მაგრამ გორელები საქმეს უფრო ასრულებენ, „ზესტაფონი“ კი ჯერაც მოგების მოლოდინშია.

მასპინძელთა უპირატესობა ის იქნება, რომ „დილას“ სათადარიგოთა სკამზე არ ეყოლება მწვრთნელი გიორგი დევდარიანი, რომელიც დისკვილიფიცირებული და სასჯელს იხდის. ამავე მიზეზით მასპინძლებს ვახტანგ ჭანტურიშვილი დააკლდება, თუმცა მისი შემცვლელები გუნდში მოიძებნებიან.

ჰო, გორელებს გიორგი ილურიძე და ლაშა გვალია დააკლდებათ – ორივე მათგანმა კარიერის გაგრძელება უცხოეთში გადაწყვიტა. ვნახოთ, როგორი იქნება „დილა“ ორი წამყვანი ფეხბურთელის გარეშე.

მარგველთა და შიდაქართლელთა დაპირისპირებათა ისტორია 2004 წლიდან იწყება და სადღეისოდ უკვე 22 შეხვედრას ითვლის. ქვეყნის ეროვნული ჩემპიონატის ეგიდით გამართულ 18 შეხვედრაში ზესტაფონელებმა 12 მოიგეს და 6 მატჩში დამარცხდნენ. ცხადია, რომ გატანილი და გაშვებული ბურთების სხვაობაშიც უპირობო უპირატესობა იმერელთა მხარესაა – 33:18.

გუნდების გზები დავით ყიფიანის სახელობის ეროვნული თასის გათამაშებაშიც გადაკვეთილა და აქ, ჩემპიონატში გამართული მატჩებისაგან განსხვავებით, სრული თანაფარდობაა – 3 დაპირისპირებაში მეტოქეებმა თითოთითო გამარჯვება მოიპოვეს და ერთი შეხვედრაც ფრედ დასრულდა, ბურთების შეფარდება 5:5. რაც შეეხება საქართველოს სუპერთასზე დაპირისპირებას, მიმდინარე წლის 22 თებერვალს გამართული დრამატული მატჩის ბედი მატჩისშემდგომი პენალტების სერიამ იმერელთა სასარგებლოდ (4-2) გადაწყვიტა.

### დინამო (თბ) – ზუგდიდი
**თბილისი. დინამო არენა**

სხვადასხვა დროს თბილისელმა ფეხბურთელებმა ზუგდიდური „ოდიშის“, „დინამოს“, „მგლებისა“ და „ბაიას“ წინააღმდეგ იასპარეზეს. ამჯერად კი მტკვრისპირელები საფეხბურთო კლუბ ზუგდიდს დაუპირისპირდებიან.

ცხადია, მატჩის ფავორიტად დინამოელები მოიაზრებიან და წესით გამარჯვება არ უნდა გაუჭირდეთ, თუმცა არავინ იცის როგორ გაძლიერდა ეგვიპტელი ლეგიონერებით მეგრული კლუბი. აფრიკის კონტინენტის 2 წარმომადგენელი „ზუგდიდშია“ და „დინამოსთან“ სათამაშოდ ემზადება. თუ გავითვალისწინებთ, რომ ზუგდიდელებს რამდენიმე პერსპექტიული ახალგაზრდაც ჰყავთ, კარგი სანახაობრივი მატჩი უნდა გამოდგეს.

თბილისურ-ზუგდიდური დაპირისპირება დღემდე 38-ჯერ გაიმართა, საიდანაც 27 შემთხვევაში გამარჯვება დინამოელებს დარჩათ, 7 მატჩი ფრედ დასრულდა, 4 თამაში კი ზუგდიდურმა კლუბმა მოიგო. ბურთების შეფარდებაც, ცხადია, „დინამოს“ სასარგებლოდაა – 98:27.

### ტორპედო – გურია
**ქუთაისი. ცენტრალური**

საინტერესო მატჩი უნდა შედგეს ქუთაისშიც, სადაც გაახალგაზრდავებული „ტორპედო“ შინ იმ „გურიას“ დაუხვდება, რომელმაც წინა ტურში ყველაზე ხმაურიანი სენსაცია გამოაცხო და ჩემპიონატის უმთავრესი ფავორიტი „დინამო“ შინ უქულოდ გაუშვა.

ლანჩხუთელებს ამ მატჩისთვის ლეგიონერი არნაუ ჩუენსუ დააკლდება, ხოლო „ტორპედო“ უფრო დიდი დანაკლისით დაუხვდება გურულებს, რაზეც ქუთაისური კლუბის მთავარი მწვრთნელი საუბრობს.

**ჟერარდ სარაგოსა მულეტი:**

– ვიცი, რომ ლანჩხუთის „გურია“ ერთ-ერთი ტრადიციული საფეხბურთო კლუბია საქართველოში. მიმდინარე ჩემპიონატში ამ გუნდმა ორივე საშინაო თამაში მოიგო, თანაც, ბოლოს თბილისის „დინამოს“ სძლია. ამიტომ მეტოქე, უდავოდ, ანგარიშგასაწევი ძალაა. სამწუხაროდ, „ტორპედო“ მომავალ მატჩს დანაკლისებით ხვდება. რამდენიმე ფეხბურთელს ტრავმა აქვს, პლუს დისკვალიფიცირებული ნიკა ფირცხალავაც. მოგვიანებით შემოგვიერთდნენ 21-წლამდე ნაკრებში მყოფი ფეხბურთელებიც.

ეს გუნდები ერთმანეთს აქამდე 20-ჯერ შეხვედრიან. 13 მატჩი ქუთაისელთა სასარგებლოდ დასრულდა, 5 – ლანჩხუთელთა, 2 კი ფრედ. ბურთების შეფარდება იმერელთა სასარგებლოდაა – 50:22-ზე. თასზე კი გუნდებს შორის 6 მატჩი შედგა, ყველა შემთხვევაში ორი მატჩის ჯამში „ტორპედო“ გავიდა შემდეგ ეტაპზე (5 მოგება, 1 ფრე), ბურთები: 22:6-ზე.

### მერანი – ჩიხურა
**სამტრედია. ცენტრალური**

ჩემპიონატის ლიდერი მარტვილელებს სამტრედიაში ესტუმრება. გეხსომებათ, „მერანის“ კუთვნილმა სტადიონმა ლიცენზირება ვერ გაიარა და საშინაო მატჩების მარტვილში ჩატარების უფლება არ აქვს. ეს „ჩიხურას“ შანსებს ზრდის, თუმცა ზემოიმერლები დიმიტრი ტატანაშვილს მოისაკლისებენ.

### სიონი – ვიტ ჯორჯია
**თბილისი. მიხეილ მესხი**

საინტერესო მატჩი უნდა გამოდგეს. ბოლნისელები წელს გაძლიერდნენ, „ვიტ ჯორჯიამ“ კი სეზონი კარგად დაიწყო და ლიდერთა შორის იმყოფება.

დისკვალიფიცირებულები ორივე გუნდს ჰყავს – ბოლნისელები გიორგი კახელიშვილს მოისაკლისებენ, ვეტერინარები – გურამ ადამაძეს.

### მეტალურგი – სპარტაკი
**რუსთავი. ფოლადი**

სეზონი ორივე გუნდმა ცუდად დაიწყო. მაღალი ადგილებისთვის მებრძოლი რუსთაველები ცხრილის ქვედა ნაწილში არიან, „სპარტაკს“ კი ჯერ ქულაც არ აუღია.

მასპინძლებს გიორგი გავაშელიშვილი დააკლდებათ, სტუმრები კი რუსთავს საბრძოლო შემადგენლობით ეწვევიან.

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩიხურა | 4 | 2 | 0 | 1 | 8:4 | 9 |
| 2.ვიტ ჯორჯია | 4 | 2 | 1 | 1 | 6:2 | 7 |
| 3.დილა | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| 4.ტორპედო | 3 | 2 | 1 | 0 | 5:3 | 7 |
| 5.სიონი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:4 | 6 |
| 6.მერანი | 4 | 2 | 0 | 2 | 4:5 | 6 |
| 7.გურია | 4 | 2 | 0 | 2 | 3:6 | 6 |
| 8.მეტალურგი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:6 | 5 |
| 9.დინამო | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| 10.ზუგდიდი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:6 | 4 |
| 11.ზესტაფონი | 4 | 0 | 1 | 3 | 3:6 | 1 |
| 12.სპარტაკი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:5 | 0 |

**ბომბარდირები:** გრიგოლ დოლიძე (დილა), დიმიტრი ტატანაშვილი (ჩიხურა) – 3-3 ბურთი; ლაშა თოთაძე (სიონი), ელგუჯა ლობჯანიძე, გიორგი კორიფაძე (ორივე ვიტ ჯორჯია), ნიკა საბანაძე, თორნიკე კაპანაძე (ორივე ტორპედო), ირაკლი მოდებაძე (დილა), გიორგი დათუნაიშვილი (ჩიხურა) – 2-2.

# კასილიასს რეალიდან წასვლას უწინასწარმეტყველებენ



იკერ კასილასის მადრიდის „რეალიდან“ წასვლის თემა სპორტულ მედიაში კიდევ უფრო აქტიური გახდა. გასულ სეზონში ჟოზე მოურინიომ იკერი ძირითადი შემადგენლობიდან ამოაგდო, „თეთრების“ კარს დიეგო ლოპესი იცავდა. „სამეფო კლუბში“ კარლო ანჩელოტის მოსვლის შემდეგ კასილასისთვის არაფერი შეცვლილა, ის კვლავ სათადარიგოა.

გერმანული „ბილდი“ იუწყება, რომ არ არის გამორიცხული ესპანეთის ნაკრების მეკარე „დორტმუნდში“ გადაბარგდეს. მაისში ბორუსიელებმა მხოლოდ ერთ მეკარესთან – რომან ვაიდენფელერთან 2016 წლამდე გაახანგრძლივეს კონტრაქტი, თანაც კასილასს სურს „რეალიდან“ რაც შეიძლება მალე წავიდეს.

„სამეფო გუნდის“ სპორტული დირექტორი ზინედინ ზიდანი ამბობს:

– არა მგონია იკერს „რეალიდან“ წასვლა სურდეს. ამ საკითხზე მასთან საუბარს ვაპირებ.

ერთიც აღსანიშნავია, რომ ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის გახსნამდე გერმანიის ბუნდესლიგაში მისი გადასვლა შესაძლებელია.



მოამზადა
მიხეილ ყორყოლიანმა

# რეკორდული პრემიები

ევროპის სუპერთასიც შარშანდელი სეზონის კუთვნილებაა და სწორედ ამიტომ იყო, რომ ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა ახლაღა დაითვალეს ის პრემიები, რომლებიც მიუნხენის „ბაიერნის“ ფეხბურთელებმა მიიღეს. სუპერთასზე „ჩელსის“ დამარცხებისთვის თითოეულ ბაიერნელს 50.000 ევრო ერგო და დარიგებული პრემიები რეკორდული მაჩვენებლისაა!

ჩემპიონთა ლიგის, გერმანიის ჩემპიონატის, გერმანიის თასისა და ევროპის სუპერთასის მოგებისთვის თითოეულმა მოთამაშემ 850.000 ევროს ოდენობის პრემია მიიღო, რაც რეკორდმაისტერის ისტორიაში საუკეთესო შედეგია!

ამ თანხიდან 50.000 ევრო გერმანიის თასის მეოთხედფინალში „დორტმუნდის“ დამარცხებისთვის გაცემული თანხაა, 200.000 ევრო ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში „ბარსელონას“ დამარცხების პრემიაა, კიდევ 200.000 ჩემპიონთა ლიგის ფინალში „დორტმუნდთან“ მოგებისთვის გაიცა, ასევე 200.000 ევრო იყო გერმანიის ჩემპიონობის პრემია, გერმანიის თასის მოგებისთვის კი თითოეულმა ბაიერნელმა 150.000 ევრო მიიღო, 50.000 ევრო კი, როგორც უკვე ვთქვით, ევროპის სუპერთასის პრემიაა.

# მოზარდ მაყურებელთა თეატრი საიუბილეო სეზონს ხსნის

ეკა ირემაშვილი

**13 სექტემბერს ნოდარ დუმბაძის სახელობის თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრი ახალ თეატრალურ სეზონს ხსნის. 85-ე საიუბილეო სეზონი მთლიანად რამდენიმე დღის წინ გარდაცვლილ ამავე თეატრის წამყვან მსახიობს რეზო თავართქილაძეს მიეძღვნება.**

**როგორც მოზარდ მაყურებელთა თეატრის ხელმძღვანელმა რეჟისორმა დიმიტრი ხვთისიაშვილმა „ახალ თაობას“ განუცხადა, საიუბილეო სეზონზე ბევრი სიახლეა, მათ შორის არის პრემიერები, ფესტივალებზე მიწვევები და ქართულ-ინგრისური პროექტები.**

**დიმიტრი ხვთისიაშვილი, მოზარდ მაყურებელთა თეატრის ხელმძღვანელი:**

13 სექტემბერს ჩვენი თეატრი საიუბილეო, რიგით 85-ე სეზონს ხსნის.

***– რატომ აირჩიეთ თარსი რიცხვი?***

– სულაც არ არის ჩემთვის 13 თარსი რიცხვი. არ მჯერა ასეთი რაღაცების. პირიქით, 13 ჩემთვის ძალიან ძვირფასი რიცხვია. 13-ში გავხდი მამა, პირველი შვილი 13-ში მყავს დაბადებული.

***– რა სპექტაკლით ხსნით საიუბილეო სეზონს?***

– ვინაიდან მაინც დუმბაძის თეატრი ვართ, ვიწყებთ „კუკარაჩათი“. სამწუხაროდ, ბატონი რეზო თავართქილაძის გარეშე. 14 და 15 სექტემბერს გვაქვს მედეა კუჭუხიძის სპექტაკლის პრემიერა ჰოფმანის „პატარძლის ამორჩევა“, პარალელურად, მცირე დარბაზში 14 სექტემბერს ნოდარ დუმბაძის გარდაცვალების დღეა და ვითამაშებთ „სიცოცხლის ხეს“ ნოდარ დუმბაძის ნოველების მიხედვით. ეს სპექტაკლი კოტე მირიანაშვილმა განახორციელა. 14-15-შივე იქნება სპექტაკლი „მზის სხივი“, რომელიც ბესო კუპრეიშვილის მიერ არის დადგმული.

***– თბილისის თეატრალურ ფესტივალში თუ იღებთ მონაწილეობას?***

– დიახ. 8 ოქტომბერს ჩვენი თეატრი ფესტივალში მონაწილეობას იღებს ქართულ პროგრამაში სპექტაკლით „მზის სხივი“, რომელსაც უცხოელებისთვის ვითამაშებთ ინგლისურ ენაზე.

***– სპექტაკლი საგანგებოდ დადგით ინგლისურად?***

– დიახ, საგანგებოდ ვთამაშობთ ინგლისურ ენაზე, თანაც იმდენი მოთხოვნაა უცხოეთიდან უშუალოდ ამ სპექტაკლთან მიმართებაში, ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ საგასტროლო ვარიანტთან ინგლისური ვერსიაც გვქონოდა. თარგმანი გვაქვს, გადავწყვიტეთ ჩავწეროთ რომ დავიზღვიოთ თავი, რომ იყოს ჩანაწერი, რადგან თოჯინურია სპექტაკლი. თუ ჩვენი მსახიობები მოახერხებენ, რომ ცოცხლად აჟღერდეს ინგლისურად, არ არის ტექსტუალურად ბევრი, მაგრამ თუ ვერ მოხერხდა, იქნება ჩანაწერით, რადგან თოჯინური სპექტაკლია.

***– სად გაქვთ მიწვევები?***

– უკვე გადაწყვეტილია ჩვენი თეატრის მიწვევა პეტერბურგში. 15 ნოემბერს ჩვენი სპექტაკლი „დეჟა ვიუ“ იქნება წარმოდგენილი პეტერბურგში მცირემასშტაბიანი სპექტაკლების მეოთხე საერთაშორისო ფესტივალზე. როცა ვნახეთ ამ ფესტივალის პირობები და გავაგზავნეთ მოთხოვნა, რომ გვქონდა სურვილი ამ ფესტივალში მონაწილეობის, გვიპასუხეს, ეს არის კონკურს-ფესტივალი, იქ გაიცემა ნომინაციები, ამიტომ შემოგვთავაზეთ რამდენიმე ვარიანტი და ჩვენი კომისია შეარჩევს 10 საუკეთესო სპექტაკლს ყველა შეთავაზებიდანო. აღმოჩნდა, რომ ეს ფესტივალი თვითონ არ იწვევს თეატრებს, განაცხადებს იღებს და შემდეგ სპეციალური კომისია არჩევს 10 საუკეთესო სპექტაკლს მთელი მსოფლიოდან. ამ ათ სპექტაკლში მოხვდა ჩვენი სპექტაკლი „დეჟა ვიუ“. ფესტივალი 10-დან 20 ნოემბრის ჩათვლით იმართება, ბოლო დღეს არის დაჯილდოება. ჩვენ 15 ნოემბერს ვართ ჩასმული ამ ფესტივალში.

***– „მზის სხივზე რას იტყვით“?***

– თურქეთის ორი სხვადასხვა ფესტივალიდან არის მოწვევა, უბრალოდ აუცილებელი პირობაა, რომ სპექტაკლი იყოს ინგლისურ ან თურქულ ენაზე. თურქულ ენაზე, რა თქმა უნდა, არ ვაპირებთ ამ სპექტაკლის თარგმნას. არის მოწვევა და სერიოზული მოპალარაკება მიმდინარეობს ედინბურგის ფესტივალზე, ოღონდ იქ იმართება ორი სხვადასხვა ტიპის ფესტივალი – მაისში და აგვისტოში. აგვისტოს ფესტივალია ის ცნობილი ფესტივალი, რომელიც 47 წელს დაარსდა და მოჰყვება დღემდე, რაც შეეხება მაისის ფესტივალს, ის დაარსდა რამდენიმე წელია და არის სწორედ საბავშვო და საყმაწვილო ფესტივალი. წელს მიწვეული ვიყავი სტუმრის სტატუსით მოადგილესთან ერთად და ვნახე, რომ საკმაოდ მაღალი დონის ფესტივალია. მოვამზადეთ სპეციალური ბუკლეტი და ისინიც ძალიან დაინტერესდნენ „მზის სხივით“. წარმატებული სპექტაკლი აღმოჩნდა ჩვენი თეატრისთვის და თავისთავადაც ძალიან საინტერესო წარმოდგენაა. ისევ „მზის სხივს“ ეხება მიწვევა ივანოვოდან, არის მიწვევა ფინეთიდან, სადაც განსახილველად შემოგვთავაზეს ერთი საბავშვო და ერთი სადიდო წარმოდგენა. მათ ჩვენ შევთავაზეთ „მზის სხივი“ და „ირინეს ბედნიერება“, პასუხს ახლა ველოდებით.



***– დათა თავაძის სპექტაკლის პრემიერა როდის გაქვთ?***

– ძალიან მნიშვნელოვანი და დიდი მოლოდინი ჩვენთვის ის არის, რომ 8, 9 და 10 ოქტომბერს ფესტივალის ფარგლებში გაიმართება პრემიერა შექსპირის „ზამთრის ზღაპარის“, რომლის რეჟისორიც დათა თავაძეა. ეს პიესა საერთოდ პირველად იდგმება საქართველოში. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან პოპულარულია ქართველებისთვის შექსპირი, „ზამთრის ზღაპარი“ არასდროს დადგმულა. არსებობდა ერთადერთი თარგმანი ზვიად გამსახურდიასი, თუმცა სცენიური ადაპტაციისთვის, აუცილებელი გახდა ახალი თარგმანის გაკეთება, იმიტომ, რომ ის უფრო პოეტური თარგმანი იყო და არა დრამატურგიული. დათო გაბუნიას შევუკვეთეთ და გვაქვს სრულიად ახალი ვერსია თარგმანისა. ეს არის დათა თავაძის პირველი დადგმა სამეფო უბნის თეატრის გარეთ, პიესაც პირველად იდგმება და ყველანაირად დებიუტია. ყოველ დღე რეპეტიციის შემდეგ ჩემთან შემოდის ორი-სამი სხვადასხვა მსახიობი და ვერ მალავენ აღფრთოვანებას ახალგაზრდა რეჟისორის ტალანტის მიმართ, იმდენად საინტერესო სარეპეტიციო პროცესია.

***– ლევან წულაძე როდის დაიწყებს მუშაობას თქვენს თეატრში?***

– უკვე განაწილებულია როლები და გამოკრულია ბრძანება, რომ 15 სექტემბერს დაიწყება რეპეტიციები „რომეო და ჯულიეტასი“, რომელსაც დგამს ბატონი ლევან წულაძე. ეს სპექტაკლი მიეძღვნება შექსპირის 450-ე წლისთავს, თავისთავად „ზამთრის ზღაპარიც“. ჩვენს საიუბილეო სეზონში მოხვდა და ორივე პიესა შექსპირისაა, მაგრამ იცით რატომ არ შევიკავეთ თავი, რომ ერთი ავტორის ორი პიესა დავდგათ? გარდა იმისა, რომ დიდი ავტორია და რატომაც არა, თან ორივე რეჟისორი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. დათა თავაძე დებიუტანტია, ლევან წულაძე გამოცდილი და პროფესიონალი, მაგრამ 2014 წელი იუნესკოს მიერ მსოფლიოში გამოცხადებულია შექსპირის წლად. ალბათ სხვა თეატრებიც განახორციელებენ ერთგვარ მიძღვნებს. ბატონმა რობერტ სტურუამ დააანონსა, რომ ამ იუბილეს მიუძღვნის შექსპირის „იულიუს კეისარს“ რუსთაველის თეატრში. დარწმუნებული ვარ, რომ ამ იუბილეში სხვა თეატრებიც ჩაერთვებიან. მოზარდ მაყურებელთა თეატრი კი ორი სპექტაკლით აღნიშნავს შექსპირის იუბილეს.

***– როდის ითამაშებთ „რომეო და ჯულიეტას“?***

– 10 ნოემბრისთვის გვაქვს დაგეგმილი პრემიერა. 11 ნოემბერს არის თეატრის იუბილე და წინა დღეებისთვის გვინდა პრემიერა ვითამაშოთ. მთავარია ტექნიკურად მოესწროს, ძალიან საინტერესო დეკორაციაა ნინო სურგულაძის, ამიტომ გვინდა იყოს ისეთი, როგორიც ეკადრება ლევან წულაძეს, შექსპირსაც და ნინო სურგულაძესაც.

***– რა პრემიერებს გეგმავთ დიდ სცენაზე?***

– ახალ წლამდე იგეგმება იაკობ გოგებაშვილის „იავნანამ რა ჰქმნა“, რომელსაც ოთარ ბაღათურია დგამს. ჯერჯერობით რაც არის ჩაშვებული, იმ სპექტაკლებზე ვსაუბრობ და შეკრავს წრეს ახალგაზრდა რეჟისორი გიორგი ქანთარია, რომელიც დგამს დიუმას „სამ მუშკეტერს“.

***– რა იქნება წარმოდგენილი თქვენს თეატრში ყველაზე პატარა მაყურებლისთვის?***

– ოქტომბერშივე დათასა და ჭოლას სპექტაკლებს შორის შედგება ასტრიდ ლინდგრენის ძალიან ცნობილი ზღაპრის „ემილის თავგადასავლის“ პრემიერა დიდ სცენაზე. სპეციალურად მზადდება ეს სპექტაკლი ძალიან პატარა მაყურებლისთვის. ესეც და „ზამთრის ზღაპარიც“ დააფინანსა მერიის კულტურის სამსახურმა, „რომეო და ჯულიეტას“ აფინანსებს კულტურის სამინისტრო.

***– სიმფონიური ზღაპრის დადგმა რატომ გადაწყვიტეთ?***

– ეს არის მთელ მსოფლიოში ცნობილი პროექტი, რუსი კომპოზიტორის სერგეი პროკოფიევის სიმფონიური ზღაპარი „პეტია ი ვოლკ“ ანუ „პეტია და მგელი“. ეს ნაწარმოები პროკოფიევმა დაწერა სპეციალურად მოსკოვის მოზარდ მაყურებელთა თეატრისათვის მაშინ, როცა ეს თეატრი დაარსდა. ამის შემდეგ ეს ნაწარმოები აიტაცა მთელმა მსოფლიომ, ეს არის საგანმანათლებლო და შემეცნებიიი პროექტი. ტექსტიც კი კომპოზიტორის მიერ არის დაწერილი. ბავშვებს გარდა იმისა, რომ ზღაპარს აყურებინებენ, სცენაზე ზის ცოცხალი ორკესტრი და აცნობენ მუსიკალურ ინსტრუმენტებს. ჩვენ პატარებს ამ ზღაპრის ფონზე გავაცნობთ რა ინსტრუმენტები შედის ორკესტრში. აქედან გამომდინარე, ჩვენთან მოვიდა წინადადებით ცნობილი დირიჟორი ავთანდილ მამაცაშვილი და ევგენი მიქელაძის სახელობის ორკესტრი და ჩვენ ამ პროექტს განვახორციელებთ ერთობლივად, ქორეოგრაფი იქნება გია მარღანია. ძირითადი ნაწილი ამის განხორციელებისა არის უფრო ბალეტში გადაწყვეტილი. წამყვანი გვინდა იყოს ორენოვანი, რომ ქართულადაც და რუსულადაც წაიყვანოს სპექტაკლები.

***– ვინ იქნება წამყვანი?***

– კოტე თოლორდავა გვყავს წამყვანის როლზე შერჩეული.

***– სპექტაკლს თქვენ დადგამთ?***

– ალბათ თვითონ დავდგამ ამ სპექტაკლს მიქელაძის ორკესტრთან ერთად.

***– კიდევ რას დადგამთ?***

– მცირე სცენაზე მინდა დავდგა უკვდავი „ნაცარქექია“. ეს იქნება ჩემი უახლოესი პრემიერა. კიდევ გამოვტოვე რაღაცები, იმიტომ, რომ ისედაც ბევრი პრემიერა გვაქვს. გვინდა ვითამაშოთ „კლოუნადა“, რომელსაც ნიკა საბაშვილი დადგამს ორენოვანი მაყურებლისთვის, არის ქართული ხალხური სანახაობებისა და საბრძოლო ხელოვნების „ხრიდოლის“ ელემენტებით სპექტაკლის დადგმა გადაწყვეტილი, არის დოჩანაშვილის „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ დადგმა გადაწყვეტილი, ზურა კანდელაკი მუშაობს, ზურა ცინცქილაძეა მთავარ როლში. ასე რომ, არის ზღვა რაოდენობა პროექტებისა. რაც ჩამოვთვალე, რეალურად, ისეა ჩვენი გეგმა გაწერილი, რომ „სამი მუშკეტერის“ გარდა, ყველა პრემიერა უნდა შედგეს პირველ იანვრამდე.

***– რა იქნება პირველი იანვრის შემდეგ?***

– იანვრიდან პირველი პრემიერა „სამი მუშკეტერი“ იქნება და შემდეგ უკვე გვაქვს მოლაპარაკება და პრინციპული თანხმობა გვაქვს მიღებული გიზო ჟორდანიასგან, დავით დოიაშვილისგან. გარდა ამისა, უნდა განვახორციელოთ ქართულ-ინგლისური ერთობლივი პროექტი, მათ ვადებად დაგვისახელეს თებერვალი-მარტი-აპრილი. პურნი მორელი და კომპანია „იუნიკორნი“ ალბათ სწორედ ამ თვეებში ჩამოვლენ და „ათას ერთ ღამეს“ განახორციელებენ.

***– თემურ ჩხეიძეს არ მოიწვევთ თქვენს თეატრში?***

– ბატონ თემურ ჩხეიძესთანაც გვქონდა მოლაპარაკება და მან გვთხოვა ასეთი რამ – 2013-14 წლების სეზონში აიყვანა ჯგუფი, პირველი კურსი და სანამ ისინი პირველ კურსზე არიან, მადროვეთო, მაგრამ პრინციპული თანხმობა მოგვცა, რომ მომავალ სეზონში თქვენთან სპექტაკლს დადგამო და ჩვენ ძალიან დიდი მოლოდინით ვართ ამ მიმართულებით.

გარდა ამისა, იმ რეჟისორებთან, რომლებმაც უკვე განახორციელეს სპექტაკლები, იგივე ქალბატონი მედეა კუჭუხიძე, იგივე დათა თავაძე, იგივე ბატონი ლევან წულაძე, მათთან თანამშრომლობას არ შევწყვეტთ და ეს არ იქნება ერთჯერადი. მინდა, რომ ქართული თანამედროვე საუკეთესო რეჟისურა სულ იყოს ჩართული პროცესში. პატარა კოსმეტიკური რემონტი ჩავატარეთ თეატრში, გამოვცვალეთ ხალიჩები, რომ მაყურებელს განახლებული ინტერიერით დავხვედროდით, მაგრამ ბატონი რეზო თავართქილაძის გარდაცვალება იყო იმხელა დარტყმა... ამხელა არტისტის გარდაცვალება არ არის ადვილი საქმე.

***– საიუბილეო სეზონს რეზო თავართქილაძეს მიუძღვნით?***

– დიახ. ბატონი რეზოს დაკრძალვაზე ოფიციალურად განვაცხადე და ამას აუცილებლად განვახორციელებ, რომ თეატრის საიუბილეო დღეებში გაიხსნება მესამე ექსპერიმენტული სცენა, რომელსაც ერქმევა რეზო თავართქილაძის სახელობის ექპერიმენტული დარბაზი. წინა თეატრალურ სეზონში მან ორი პრემიერა ითამაშა და „ნაცარქექიაში“, რომელიც უნდა დამედგა, მეფის როლზე იყო განაწილებული. ისეთი ბედნიერი იყო, ახალ როლზე ახალ სეზონში რომ იმუშავებდა, ვერ აგიწერთ. მისი ამქვეყნიდან წასვლა იყო უდიდესი დარტყმა ჩვენი თეატრისთვის. ჩვენი თეატრის „ფეისბუქის“ გვერდზე ოფიციალურად დავწერე, რომ ჩვენს საიუბილეო სეზონს მთლიანად მივუძღვნით რეზო თავართქილაძის ხსოვნას, იმიტომ რომ იმ რანგის შემოქმედის როგორიც იყო ბატონი რეზო, სწორება ნამდვილად ღირს.

## კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. გამომწვარი თაბაშირი; 2. კონცერნი „ჯენერალ მოტორსის“ მარკის მსუბუქი ავტომობილი; 3. ცეცხლგამძლე, თიხის ლაბორატორიული ჭურჭელი; 4. მინერალი, ნახევრად ძვირფასი ქვა; 5. ქართული იუმორისტული ჟურნალი; 11. ქართული ნავთობკომპანია; 12. ჩხიკვის მეორე სახელწოდება; 14. სულიერი მოძღვარი, დამრიგებელი; 16. მუსიკალური ფრაზის გამეორება სხვა ხმით ან სხვა ტონალობით; 17. ირანელი ჯარისკაცი; 19. გერმანელი მიკრობიოლოგი, რომელსაც პირველს მიენიჭა ნობელის პრემია ფიზიოლოგია-მედიცინის დარგში; 21. სასვენი ნიშანი გრამატიკაში; 22. ყველაზე დიდი მდინარე საფრანგეთში.

**თარაზულად**: 6. ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 7. ჩრდილო ამერიკაში მზარდი გიგანტური წიწვოვანი ხე; 8. ამერიკელი მწერალი სამუელ კლემენსის ლიტერატურული ფსევდონიმი; 9. სომხური ცეკვა; 10. სუბტროპიკული ხილი; 13. ნორვეგიელი კომპოზიტორი; 15. დედამიწის ატმოსფეროს ქვედა ნაწილი; 18. მიკროსკოპული ერთუჯრედიანი ორგანიზმი, ბაქტერია; 20. სათამაშო კოჭის ერთ-ერთი მხარე; 21. პლანეტა მარსის ქართული სახელწოდება; 23. ორკორპუსიანი გემი; 24. სამონასტრო კომპლექსი ადიგენის რაიონში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. შოტლანდია; 2. შავლეგო; 3. მოხერი; 4. გაუდა; 5. გრანმა; 11. ტირადა; 12. ნევადა; 14. თექა; 16. ენოთეკა; 17. ჰერმესი; 19. ნიქოზია; 21. მამნე; 22. ბოლტი.

**თარაზულად:** 6. კოლორადო; 7. სტატორი; 8. დაფნე; 9. კაბარე; 10. რენტა; 13. სიათა; 15. თედიაშვილი; 18. კარდენი; 20. ელია; 21. მწყერი; 23. მარსელიოზა; 24. სეგუნი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. გამბრინუსი; 2. ლორენი; 3. ბომარშე; 4. ტუმბო; 5. ჟურფიქსი; 6. ჰიჯრა; 7. ბოსტონი; 9. შირაქი; 13. პიერო; 17. ქოცო; 18. ობი.

**თარაზულად:** 1. გუდვილი; 3. ბატუტი; 8. სულიკო; 10. რენუარი; 11. ორერა; 12. ტორსიდა; 14. ონიქსი; 15. აპენინი; 16. საქსი; 19. ქორქია; 20. ციურიხი; 21. ორფოლო.

## შსს-ს აკადემია ერთ-ერთ ყველაზე გამჭვირვალე უწყებად დასახელდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა, საჯარო ინფორმაციის გაცემის თვალსაზრისით ყველაზე ანგარიშვალდებულ და გამჭვირვალე დაწესებულებებს შორის დაასახელა.

2012 წლის ივლისი – 2013 წლის ივნისის მონაცემების მიხედვით წარმოდგენილი კვლევის შედეგების პრეზენტაცია და დაჯილდოების ცერემონია, დღეს სასტუმრო ,,რადისონ ბლუ ივერია“-ში გაიმართა. ღონისძიება, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა და ფონდ ,,ღია საზოგადოება-საქართველო“-ს აღმასრულებელმა დირექტორმა ქეთი ხუციშვილმა გახსნეს. პრეზენტაციას, საჯარო დაწესებულებების, სამინისტროების, საერთაშორისო ორგანიზაციების, დიპლომატიური კორპუსის, მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრნენ.

ჩატარებული კვლევის შედეგად ირკვევა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში შემავალმა ამ უწყებამ, მთელი წლის განმავლობაში გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია დროულად და სრულყოფილად გასცა. შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის რექტორ ნუკრი გელაშვილს, ნომინაციაში „2012-2013 წლებში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის“ სპეციალური ჯილდო გადაეცა.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის წარმომადგენლების განცხადებით, 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, საჯარო ინფორმაციის გაცემა გაუმჯობესდა. არჩევნებამდე არსებული სრულყოფილად გაცემული პასუხების 51%-იანი ნიშნული 81%-მდე გაიზარდა, ხოლო უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნების – 30%-დან 11%– მდე შემცირდა. გამჭვირვალე დაწესებულებების გამოვლენა ფონდ „ღია საზოგადოება საქართველო“-ს მხარდაჭერით განხორციელდა.

**ნიუსპრესი**

# ალექსი მაჭავარიანის საიუბილეო ღონისძიებები იწყება

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ნიეტა დაკავებულია ელისო ვირსალაძის ფესტივალზე თელავში, ამიტომ ამ კონცერტმა გადმოიწია. ჩემი გეგმები ცოტა სხვანაირი იყო, მაგრამ მაინც ძალიან კმაყოფილი ვარ.

*– კიდევ რა ღონისძიებებია დაგეგმილი?*

– 23 სექტემბერს ალექსი მაჭავარიანი ხდება 100 წლის. ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში მერიის ეგიდით ტარდება კონცერტი და მასში მონაწილეობს ოპერის ორკესტრი და სოლისტები ნინო სურგულაძე და ლადო ათანელი, მე ვდირიჟორობ. ამ კონცერტზე შესრულდება ოთხი საბალეტო სიუიტა. მამას აქვს ოთხი ბალეტი ეს არის „ოტელო“, ოტელოდან მეორე სიუიტა, იმღერებს ნინო სურგულაძე და ესეც იქნება პირველი შესრულება, არასდროს შესრულებულა გერტრუდას მონოლოგი ოპერიდან „ჰამლეტი“ და ამის შემდეგ შესრულდება ბალეტი „ჭირვეულის მორჯულებიდან“ სიუიტა. პირველი განყოფილება მთლიანად შექსპირისეულია – „ოტელო“, „ჰამლეტი“ და „ჭირვეულის მორჯულება“. მეორე განყოფილებაში სულ ქართული თემატიკა იქნება წარმოდგენილი. შესრულდება სიუიტა ბალეტიდან „ფიროსმანი“, ამის შემდეგ ლადო ათანელი იმღერებს ორ სიმღერას, ერთი არის ხალხურ ტექსტზე „გოგოვ შავთვალა“, ხოლო მეორე – ილია ჭავჭავაძის ტექსტზე. ამის მერე საბოლოოდ იქნება ვეფხისტყაოსნიდან ნესტანის წერილი ბალეტიდან „ვეფხისტყაოსანი“ და ფინალი ვეფხისტყაოსნიდან. ნესტანის წერილს იმღერებს ნინო სურგულაძე, შემდეგ ორკესტრი გააგრძელებს ამ ბალეტის ფინალს. ეს არის ფილარმონიაში დაგეგმილი 23 სექტემბრის კონცერტის პროგრამა.

*– 30 სექტემბერს რა გაქვთ დაგეგმილი?*

– მაშინ გადავხტები 30 სექტემბერზე და მერე ისევ უკან წამოვალ. 30 სექტემბერს რუსთაველის თეატრში არის ისევ ოპერის ორკესტრი და ტარდება კონცერტი. ღონისძიება იწყება ალექსი მაჭავარიანის ოპერა „ჰამლეტიდან“ ჰამლეტის მონოლოგით და ესეც პირველი შესრულებაა, არ შესრულებულა არასდროს. მას მღერის ანზორ ხიდაშელი. ამის შემდეგ შესრულდება პატარა სიმფონიური ნაწარმოები, ეს არის „ფრესკა“ ვეფხისტყაოსნიდან და შემდეგ ლადო ათანელი იმღერებს 5 მონოლოგს ვაჟა-ფშაველას სიტყვებზე. ეს ის ნაწარმოებია, რაშიც ალექსი მაჭავარიანმა რუსთაველის პრემია მიიღო. მეორე განყოფილებაში კი წარმოდგენილი იქნება მეხუთე სიმფონია სახელწოდებით „უშბა“. ეს ის ნაწარმოებია, რომელსაც პროფესორმა ნიკიტენკომ გენიალური მუსიკა უწოდა.



ასევე 23 სექტემბერს რომ ჩატარდება ფილარმონიაში კონცერტი, 24, 25, 26, 27 და 28 სექტემბერს უკვე კონსერვატორიის მცირე დარბაზში იქნება კამერული კონცერტები, ყოველ დღე სხვადასხვა ჟანრი – 24-ში იქნება ვოკალური მუსიკა, 25-ში – სავიოლინო მუსიკა, 26-ში – საფორტეპიანო და ამ კონცერტს გულის ფანცქალით ველოდები, იმიტომ რომ იწყებს ჩემი შვილი ალექსი მაჭავარიანი.

*– რას დაუკრავს?*

– ბაბუას პრელუდიას და ფუგას. საკმაოდ დიდი პასუხიმგებლობაა, ის იწყებს კონცერტს და ვღელავ უკვე. 27-ში იქნება საგუნდო მუსიკა, 28-ში – კვარტეტი და ჩელოს და ნარევი პროგრამაა შედგენილი. საკმაოდ მრავალფეროვანი ღონისძიებებია დაგეგმილი.

*– მხოლოდ საქართველოში აღნიშნავთ ალექსი მაჭავარიანის იუბილეს?*

– არა, ეს მარტო საქართველოში არ ხდება. ალექსი მაჭავარიანის იუბილეს აღნიშნავს 12 დეკემბერს მარიას თეატრი, სადაც მე ვიდირიჟორებ. იქ იქნება ძალიან დიდი აღნიშვნა ალექსი მაჭავარიანის იუბილესი. ამის შემდეგ იუბილე აღინიშნება მოსკოვში, სადაც კონსერვატორიის დიდ დარბაზში რადიოს და ტელევიზიის დიდი სიმფონიური ორკესტრი დაუკრავს და იქაც მე ვიდირიჟორებ. ასევე საიუბილეო კონცერტები ჩატარდა უკვე ანკარაში, სადაც მთავარი მიწვეული დირიჟორი გახლავართ. ეს არის პრეზიდენტის ნაციონალური სიმფონიური ორკესტრი, ფანტასტიური, უმაღლესი კლასის ორკესტრი, არაფრით ნაკლები, ვიდრე ლონდონის ან ნიუ-იორკის ორკესტრი. ალექსი მაჭავარიანის 100 წლის იუბილე აღინიშნა ბრიუსელში, ლისაბონში, ჰამბურგში და ლონდონში. ძალიან კარგია, როცა ასეთი ინტერესია ალექსი მაჭავარიანის 100 წლის იუბილეს მიმართ. უზარმაზარ მადლობას ვუხდი ჩემს მეგობრებს, უდიდეს მუსიკოსებს, რომლებიც სპეციალურად ჩამოდიან ამ სიშორიდან, ყოველგვარი ანგარების გარეშე, ალექსი მაჭავარიანის პატივისცემით და მონაწილეობენ ამ კონცერტებში. ეს არიან ნინო სურგულაძე, ლადო ათანელი, თეონა ჯიბლაძე, სოფო გორდელაძე. მადლობელი ვარ ორივე ორკესტრის – სიმფონიეტასიც და ოპერის ორკესტრისაც, რომლებიც ძალიან გულმოდგინედ მუშაობენ ამ პროგრამებზე. ისეთ სტრესში ვარ, ამ მომენტში ჩემთვის 24 საათი ცოტაა, მირჩევნია 36 საათამდე გაიზარდოს დღე, მაგრამ ვიცი, არ არსებობს ასეთი რამ. დიდია მოლოდინი, პასუხისმგებლობა და არც ისე ადვილად მიდის საქმეები. მიუხედავად იმისა, რომ ეს ორგანიზაციები მეხმარებიან საიუბილეო ღონისძიებების ჩატარებაში, მაინც საქართველოს რეალობა არის ის, რომ სიურპრიზები თან გდევს და გაუთვალისწინებელი პრობლემები იჩენს ხოლმე თავს, დღეში სამი-ოთხი პრობლემა ჩნდება და მათი გადალახვა მიწევს, ეს მთრგუნავს და ძალას მართმევს, მაგრამ ვიცი, რომ ცხოვრება ბრძოლაა. ძალიან მეხმარება თბილისის მერია, კულტურის სამინისტრო, კონსერვატორია.

*– ბევრი ნაწარმოებია ალექსი მაჭავარიანის, რომელიც არ შესრულებულა?*

– პირველ რიგში, ჩემი ქვაკუთხედი და ჩემი ცხოვრების მიზანია, რომ ბოლოს და ბოლოს განხორციელდეს ოპერა „ჰამლეტის“ დადგმა. ეგ ეგრე იოლი არ არის, იმიტომ რომ ეს ოპერა მამას დიდმა თეატრმაც სთხოვა და მარიას თეატრმაც სთხოვა, ამის წერილებიც მაქვს. მაგრამ ორივეს უთხრა უარი, იმიტომ რომ ელოდა იმ ენაზე დაედგა, რომელზეც მან დაწერა, ანუ ქართულად, მაჩაბლის გენიალური თარგმანით, ქართულად უნდოდა დაედგა ეს ოპერა, მაგრამ ცხოვრებაში არ აღირსეს. მე დაველოდე მის 100 წლისთავს. თუ ახლა, სექტემბერში არ მითხრეს, რომ ეს ჩასმულია გეგმაში, მაშინ ნამდვილად მომეხსნება ტაბუ და მივცემ სხვა თეატრს დასადგმელად. რამდენი ველოდო, 1977 წელს დაწერა ამ კაცმა ეს ოპერა, გაჯიქდა თბილისის თეატრი და არ დადგა. 36 წელიწადია გასული, აღარ დავიცდი მეტს. ქრისტემ 33 წელი იცოცხლა და...

*– თქვენ ანკარის ორკესტრის მიწვეული დირიჟორი ხართ...*

– არა მარტო ანკარის ორკესტრთან ვმუშაობ, ასევე ბელგიის ნაციონალურ ორკესტრთანაც ვდირიჟორობ და კიდევ არის სხვა ორკესტრები.

*– თბილისის ოპერისა და ბალეტის ორკესტრთან?*

– მე ყოველ შემთხვევაში ვიყავი მთავარი მოწვეული დირიჟორი და ამ წუთში არ მაქვს პასუხი. შეხვედრა დავგეგმე ახალ ხელმძღვანელთან და ალბათ გავიგებ მის მოსაზრებას.

# ანდრო ბარნოვი: „ვინ უთხრა ივანიშვილს, რომ ხმამაღალი განცხადებების კეთების უფლება აქვს?“

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის ანდრო ბარნოვის განცხადებით, ვინ უთხრა ბიძინა ივანიშვილს, რომ ხმამაღალი განცხადებების კეთების უფლება აქვს. ამგვარად ადრო ბარნოვი პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის განცხადებას „ფეისბუქის“ გვერდზე ეხმაურება, რომლის თანახმადაც, მიხეილ სააკაშვილმა თვითმფრინავების თემაზე „ხმის ამოღება“ ვერ უნდა გაბედოს.



„ივანიშვილს ჩვენი განცხადებები რომ აკვირვებს, თავად რატომაა დარწმუნებული, რომ განცხადებების კეთების უფლება კიდევ აქვს? რამე შექმნა, რამე ააშენა და განავითარა? რამე აზრიანს მაინც ჩაუყარა საფუძველი? მიშაზე მეტს ვინ ჩივის, საერთოდ რამე შექმნა ამ კაცმა? რამდენიმე თვეში დანგრეული ეკონომიკის, დანგრეული იუსტიციის სახლების, დანგრეული ხიდების, მომავლის ნგრევის გეგმების, გაზრდილი კრიმინალის, მიტოვებული პროექტებისა და პოლიტიკური ოპონენტებისა და ჟურნალისტების ლანძღვა-გინების და აგრესიის გარდა რას გვიტოვებს, რომ მიდის? ან, რომ გვიმტკიცებს, სააკაშვილს თავისთვის უნდოდა ვერტმფრენებიო, იმის გამოთვლა ხომ შეიძლება, რომ ეს ვერტმფრენები სააკაშვილის პრეზიდენტობის ვადის ბოლოს ჩამოვიდოდა? ან იმაზე მაინც გვითხრას რამე, მესტიის საბაგიროც თავისთვის უნდოდა სააკაშვილს, ძალით რომ ჩამოატანინეს ფრანგებმა და დღემდე ქუჩაში რომ უყრიათ? და ე.წ. „სააკაშვილის“ თვითმფრინავით კალაძე და მთავრობის სხვა წევრები არ დაფრინავენ? დაათვალიერეთ მათი ფეისბუქის გვერდები და ნახავს ყველა, რომ დაფრინავენ და უხერხულსაც ვერაფერს ხედავენ ამაში! ჰოდა, ვინ უთხრა ივანიშვილს, რომ ხმამაღალი განცხადებების კეთების უფლება აქვს? ჯერ რამე გააკეთეთ ბატონებო, სხვებზე მერე ილაპარაკეთ!“– აცხადებს ბარნოვი.

შეგახსენებთ, რომ პრემიერ-მინისტრმა დღეს მედიასთან საუბრისას აღნიშნა, რომ პრეზიდენტის მიერ ძვირადღირებული ვერტმფრენებით სარგებლობა საქართველოში არსებული სოციალური ფონის გათვალისწინებით ამორალურ საქციელად მიაჩნია. მისი თქმით, მიხეილ სააკაშვილი ამ თემაზე „ხმის ამოღებას ბედავს“, ქართული საზოგადოების კულტურაზე მიუთითებს.

**მედიანიუსი**

# სამგლოვიარო განცხადებები

პეტრიწის №10-ში მცხოვრები მეზობლები იუწყებიან ყველას ლხინისა და ჭირის გამზიარებლის, უსაყვარლესი სათნო ქალბატონის

**ლილი მალაქშანიძე-ლეჟავას**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

---

თენგიზ ონიანი ოჯახით მწუხარებას გამოთქვამს უახლოესი მეგობრის

**გერმანე ფაცაციას**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი წმინდა სული, ძმაო, გერმანე!

---

ნუგზარ და ზაზა გადელიები ოჯახებით მწუხარებას გამოთქვამენ

**გერმანე ფაცაციას**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ ჭირისუფალთ.

---

ვახტანგ კილანავა და რონ ანდღულაძე შემაძრწუნებელი გულისტკივილით იუწყებიან კეთილსამეგობრო სხივით განათებული უნიჭიერესი კაცის, დიდი მოამაგე მეგობრის

**გერმანე ფაცაციას**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ჭირისუფალთ.

---

პ.ბერაია, დ.გადელია, ვ.ხაზარაძე, თ.კალანდაძე, მ.ტყეშელაშვილი, გ.ციხისთავი, ს.მარსაგიშვილი, ი.ჭელიძე, რ.კვაჭაძე, გ.ნოზაძე მწუხარებას გამოთქვამენ უახლოესი მეგობრისა და კოლეგის

**გერმანე ფაცაციას**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ირაკლი კალანდია და მზეონა ვეკუა ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ოჯახის უახლოესი მეგობარი, ნიჭითა და კეთილშობილებით გამორჩეული პიროვნება

**გერმანე ფაცაცია**

და სამძიმარს უცხადებენ ოჯახსა და ნათესავებს.

---

ლონგი ფარცვანია და მერი პაპიაშვილი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ოჯახის უახლოესი მეგობარი, უკეთილშობილესი ადამიანი

**გერმანე ფაცაცია**

და სამძიმარს უცხადებენ ოჯახსა და ნათესავებს.

---

ვახტანგ და ეთერ კილანავები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ოჯახის უახლოესი მეგობარი, შესანიშნავი ადამიანი

**გერმანე ფაცაცია**

და სამძიმარს უცხადებენ ოჯახსა და ნათესავებს.

---

აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო მწუხარებით იუწყება, რომ 80 წლის ასაკში გარდაიცვალა აფხაზეთის მკვიდრი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, რომის ოლიმპიური თამაშების მონაწილე, სსრკ-სა და საქართველოს ჩემპიონი, სსრკ-ის საზაფხულო სპარტაკიადის ჩემპიონი სასტენდო სროლაში

**კარლო დარასელია**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---



საქართველოს სოფლის მეურნეობის სფეროს ღვაწლმოსილ ადამიანების რიგებს გამოაკლდა დარგის თვალსაჩინო წარმომადგენელი

**ლონგინოზ ზაქაიძე**

ბატონმა ლონგინოზმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ შრომითი საქმიანობა დაიწყო 1951 წელს საქართველოს სატყეო სამინისტროს სისტემაში და შემდგომ 1953 წლიდან 1985 წლამდე მუშაობდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს მინისტრთა საბჭოს სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის განყოფილების უფროსად. 1985 წელს იგი დაინიშნა პურპროდუქტების მინისტრად და კეთილსინდისიერად ემსახურებოდა მარცვალგადამამუშავებელი მრეწველობის სექტორს.

დიდია მისი დამსახურება დარგის განვითარებაში. მისი ხელმძღვანელობით განხორციელდა ქ. თბილისის, ქ. მარნეულის, ქ. ზუგდიდის და კაჭრეთის წისქვილკომბინატების ტექნიკური გადაიარაღება და პროდუქციის წარმოების მაღალტექნოლოგიური სქემების დანერგვა.

განსაკუთრებული იყო მისი მოღვაწეობა და საქმიანობა დამოუკიდებელი საქართველოს საწყის ეტაპზე 1990 – 1995 წლებში. ქვეყნის პურპროდუქტებით უზრუნველყოფის საქმეში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მისმა ავტორიტეტმა და ორგანიზატორულმა ნიჭმა.

ბატონ ლონგინოზ ზაქაიძეს დიდ პატივს სცემდნენ არა მარტო პურპროდუქტების დარგის წარმომადგენლები, არამედ სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებული მაღალკვალიფიციური ცნობილი მეცნიერები და სპეციალისტები. სიცოცხლის ბოლომდე საზოგადოების ფართო ფენებში სარგებლობდა უმწიკვლო რეპუტაციით და ავტორიტეტით.

სახელმწიფომ შესაბამისად დააფასა მისი უანგარო ღვაწლი ქვეყნის განვითარებაში და მას მიღებული აქვს მრავალი ჯილდო. იგი არჩეული იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანამშრომლები გამოთქვამენ ღრმა მწუხარებას ბატონი ლონგინოზ ზაქაიძის გარდაცვალების გამო და თანაუგრძობენ მის ოჯახს.

*საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო*

---

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## TV პროგრამა

პარასკევი
13 სექტემბერი

**08.00** დ/ფ " ფუტკრების გაუჩინარების საიდუმლო" **09.00** საბ./ფილმი: " საოცარი მისტერ ბარნანდერი" **10.30** ან/სერ. "ჯადოსნური პლანეტა" **11.00** "გურმანია" **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.35** მხ/ფ "**თმის ლაქი**" **14.30** დ/ფ "დიზაინი" **15.00** ტ/სერ. "**ჭორიკანა**" **17.00** ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა**" **18.00** დ/ფ "როგორ შეგვქმნა დედამიწამ" **19.05** ტ/სერ. "**მაგდა ემი**" **21.00** ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა**" **22.50** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. II ჯგუფური ეტაპი. (პ/რ) **00.00** მხ/ფ "**ნაპერწკალი**"

**08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00** "ბრიფინგის დრო" **09.00, 19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **10.30** "არგუმენტების დრო" (ხუთშ. გ/ჩვ) **14.00, 22.00** ტ/სერ. "**დეტექტივი**" **16.00** დ/ფ "**100** უდიდესი აღმოჩენა" **9** ნაწ. **20.00** "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ" რუსულ ენებზე) **23.00** მხ/ფ "**ჯადოსნური შარვალი – 2**" (ა.ფერერა)

**07.30** ს დილა (პ/ე) **08.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **08.10, 09.10** ს დილა (პ/ე) (გაგრძელება) **10.05** სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" **11.20** სერ. "**ცივი გული**" **12.30** ქალები თუ კაცები (გ/ჩ) **14.40** ს გმირები (გ/ჩ) **15.15** რომ გადახვალ" გააჩერე (გ/ჩ) **16.00** სერ. "**დამალული სიმართლე**" **17.50, 19.05** სერ. "**უდანაშაულო**" **5** სერ. **21.00** სერ. "**დაბრუნება**" **21.50** თოქ შოუ – ღია ეთერი (პ/ე) **00.15** მხ/ფ "**სამი მუშკეტერი**" ( კ. საზერლენდი")

**07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**ერთგულების ძალა**" **11.00** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** ეკი ვოკი (კვირის გ/ჩ) **17.00** სერ."**ნამდვილი გრძნობა**" **18.50, 19.50** სერ."**ტიტების დრო**" **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** სერ."**დასასრული**" **23.00** ვანოს შოუ - დაწყება **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" **06.35** მხ/ფ "**მოკვეთილი**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** დოკ/ფ "ლაზი ვორე, ლაზი ქართველი ჭანი" **11.10** ჩვენი ფონდი **11.20** ისტორიის გაკვეთილი **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ "**აურზაური სალხინეთში**" **13.25** ქართული მულტფილმი **13.35** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.45** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დეკორატიული ფლორა **15.40** კონცერტი - ვენის სიმფონიური ორკესტრი **17.00** კვირიაკე **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**შეხვედრა მთაში**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** ლექსით ქებათა ქება **21.35** მოგზაურობა სამშობლოში **22.25** ქრისტიანული ხელოვნება **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "ოვალური ბურთი" **00.30** განთიადის სტუმარი **00.50** მხ/ფ "**ნერგები**" **02.15** ირაო

მაესტრო **7.00, 1.00, 3.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმები **9.30** მაღვიძარა (კოლაჟი) **10.15, 16.00** **სერ. "ღრუბლებს მიღმა"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **12.40, 15.40, 2.00, 6.00** ფარული კამერა **14.00** "კვირის აბები" (გამ.) **17.45, 21.30, 0.30, 5.30** "ყოველდღიური აბები" **19.00** **სერ. "1001 ღამე"** **21.45** **სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.00, 4.00** "კინო მაესტროზე"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


13 სექტემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6606

ევრო — 2,202

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6184

100 რუსული რუბლი — 5,0378

## ამინდის პროგნოზი 13 სექტემბრისთვის





## მალე! მალე! მალე!

## „ახალ თაობასთან“

ერთად

მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

ტომი 4

ფრანგული ზღაპრები




### უკვე გამოსულია:

ტომი 1. ........................ ამერიკული ზღაპრები

ტომი 2. ........................ ჩეხური ზღაპრები

ტომი 3. ........................ ბრაზილიური ზღაპრები





## ალექსი მაჭავარიანის საიუბილეო ღონისძიებები იწყება

ეკა ირემაშვილი

15 სექტემბერს თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია ახალ სეზონს ხსნის და დიდ დარბაზში ცნობილი ქართველი კომპოზიტორის ალექსი მაჭავარიანის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილ კონცერტს მართავს.

კომპოზიტორის ვაჟი მაესტრო ვახტანგ მაჭავარიანი თბილისშია და საქართველოს სიმფონიეტასთან ერთად უწყვეტ რეპეტიციებს მართავს. როგორც დირიჟორმა „ახალ თაობას“ განუცხადა, ალექსი მაჭავარიანის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით დაგეგმილია ღონისძიებების ციკლი, რომელზეც პრემიერები იქნება წარმოდგენილი.

რაც შეეხება 15 სექტემბრის კონცერტს, მასში მონაწილეობას მიიღებს თბილისის სახელმწიფო კამერული ორკესტრი „საქართველოს სიმფონიეტა“, დირიჟორი ვახტანგ მაჭავარიანი და სოლისტები თათია ჯიბლაძე (მეცო-სოპრანო) და სოფო გორდელაძე (სოპრანო). ორგანყოფილებიან კონცერტში შესრულდება სამი გოგონას ცეკვა ბალეტიდან „ოტელო“ – 6 სიმღერა გალაკტიონ ტაბიძის და ალექსი მაჭავარიანის სიტყვებზე, მას მეცო-სოპრანო თათია ჯიბლაძე იმღერებს და 6 სიმღერა ნიკოლოზ ბარათაშვილის სიტყვებზე სოპრანო სოფო გორდელაძის შესრულებით. ასევე შესრულდება სიმფონია №4 „ახალგაზრდული“.



როგორც თბილისის კონსერვატორიაში აცხადებენ, კონსერვატორიის სამეცნიერო კვლევების საკოორდინაციო სამსახური და საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირი ოქტომბრის თვეში მოაწყობს ალექსი მაჭავარიანის დაბადებიდან 100 წლის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციას. მასში მონაწილეობის მსურველებს 20 სექტემბრამდე შეუძლიათ კონფერენციის ორგანიზატორებთან გააგზავნონ მოხსენების სათაური, ანოტაცია და საკონტაქტო ინფორმაცია.

კიდევ რა ღონისძიებებით აღინიშნება ალექსი მაჭავარიანის 100 წლის იუბილე საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ, ამ თემებზე „ახალ თაობას“ ვახტანგ მაჭავარიანი ესაუბრა.

**ვახტანგ მაჭავარიანი, დირიჟორი:**

– წელს ალექსი მაჭავარიანის 100 წლის იუბილეა და ბევრი ღონისძიებაა დაგეგმილი. ყველაფერი გადაწყვეტილია და მიდის უკვე რელსებზე. 15 სექტემბერს არის კონსერვატორიის დიდ დარბაზში კონცერტი, სადაც სრულდება ორი ვოკალური ციკლი, რომლიდანაც ერთის პრემიერაა. ჯერ შესრულდება 6 სიმღერა გალაკტიონ ტაბიძის და ალექსი მაჭავარიანის სიტყვაზე და იმღერებს თეონა ჯიბლაძე, რომელიც იტალიიდან სპეციალურად ჩამოვიდა ამ კონცერტისთვის. ის არაჩვეულებრივი მეცოსოპრანოა. ამის შემდეგ შესრულდება 6 სიმღერა ნიკოლოზ ბარათაშვილის სიტყვებზე, რომელსაც ასრულებს ფანტასტიკური ქართველი მომღერალი სოპრანო სოფო გორდელაძე და ამ სიმღერების პრემიერაა, პირველი შესრულებაა. მეორე განყოფილებაში კი სრულდება მეოთხე სიმფონია „ახალგაზრდული“. მას საქართველოს სიმფონიეტა დაუკრავს და მე ვიქნები სადირიჟორო პულტთან. კონსერვატორიის დიდი დარბაზი ახალ სეზონს ამ ღონისძიებით ხსნის. ეს საღამო ტარდება კონსერვატორიის ეგიდით. მინდოდა ეს კონცერტი სულ ბოლოში ყოფილიყო, მაგრამ ვინაიდან შემდეგ საქართველოს სიმფო-

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## თელავი მუსიკალურ ფესტივალს უმასპინძლებს

ეკა ირემაშვილი

თელავის მუსიკის საერთაშორისო ფესტივალის იწყება. ამ თემასთან დაკავშირებით, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში საგანგებო პრესკონფერენცია გაიმართა.

პრესკონფერენციას საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია, კლასიკური მუსიკის დაცვის, განვითარებისა და პოპულარიზაციის ცენტრის გენერალური მენეჯერი თამარ ლორთქიფანიძე და კომპანია „კავკასუს ონლაინის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი რუსუდან კაპანაძე ესწრებოდნენ.

როგორც ჟურნალისტებთან შეხვედრაზე ითქვა, ფესტივალი წელსაც გამორჩეული იქნება თავისი საკონცერტო პროგრამით და სიახლეებით.

– თელავი ტრადიციულად უმასპინძლებს მუსიკის საერთაშორისო ფესტივალს, რომელიც 12 ოქტომბერს თელავის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიხსნება. ფესტივალი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით და „კლასიკური მუსიკის დაცვის, განვითარებისა და პოპულარიზაციის ცენტრის“ ორგანიზებით გაიმართება, რომლის გენერალური სპონსორი კომპანია „კავკასუს ონლაინია“. ფესტივალის დამფუძნებელი და გენერალური სამხატვრო ხელმძღვანელია ცნობილი ქართველი პიანისტი ელისო ვირსალაძე, – აღნიშნა თამარ ლორთქიფანიძემ.

მისივე თქმით, 2013 წლის ფესტივალი მოიცავს 6 კონცერტს, რომლის უმეტესობა საერთაშორისო საფესტივალო ორკესტრის თანხლებით გაიმართება. იგი დაკომპლექტდა საგანგებოდ ფესტივალისთვის და მასში უკრავენ მაღალპროფესიონალი მუსიკოსები სხვადასხვა ქვეყნიდან. ორკესტრს წარუძღვება დირიჟორი არიელ ცუკერმანი.

2013 წლის ფესტივალი სოლისტების შემდეგი შემადგენლობით წარსდგება მსმენელის წინაშე – ელისო ვირსალაძე, კოლა (ლუკას ნიკოლაი) ბლაჰერი, ინგოლფ ტურბანი, ნატალია გუტმანი, ედუარდ ბრუნერი, ბენჟამინ გილმორი, მიხეილ ქართველიშვილი, ნოდარ ჟვანია, ჩულ გინ პაკი, გიორგი ქობულაშვილი, ჟააკო ლუომა, თამაზ ბათიაშვილი, პჟემისელ ვოიტა. ფესტივალზე მსმენელის წინაშე ასევე წარსდგებიან საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი „რუსთავი“ და სიმებიანი კვარტეტი „იბერი“.

– წლევანდელ პროგრამაშია საოპერო მუსიკის კონცერტიც, 13 ოქტომბერს თელავში სოლისტები მზია ნიორაძე და ტიფანი ობანი წარდგებიან მსმენელის წინაშე. კონცერტები, ტრადიციულად, თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის დრამატული თეატრის სცენაზე გაიმართება. საფესტივალო საღამოები მსმენელს სთავაზობს მრავალფეროვან პროგრამას, რომელშიც შესულია მსოფლიო კლასიკური მუსიკის შედევრები. ფესტივალის ფარგლებში გაიმართება ბელგიელი ფოტოხელოვანის დერეკ პრაჟერის ფოტოგამოფენაც, – განმარტა თამარ ლორთქიფანიძემ.

როგორც ცნობილია, ფესტივალს საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია და დიდი ტრადიციები აქვს. ელისო ვირსალაძის მიერ გასული საუკუნის 80-იან წლებში დაარსებულ ფესტივალს სახელწოდებით „ქება ვაზისა“ ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ანალოგი არ მოეძებნებოდა, არც ფორმატით




– კონცერტების სერიითა და მასტერკლასებით, არც მონაწილეთა შემადგენლობით და არც ასეთი მასშტაბის ფესტივალის ჩატარებით ქვეყნის რეგიონში. შემდგომ, ქვეყანაში არსებული ვითარებისა და ობიექტური მიზეზების გამო, ფესტივალი აღარ ჩატარებულა.

2010 წლის ოქტომბერში, თითქმის ოცწლიანი პაუზის შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისა და ელისო ვირსალაძის ინიციატივით, მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი თელავში განახლებული სახითა და სახელწოდებით აღდგა. სპეციალურად ფესტივალისთვის სახელმწიფომ შეიძინა „შტაინვეი ენდ სონს“-ის საუკეთესო

გაგრძელება მე-7 გვერდზე

## კრუიფი როსელს დაუპირისპირდა

„ბარსელონასა“ და „აიაქსის“ ლეგენდა, ჰოლანდიელი ფეხბურთელი იოჰან კრუიფი ერთ-ერთ ინტერვიუში კლუბის პრეზიდენტის, სანდრო როსელის გაკრიტიკებას არ მოერიდა და განაცხადა, რომ სანამ როსელი კატალონიელების პრეზიდენტია „კამპ ნოუზე“ ფეხს არ დაადგამს.



– სანამ როსელი „ბარსას“ განაგებს, ურთიერთობა ვერ დალაგდება და არც „კამპ ნოუზე“ დავადგამ ფეხს. აქედან გამომდინარე, არც „ბარსელონასა“ „აიაქსის“ მატჩს დავესწრები, – განაცხადა კრუიფმა.

რაც შეეხება „აიაქსისა“ და „ბარსელონას“ დაპირისპირებას, რომელიც „კამპ ნოუზე“ გაიმართება, კრუიფმა დასძინა – დიდი იმედი მაქვს, რომ „აიაქსი“ გაიმარჯვებს.

შეგახსენებთ, რომ კრუიფი „ბარსელონაში“ „აიაქსიდან“ გადავიდა და კატალონიურ კლუბში საერთო ჯამში 13 წელი გაატარა. ჰოლანდიელმა მოასწრო წარმატებული ყოფილიყო როგორც ფეხბურთელი და როგორც მწვრთნელი. სწორედ ამ შედეგების გამო კრუიფს საპატიო პრეზიდენტის პოსტი მიაკუთვნეს, მაგრამ სწორედ როსელის მისვლის შემდეგ მოუხდა ამ პოსტის დატოვება.

მ. ჟ.

## კროსვორდი




**შვეულად:** 1. ყალბი ან საეჭვო დებულების მტკიცება სხვადასხვა ხრიკებით; 2. რადიაქტიური ქიმიური ელემენტი, აირი; 3. გრეიფუტის ქართული სახელწოდება; 4. დიდი სიცხე; 5. უნაღდო ანგარიშსწორების ფორმა საგარეო ვაჭრობაში; 6. ხურდა ფული აშშ-ში; 7. სასტუმროების ქსელის მფლობელი მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ფირმა; 9. ღარიბთა უბნების სახელწოდება ბრაზილიის ქალაქებში; 13. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი სადაზღვევო ფირმა; 17. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 18. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკური კულტურა.

**თარაზულად:** 1. კათოლიკური ეკლესიის გუნდის მგალობელი; 3. წყლის საზიდი, ხარის ტყავის რუმბი ძველად; 8. ლუდის წარმოების ერთ-ერთი ცენტრი ჩეხეთში; 10. ალუმინის შემცველი მადანი; 11. მარადმწვანე წიწვოვანი ხე; 12. ზურგის ტვინის ანთება; 14. სახელმწიფო ევროპაში; 15. ხელჩართული ორთაბრძოლის ქართული სკოლა; 16. კლიმატური კურორტი ხონის რაიონში; 19. შემაგრებული პორტუგალიური ღვინო; 20. ნიუ-იორკის ერთ-ერთი რაიონი; 21. ტბა საქართველოს სამხრეთში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## ასტროპროგნოზი 13 სექტემბრისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!
ეს დღე მშვიდად გაატარეთ

**ვერძი** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** – ფული გაქვთ, მეტსაც იშოვით. **ტყუპები** – არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კირჩხიბი** – არავის ენდოთ, მხოლოდ ახლობლებს. **ლომი** – თქვენი საქმე წინ მიდის, ახალ სამსახურს იშოვით. **ქალწული** – იფიქრეთ, გამოსავალს თქვენვე იპოვით. **სასწორი** – არ აჩქარდეთ, საქმე მშვიდად აკეთეთ. **მორიელი** – რთულ სიტუაციაში ხართ, მეგობრები გეხმარებიან. **მშვილდოსანი** – ბევრს ფიქრობთ, საქმე აკეთეთ და დამშვიდდებით. **თხის რქა** – მეგობრების წრეში კარგად გაერთობით, მათგან ახალ ამბებს გაიგებთ. **მერწყული** – წინსვლა გელოდებათ, ფული გექნებათ. **თევზები** – მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ მსუბუქი საკვები.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ლურჯი წითელი ყვითელი შავი